პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისთვის—1 მან. დანარჩენებისთვის—1 მანეთი და 30 კაპ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სიკვდილის—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ. განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

პარასკევი, 31 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 300 (1755)

დღიური

— უზუნოვიჩმა შეადგინა სამხრეთ-სლავიის მთავრობა.
— რომში ხელი მოაწერეს იტალია-გერმანიის საარბიტრაჟო ხელშეკრულებას.
— ჩინეთში გაფიცვა გამოაცხადეს ფოსტის მუშა-მოსამსახურეებმა.
— დაიხურა ინდოეთის ეროვნული კონგრესი.
— ბატავიაში დაატუსაღეს კუნძულ-იავაზე მომხდარ აჯანყების ხელმძღვანელი [illegible].
— პოლონეთში მოკლეს პროვოკატორი ოკანგვიჩი.
— გარდაიცვალა შვეიცარიის სოციალისტების ბელადი ნაინი.

„კომუნისტი"
მთავარი კანტორა ხელისმოწერის მისაღებად
ღია იქნება კვირას, 2 იანვარს
რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

პარტიული აღწერა ახლოვდება

მომავალი წლის 10 იანვარს დაიწყება საკავშირო კომუნისტურ პარტიის წევრთა აღწერა. ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იციან, რომ ეს აღწერა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა ჩაეტარებია პარტიას. მაგრამ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ თვეში მიმდინარეობდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა, რაშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარტია, და გარდა ამისა იმიტომ, რომ ბევრ ორგანიზაციებმა პირველად დანიშნულ დროისათვის ვერ მოასწრეს წინასწარი სამზადისის ჩატარება, პარტიული აღწერა ერთი თვით გადაიდო.

ამ გადადებამ თავის დადებით მნიშვნელობასთან ერთად ერთგვარი უარყოფითი შედეგებიც გამოიღო. ბევრ პარტიულ ორგანიზაციებმა, რომელნიც აწარმოებდნენ ცხოველ სამზადისს, აღწერის ვადის გაგრძელების გამო მუშაობა შეანელეს. დანიშნულ დრომდე ბევრი აღარ დაგვრჩენია. ამიტომ საჭიროა მთელმა პარტიამ, როგორც ცალკე ორგანიზაციებმა, ისე თვითეულ კომუნისტმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მომავალი პარტაღწერის წარმატებით ჩატარებაში.

ამჟამად მეორე აღწერას ახდენს ჩვენი პარტია. პირველი აღწერა ჩატარებულ იქნა 1922 წელს. თუმცა ამ აღწერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისათვის, მაგრამ მორიგი აღწერა, რომელიც უნდა ჩატარებულ იქნას იანვარში, გაცილებით უფრო რთული იქნება, როგორც ორგანიზაციული მხრივ, ისე თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით. 1922 წ. ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა 410.000 კაცი. ამჟამად კი საკავშირო კომუნისტური პარტია აერთიანებს ერთ მილიონზე მეტს. მარტო ეს რიცხვობრივი შეფარდებაც საკმარისია იმისათვის, რომ ცხადვყოთ მომავალი აღწერის წინანდელთან შედარებით მეტი სიძნელე. გარდა ამისა, პარტიამ უკანასკნელი აღწერის შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა. რიცხვობრივ ზრდას, თან ახლდა პარტიის შიგნით სოციალური გადა[illegible] შენებლობის შე[illegible] ჩვენი რიგი[illegible] შემადგენლობის და[illegible] აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ როგორია სოციალური შემადგენლობა არა მარტო პარტიისა მთლიანად, არამედ მისი ცალკე ორგანიზაციებისაც.

ამასთან ერთად 1922 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი განმტკიცდა და გაიზარდა ეკონომიურად და პოლიტიკურად. ქვეყნის ეს საერთო წინსვლა ხდებოდა კომუნისტურ პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ ზრდასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ეხლა ისახება უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა. ესაა საბჭოთა მეურნეობის ძირითადი კაპიტალის გადახალისება - განახლება, სოციალისტურ აღმშენებლობის აღორძინებითი ზრდის დასასრულიდან ახალი, გაშლილი წინსვლის გზით წარმართვა. პარტიას აქ უდიდესი მონაწილეობა და აქტიური მუშაობა მართებს. ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა საკუთარი ძალების და შესაძლებლობის ცოდნა.

ახალ პარტიულ აღწერას მიზნათ აქვს ამის გამორკვევაც. საღრიცხვო - განმანაწილებელი მუშაობა ერთი მთავარი მომენტთაგანია ჩვენს არა მარტო პარტიულ, არამედ ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ შენებლობაშიაც. იანვრისათვის დანიშნული აღწერა მდიდარ მასალას მისცემს პარტიას საღრიცხვო - განმანაწილებელ მუშაობის წარმატებით წაყვანისათვის.

წინასწარ ორგანიზაციულ მომზადებაზე ბევრათაა დამოკიდებული აღწერის ნაყოფიერად დასრულება. ამ მხრივ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მართებთ რეგისტრატორთა შერჩევის საკითხზე. აღწერის მწარმოებლად უჯრედებმა უნდა გამოჰყონ არა მარტო პოლიტიკურათ მომზადებული ამხანაგები. ამასთან ერთად საჭიროა, რომ აღმწერელმა იცოდეს ადგილობრივი ენა, წარმოების თუ მეურნეობის პირობები და სხვა. ეს არც ისე ადვილი საქმეა. მით უფრო სოფლად მომუშავე პარტორგანიზაციებისათვის. აქ რეგისტრატორები ხშირად მოწყვეტილი იქნებიან ხელმძღვანელ ცენტრს და მათ მეტი თვითმოქმედება, მეტი დამოუკიდებელი მუშაობა შეუხვდება. ყველა ეს მოსაზრებანი აქედანვე უნდა იქმეს მიღებული მხედველობაში, რომ პარტიულ ორგანიზაციებს თვით აღწერის დროს არ შეუხვდეთ რეგისტრატორის ძებნაზე ზრუნვა.

გარდა ამისა იყო შემთხვევები, როცა პარტიულ აღწერის გამოცხადების პირველ დღეებიდანვე, ზოგიერთმა ორგანიზაციებმა აღწერა გაიგეს, როგორც პარტიული წმენდა. ამ მოსაზრებით მათ შესწყვიტეს ახალი წევრების მიღება და კანდიდატების წევრებათ დამტკიცება. გარდა იმისა, რომ ამას შეუძლია შეაფერხოს პარტიის ნორმალური ორგანიზაციული მუშაობა, საკითხის ამნაირად გაგება უთუოდ ზიანს მიაყენებს თვით აღწერასაც, რამდენადაც წმენდის ატმო[illegible]ბრივად ვერ მოგვცემს ისეთივე შედეგებს, როგორსაც მივიღებთ ჩვენ სხვა პირობებში.

პარტიის თვითეულ შეგნებულ წევრის ვალია შეებრძოლოს ამგვარ შემცდარ შეხედულობას და ყოველი ზომები მიიღოს აღწერის მიზნებისა და ამოცანების განსამარტავად.

აღწერამდე დარჩენილი ათიოდე დღე საქმის დაყოვნებას აღარ ითმენს. პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ, საკავშირო კომპარტიის ცეკამ, უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯი, ჯერი ადგილობრივ, განსაკუთრებით ძირითად ორგანიზაციებზეა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ორგანიზაციები ღირსეულად ჩაატარებენ მომავალ პარტიულ აღწერას.

კოოპერატიული საბჭოები

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მიმდინარე წლის შემოდგომის თვეებმა გამოაშკარავეს ნაკლთა მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ კოოპერატიული მუშაობის მოწესრიგების წინანდელ მეთოდებში. ამ ნაკლთა შესახებ ლაპარაკობდა თავის გამოსვლებში ამხ. მიქოიანი და აგრეთვე სახელმწიფო მეურნეობის და კოოპერაციის სხვა ხელმძღვანელები.

ეს ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ კოოპერაციაში მექანიკურად გადაქონდათ ის მოწესრიგების ფორმები, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით სახელმწიფო ორგანიზაციების — სინდიკატებისა და ტრესტების მიმართ. ესე იგი, კოოპერატიულ ორგანიზაციებს სავსებით უთანაბრებდენ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, დამზადებისა და ჩაბარების დარგში მათ აკისრებდენ იმ ვალდებულებებს, რომელნიც სახელმწიფო ორგანოების მიერ იყვენ განსაზღვრული.

ამით უეჭველია ირღვეოდა კოოპერატიული ორგანიზაციების საზოგადოებრივი ხასიათი, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოების განკარგულებათა შესრულება ხშირად იწვევდა საზოგადოებრივი ქონების გამოყენებას იმგვარად, რომ ზიანს აყენებდა მის მეპატრონე—პაის მქონეებს.

მოწესრიგების ნაკლი ქმნიდა ორგვარ გადახრას. პირველი გადახრა გამომდინარეობდა გადაჭარბებული ადმინისტრატიული გულმოდგინეობისაგან და მიდიოდა კოოპერატიული ორგანიზაციების გასახელმწიფოებრიობის ხაზით. მასში გამოაშკარავდა ნათესაობა ოპოზიციის პლატფორმასთან, რომელიც მოითხოვდა უდიდეს მოთხოვნილებათა წაყენებას სოფლისადმი და ანგარიშს არ უწევდა არც სოფლის ფაქტიურ რესურსებს და არც გლეხის მეურნეობის და ყოფა - ცხოვრების თანდათანობითი გარდაქმნის ეტაპებს, რომელიც გათვალისწინებული იყო ლენინის მიერ და რომელიც მიიღო პარტიამ. მეორე გადახრა თავისებურად არის დაკავშირებული პირველთან: მას ხელი ჩასჭიდეს სოფლის კაპიტალისტურმა ელემენტებმა. ეს გადახრა ხელოვნებით უარჰყოფს სახელმწიფოებრივ მოწესრიგების და საზოგადო კოოპერაციის გამოყოფას მუშათა სახელმწიფოსაგან.

პარტიისა და სახელმწიფოს მომწესრიგებელ ორგანოების ხელმძღვანელთა [illegible] წინანდელი შეცდომები სწორდება. კოოპერატიული მუშაობის მოწესრიგება მიმართულია იმ გზით, რომ მეურნეობის გეგმიანობის განვითარების მოთხოვნილებანი შეფარდებული იქნეს კოოპერაციის საზოგადოებრივი მუშაობის პირობებთან.

სწორი მოწესრიგების ახალი მეთოდების გამოძებნის დროს ჩვენ აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ კოოპსაბჭოებს.

ცნობების მიხედვით, 1-ლ სექტემბრისათვის მათი რიცხვი უდრიდა 63. აქედან: რესპუბლიკანური—4, ავტონომიური რესპუბლიკების—8, საოლქო—5, საგუბერნიო—33, საოკრუგო—11, მხარის—2. ასეთი კოოპერატიული ორგანიზაციები ვითარდებოდა 1925—1926 წ. განმავლობაში, როცა კოოპერატიული მუშაობის გართულებამ და კოოპერაციის დაყოფამ ათეულ სპეციალურ სისტემებად იმდენად გააძნელა კოოპერაციის მთელი სისტემის მართვა, რომ საჭირო გახდა ფუნქციათა და ურთიერთობათა სპეციალურ შინა - კოოპერატიული რეგულიატორის შექმნა.

კოოპერატიულ საბჭოებს თავისი არსებობის პირველ დღეებშივე ძლიერი ბრძოლის გადატანა მოუხდათ ცენტრიდან მსრბოლ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომელნიც კოოპერაციაში განვითარდენ საბაზრო კონკურენციისა და პაის მქონეთა კლასიური და საწარმოო ინტერესების განსხვავებათა ნიადაგზე. პრაქტიკული საკითხი კოოპსაბჭოების როლის შესახებ დღემდე გადაუწყვეტელია. ყოველი გუბერნია თავისებურად სწყვეტდა საკითხს. გამოდის, რომ ზოგ ადგილებში კოოპსაბჭოები გახდენ შემთანხმებელ კომისიებად, რომელნიც კოოპერაციას აერთიანებენ მხოლოდ სადღესასწაულო გამოსვლების ნიადაგზე და არ ძალუძთ სერიოზული საკითხების გადაწყვეტა. სხვა ადგილებში კი, პირიქით, კოოპსაბჭოები გადაჭარბებულ ფორმებში ახდენენ მოწესრიგებას, ისე, რომ ისინი იჭერენ კოოპერატიული სისტემის ადგილს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს ნაწილად კოოპსაბჭოები საერთოდ სწორად მოქმედებენ. მაგრამ აქაც ეს მუშაობა მიმდინარეობს შემთხვევიდან შემთხვევამდე, მთლიანი ხაზის უქონლად ცენტრიდან. ცენტრის ეს მთლიანი ხაზი არაა იმის გამო, რომ სადავო საკითხები არაა მოწესრიგებული ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

ამასთანავე, პარტიის გადაწყვეტილება ნათლად განსაზღვრავს კოოპსაბჭოების მოვალეობას. უპირველეს ყოვლისა, კოოპსაბჭოები უნდა იყვენ შინაკოოპერატიულ ურთიერთობათა მოწესრიგების იარაღი. ისინი პარტიასა და სახელმწიფოს უნდა დაეხმარონ კოოპერაციის საკუთარი ძალებით—პაის მქონეთა სხვა და სხვა კატეგორიების ინტერესებთან შეფარდებით, მათ უნდა გადასწყვიტონ პარალელიზმის თავიდან აცილების საკითხები, მათ ეკისრებათ დამზადების მუშაობის შეთანხმების ფუნქციები, მათ უნდა უზრუნველჰყონ მომხმარებლის ინტერესების სწორი შეთანხმება მწარმოებელთან, პარტიის კლასიური ხაზის ერთნაირი გაგება და სწორი გატარება, მთელი კოოპერატიული მუშაობის სურათის მოცემა მთლიანად და კოოპერაციის ყველა სახეობათა გაერთიანება სწორად გაგებული საერთო ინტერესების ნიადაგზე.

კოოპსაბჭოების მუშაობა, თუ ისინი უკიდურესობაში არ გადავარდებიან: არ გადაიქცევიან შემთანხმებელ კომისიებად და არც კოოპერატიული სისტემების შემცვლელად, მაშინ მათი მუშაობა მოგვცემს მოწესრიგების სწორედ იმ ფორმას, როცა პროლეტარულ სახელმწიფოს და გეგმიანი მეურნეობის მოთხოვნილებანი გატარდება კოოპერაციის საზოგადოებრივი თვითმოქმედების უმაღლეს ორგანოს საშუალებით და ამით სისწორით შეხამება კოოპერატიული მასების ინტერესებს.

აუცილებელია რაც შეიძლება დაჩქარებით დამთავრდეს კოოპსაბჭოების ჩამოყალიბება, რომ მთელი მათი ქსელი წარმოადგენდეს სხვადასხვა კოოპერატიულ ინტერესების შეთანხმების მთლიან სისტემას. კოოპსაბჭოებს აუცილებლად საფუძვლად უნდა დაედოს საარჩევნო სისტემა და ფართო საზოგადოებრიობა, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში გაამართლებენ ისინი თავიანთ დანიშნულებას.

მოსკოვი, 30 დეკემბერი.

ამხ. მოლოტოვის მოხსენება აფხაზეთის პარტკონფერენციაზე

ჩვენი რევოლუციის პერსპექტივები

სოხუმი, 30 დეკემბ. ამხანაგებო! ნება მომეცით ჩემი სიტყვის დასაწყისში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით მივესალმო სრულიად აფხაზეთის მერვე პარტიულ კონფერენციას და ქალაქ სოხუმის პარტიულ ორგანიზაციას (ოვაციები, მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! მე უკვე ერთი თვეა, რაც მოსკოვიდან წამოსული ვარ და შეიძლება მთელი რიგი ახალი ამბებისა პოლიტიკური ცხოვრებიდან არც კი ვიცოდე დაწვრილებით, მაგრამ ის საკითხი, რომელიც ამ ჟამად ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, როგორც ძირითადი საკითხი, რომელიც უკანასკნელი დროის განმავლობაში აღელვებს ჩვენს პარტიას, რომელიც უთანხმოებას იწვევს ჩვენს პარტიაში, ეს მთავარი საკითხი მეტად მცირედ დამოკიდებულია ერთი თვისა და თუგინდ ერთი წლისაგანაც. ჩვენ ეხლა მთელს ჩვენს პარტიასთან ერთად ხელ-ახლა ვერკვევით ჩვენი რევოლუციის ძირითად საკითხებში. რაში გამოიხატება ამ ჟამად მთავარი საკითხი ჩვენი პარტიისათვის? რა განსაზღვრავს ამ ჟამად პარტიის ხაზს?

ეს მთავარი საკითხი არის საკითხი ჩვენი რევოლუციის პერსპექტივების შესახებ, ჩვენი რევოლუციის ხასიათის შესახებ, ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ საითკენ მივდივართ ჩვენ, რას ვახორციელებთ და ვახორციელებთ თუ არა იმ ამოცანებს, რომლებისთვისაც ჩვენ დავიწყეთ რევოლუცია.

საკმარისია მარტო ის, რომ ჩვენში უკვე თითქმის 6 წელიწადია არსებობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომ თითქმის 6 წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას, ე. ი. ბურჟუაზიულ ელემენტების ერთგვარ გამოცოცხლებას, საკმარისია მარტო ეს, რომ ხელ-ახლა განვიხილოთ საკითხი ჩვენი რევოლუციის შესახებ, მისი პერსპექტივების და იმის შესახებ, სწორი გზით მივდივართ და სწორია თუ არა ჩვენი გზა.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ შევდივართ 1927 წელში, ხოლო 1927 წელს ჩვენ აღვნიშნავთ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავით. ჩვენ გავიარეთ ჩვენი რევოლუციის ისეთი მნიშვნელოვანი ხანა, რომელსაც ვერ შევადარებთ პროლეტარიატის ამა თუ იმ მოთხოვნილებისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეპოქებს. ოქტომბრის რევოლუციის ათი წელი ეს არ არის პარიზის კომუნის სამი თვე. ოქტომბრის რევოლუციის ათი წელი ეს ისეთი ეპოქაა, რომელმაც ჩვენს წინაშე უნდა დასვას საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ჩვენში კიდევ ბურჟუაზიის ნაშთები ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლის თავზე, არის თუ არა ჩვენში კაპიტალიზმის ნაშთები და თუ არის, შეგვიძლია თუ არა ჩვენ მათი დაძლევა და სოციალიზმის განხორციელების გზით სვლა. ჩვენ ეს საკითხი უნდა დავსვათ არსებულ პირობებში, ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ, შეგვიძლია თუ [illegible] კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა. [illegible]ცა ჩვენ ჯერ კიდევ [illegible]ალ ეპოქის პირობებში, ვიმყოფებით გარდა[illegible] გვაქვს ბურჟუაზიის ნაშთები, [illegible] ჩვენ კიდევ [illegible] ეს ბურჟუაზია ჯერ კიდევ [illegible] მოღონიერდეს და ეს ზოგიერთებს აშინებს, იწვევს მათში ურწმუნობას იმ საშუალებების და გზების მიმართ, რომლითაც ჩვენ ვადგივართ, ჩვენ სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ამ საკითხს ხელი და განვიხილოთ ეს. მე უკვე აღვნიშნე, რომ მარტო ის, რომ ჩვენ უახლოვდებით ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის ბოლოს, მარტო ის, რომ ჩვენ უახლოვდებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის 6 წლის ბოლოს—ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ პასუხი გავსცეთ საკითხს პერსპექტივებისა და გზების შესახებ. მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს ორი სპეციფიური, განსაკუთრებული მომენტი, რომლებიც გვაიძულებენ დავსვათ ეს საკითხი. რატომ დაიწყო ეხლა ჩვენს პარტიაში დავა რევოლუციის პერსპექტივების შესახებ? ეს საკითხი ჩვენ მრავალჯერ განვიხილეთ, როცა ჩვენ ვიწყებდით რევოლუციას, ჩვენ ამით საფუძველს ვუყრიდით ბრძოლას სოციალიზმისათვის. რატომ იჩენს თავს ამჟამად ურწმუნობა და ისევ მწვავდება დავა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხის გარშემო? აქ არის ორი განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლებსაც ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება. არის საერთაშორისო და საშინაო ხასიათის გარემოებანი.

საერთაშორისო ხასიათის გარემოება, რომელიც მერყევ ელემენტებში და უფრო ჩამორჩენილ მუშებში იწვევს ამ ურწმუნობას, მდგომარეობს იმაში, რაზედაც მიგვითითა ჩვენმა ბელადმა—კომინტერნმა. თითქმის ორი წელია მას შემდეგ, 1925 წლის იანვარში, კომინტერნმა აღიარა, რომ საერთაშორისო კაპიტალიზმი ნაწილობრივ განთავისუფლდა ომის შედეგებისაგან და მოხდა მისი ერთგვარი სტაბილიზაცია.

პირველად იყო პერიოდი, როცა გვეგონა, რომ კაპიტალიზმი დაღუპვის წინ იდგა, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს პერიოდი გაჭიანურდა და კაპიტალიზმი გადაურჩა იმპერიალისტური ომის შემდგომ პეროდს. და უკვე აშკარად ხდება ის, რასაც ლენინი ამბობდა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინ და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც,—ის, რომ, შეიძლება, საერთაშორისო პროლეტარიატს მოუხდეს მთელ რიგ იმპერიალისტურ ომებში გავლა. ამით საფუძველი ეცლება პირვანდელ აზრს, რომელიც გვქონდა ჩვენ, პარტიის წევრებს, ვინაიდან კაპიტალიზმი დროებით გადარჩა და ნაწილობრივ სტაბილიზაციასაც მიაღწია. ჩვენს წინაშე უნდა დამდგარიყო საკითხი: თუ მსოფლიო კაპიტალიზმი დროებით გადარჩა, გაუძლებთ თუ არა ჩვენ მსოფლიო რევოლუციის დაგვიანებას, შევძლებთ თუ არა ჩვენი გზის განგრძობას.

საერთაშორისო მდგომარეობა, ის ფაქტი, რომელიც ჩვენმა პარტიამ არსებულ ფაქტად სცნო აყენებს საკითხს: თუ ჩვენ ვსცნობთ კაპიტალიზმის თუნდაც დროებით სტაბილიზაციას, გვეყოფა თუ არა ჩვენი ძალები ოქტომბრის დღეებში დაწყებულ ბრძოლის განსაგრძობათ.

აქედან გამომდინარეობდა შემდეგი საკითხი: თუ პროლეტარული რევოლუცია დაგვიანდა, შევძლებთ თუ არა ჩვენ, რომ ჩვენ შინაურ ძალებზე დაყრდნობით ვაშენოთ და ავაშენოთ სოციალიზმი. გვაქვს თუ არ ჩვენ ამისათვის შინაგანი შესაძლებლობანი, ვინაიდან საერთაშორისო რევოლუცია კიდევ რამოდენიმე წლით დაგვიანდება. ეს არის საერთაშორისო ხასიათის პირველი მიზეზი, რომელიც სვამდა ჩვენს წინაშე საკითხს გვაქვს თუ არა ჩვენ სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობა შინაურ ძალებზე დაყრდნობით.

არ უნდა დავივიწყოთ საშინაო მომენტებიც, რომლებიც იმავე საკითხს აყენებენ. ოქტომბრის რევოლუციის თითქმის ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვეწეოდით, (მართალია, ეს მუშაობა შეაჩერა სამი წლის ომმა) იმ მეურნეობის აღდგენას, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ეს იყო უდიდესი საქმე კომუნიზმის თვალსაზრისით. თუ პარტიამ მოახერხა, რომ ჩვენი სახელმწიფო არ ჩამორჩენოდა ბურჟუაზიულ განვითარების ტემპს და შესძლო აღედგინა ის, რაც იყო წინად, ეს უკვე არის უდიდესი გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება, როცა მრეწველობის 96 პროც. პროლეტარიატის ხელშია, სოციალიზმის გამარჯვება, ვინაიდან ჯერ არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, უბურჟუაზიოთ, უკაპიტალისტებოთ არავის არ აღუდგენია სახელმწიფო მეურნეობა. ჩვენ აღვადგინეთ მთელი მრეწველობის 96 პროცენტი. საბჭოთა სახელმწიფომ აღადგინა მეურნეობა იმ დონემდე, რომელიც არსებობდა ომამდე. ამჟამად ჩვენი ამოცანა გაცილებით უფრო რთულია, ვინემ იყო აქამდის. ჩვენ მიზნათ დავისახეთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ჩვენი ჩამორჩენილი, გლეხურ ქვეყანა უნდა გადავაქციოთ ინდუსტრიალურ მოწინავე ქვეყნად. ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე ჩვენ კომუნიზმს ვერ ავაშენებთ. მსხვილი მრეწველობის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ სოციალიზმის გამარჯვებას.

როცა ჩვენ დავისახეთ ეს ამოცანა მომავალ სოციალისტურ საზოგადოების ასაგებათ, ჩვენს წინაშე უნდა დამდგარიყო საკითხი, გვეყოფა თუ არა ჩვენ ძალა იმისთვის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთი გადავაქციოთ სოციალისტურ რუსეთად. შევძლებთ თუ არა ჩვენ მთელ ამ ამოცანის შესრულებას? ამ სფეროში საერთაშორისო პროლეტარიატი ჩვენ ვერ გაგვიწევს რაიმე დახმარებას, ხოლო საერთაშორისო ბურჟუაზია ყოველმხრივ ხელს შეგვიშლის. ამ პირობებში ჩვენ სწორედ 1 წლის წინად მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობაზე განვაცხადეთ, რომ უმთავრეს ამოცანას და ჩვენი შინაური პოლიტიკის ძირითად ხაზს წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის ინდუსტრიალიზაცია.

ვსთვლით თუ არა ჩვენ, რომ შესაძლებელია ამ ამოცანის შინაური ძალებით გადაჭრა?

ინდუსტრიალიზაცია [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible]ლების საფუძველზე. ეს ამოცანა მეტად ძნელია, ასეთი ამოცანა არც ერთი პროლეტარიატის წინაშე არ დასმულა მთელს მსოფლიოში, ხოლო ბურჟუაზია ამ ამოცანას ასრულებდა სხვა ქვეყნების და თავისი ხალხის გაძარცვის საშუალებით, უცხოეთში აღებულ სესხების და საკუთარი ერის ექსპლოატაციის საშუალებით და ის ამას ასრულებდა მრავალ წლების განმავლობაში.

შეგვიძლია თუ არა ამ ამოცანის შესრულება ისე, რომ არ ჩამოვრჩეთ უცხოეთის სახელმწიფოებს განვითარების ტემპში? შეგვიძლია ჩვენ ამის შესრულება ჩვენი შინაგანი ძალებით? აქედან იბადება საკითხი: საითკენ მივდივართ ჩვენ? შეგვიძლია თუ არა ჩვენ მიერ აღებული კურსის განხორციელება და მართლა მივყევართ თუ არა მას ჩვენ სოციალიზმისაკენ, თუ ამ გზაზე ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენ მიერ დასახულ ამოცანას და დავექანებით უკან, კაპიტალიზმისაკენ. აი, ორი მიზეზი, რომლებმაც გაამწვავეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენი რევოლუციის მომავალი. დაბრკოლებანი ჩვენს პირობებში და საერთაშორისო რევოლუციის გაჭიანურება მერყეობას ქმნის ჩვენს რიგებში და ზოგიერთებში გამოიწვია პესიმიზმი და რწმენის დაკარგვა ჩვენი რევოლუციისადმი. ყოველივე ეს შეიძლება ითქვას იმ პირების შესახებ, რომელნიც ამ ახლო ხანში საუცხოვოდ მუშაობდნენ, ეხლა კი დაავადებულნი არიან იმ უიმედობის სენით, რომელიც ჩვენთვის უცხო კლასს ახასიათებს. ეს უიმედობა, რწმენის უქონლობა დამახასიათებელია დაღუპვის გზაზე შემდგარი ბურჟუაზიის ნაშთებისათვის, რომელთაც ახარებთ ჩვენი შეცდომები. ყოველ ჩვენ დაბრკოლების გამო ისინი ზეიმობენ, ეს დაბრკოლება მათ თვალში ხდება აუცილებელ საფრთხედ და გამოუვალ ჩიხად; საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის ამ ელემენტების განწყობილება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს ქვეყანაში, იჭრება ჩვენი პარტიის ზოგიერთ ელემენტებშიაც. აი, ამიტომ, ამ მძიმე პირობებში, როცა ჩვენ უდიდესი ამოცანების წინაშე ვდგევართ, ჩვენთვის მეტად საჭიროა დიდის დაკვირვებით გავითვალისწინოთ საერთაშორისო განწყობილების და ჩვენი შინაური განვითარების პირობები იმისათვის, რომ მივაღწიოთ სოციალიზმის გამარჯვების შედეგებს ჩვენს ქვეყანაში.

მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი

საკითხს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მე განვიხილავ უმთავრეს მომენტებში, სადაც უფრო ნათლად აშკარავდება ის საკითხი, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს: მსოფლიო კაპიტალიზმის სიმტკიცის საკითხი.

ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება კაპიტალიზმი ევროპის მოწინავე სახელმწიფოებში, არის ინგლისის ამბები—ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვა, რომელიც მხოლოდ ამას წინედ დამთავრდა. იგი ვერ დამთავრდა გამარჯვებით, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ვიყავით ყველაზე უფრო აქტიური იმ დამხმარეთა რიცხვში, რომელნიც მხურვალედ უჭერდენ მხარს ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვას. გაფიცვა ვერ დამთავრდა გამარჯვებით პროფკავშირთა ბელადების გამცემლობის გამო, მუშათა მძიმე მდგომარეობის გამო, რომელთაც საკმაო დახმარება არ ჰქონდათ. მაგრამ თავის თავად მემაღაროეთა გაფიცვამ გვიჩვენა, თუ როგორ დაქვეითებულ მდგომარეობაშია ევროპის ერთი უძლიერესი ქვეყანათაგანი—ინგლისი. მემაღაროეთა ბრძოლა დაიწყო როგორც იძულებითი ბრძოლა. ინგლისელ მემაღაროეთა მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. მათ წარუდგინეს ახალი პირობები, რომელნიც ადიდებდენ სამუშაო დღეს, აუარესებდენ დაქირავების პირობებს და ამ შეტევის პასუხი იყო—ინგლისელ მემაღაროეთა შეუპოვარი ბრძოლა. თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში, ისეთ მოწინავე სახელმწიფოშიაცკი, როგორიც არის ინგლისი, მუშათა მდგომარეობა უარესდება. მუშათა კლასის უდიდესი რაზმი—ინგლისის ასი ათასი და მილიონობით მუშები სდგანან მდგომარეობის სულ უფრო და უფრო გაუარესების წინაშე, რომელიც მათ იწვევს ბრძოლისაკენ. მუშათა მდგომარეობა უარესდება და ეს გაუარესება ეხება მუშათა ყველა ფენებს, პრივილეგიებით აღჭურვილ ჯგუფთა გამონაკლისით. გაფიცვა დამარცხებით დამთავრდა. გაფიცვამ ვერ მიაღწია დადებით შედეგებს. მაგრამ თუ ისეთი კულტურული ქვეყნის, როგორიცაა ინგლისი, მუშათა კლასის მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდება, მაშინ ცხადია, რომ ახლო მომავალში უნდა ველოდეთ ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვებს, რომელნიც გამოწვეული იქნებიან შექმნილი პირობებით.

კაპიტალიზმა შევიდა თავის განვითარების ისეთ პერიოდში, რომელიც რამოდენიმე წელი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ, რომელიც მუშათა ძირითადი მასისათვის ჰქმნის გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობას. გაზეთების ცნობით, თვით არაკომუნისტური გაზეთების ცნობითაც, მუშათა მდგომარეობა გამოუვალია, რაიც შესაძლებელ ხდის იმავე ინგლისელი მემაღაროების გაფიცვას.

რა ბედი ეწია ინგლის-საბჭოთა კომიტეტს? ორი წლის წინ, როცა საძირკველი ჩაუყარეს ამ კომიტეტის არსებობას, ინგლისის პროფკავშირების ზოგიერთი ლიდერები უფრო მემარცხენე პოლიტიკას ატარებდენ, ვიდრე დღეს. დღეს ტრედიუნიონების ლიდერები, შეშინებულნი კაპიტალიზმის იერიშებით, ამზადებენ თავდასხმას ინგლის-რუსეთის კომიტეტზე. შესაძლებელია, ტრედიუნიონების ლიდერებმა ჩქარა ისეთი პირობები წამოაყენონ, რომ მის შემდეგ შეუძლებელი გახდეს ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობა. მემაღაროეთა გაფიცვის დროს ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ მემაღაროე[illegible] ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესაქმნელად. [illegible] დებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის შესახებ მემაღაროეთა გაფიცვის დროს. ჩვენ გვესაჭიროებოდა ინგლისის პროფკავშირებთან კავშირის შენარჩუნება და მათი საშუალებით ჩვენი გავლენის გაძლიერება ინგლისის მუშათა მოძრაობაზე. ჩვენ ეს პოზიცია შევინარჩუნეთ, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო რეფორმისტულ ბელადების იმ ყოველგვარი ცდების ალკვეთა, რომლითაც ისინი საბჭოთა პროფკავშირებს ახვევდენ თავზე გაფიცვის დამარცხების დანაშაულს. ჩვენ ჩვენს ამოცანად ვსთვლიდით ინგლის-რუსეთის კომიტეტის შენარჩუნებას გავლენის გასაძლიერებლად ინგლისის მუშათა მოძრაობის ჩვენთან უფრო ახლო მდგომ ელემენტებზე და ჩვენ წინააღმდეგობას ვუწევდით ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის ცდას, განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა გაფიცვა გრძელდებოდა.

აი რაში მდგომარეობდა ჩვენი ხაზი ამ საკითხში როგორი უნდა იყოს მომავალი ამოცანა? ჩვენ ვხედავთ, რომ გვაქვს მხოლოდ პატარა საბჯენი, მხოლოდ პირველი კავშირი ინგლისის მუშებთან. ინგლის-რუსეთის კომიტეტის საშუალებით ჩვენ ვეხმარებოდით გაფიცულ ამხანაგებს. მთელი ეს მუშაობა, მიუხედავათ უშუალო დამარცხებისა, დადებით შედეგებს იძლევა. გაფიცვის ხანში ინგლისის კომპარტია გაიზარდა ერთი ორად და კიდევ განაგრძობს ზრდას. ხაზი, რომელიც ისახება, მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო მასიურ მოძრაობაზე გავლენის საქმეში მიღებული ეს პირველი გამარჯვება უფრო გაღრმავდეს და გავრცელდეს მუშათა საერთაშორისო მასებზე.

გერმანიის ბურჟუაზია ახდენს ცდებს თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სცდილობს სოციალ-დემოკრატების საშუალებით გამოიყენოს უკმაყოფილების გაღვივება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ ჩვენ ახლო ხანში დავინახავთ გერმანიაში ახალ მთავრობას სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით, რომლებიც სცდილობენ გერმანიასა და საფრანგეთისაგან შეადგინონ ერთგვარი იმპერიალისტური კავშირი და ეს კავშირი იყიდონ საბჭოთა კავშირთან გერმანიის დამოკიდებულების გაუარესების ფასით. მაგრამ დახმარება, რომელსაც გაუწევენ ბურჟუაზიას სოციალ-დემოკრატები, მტკიცე შედეგებს არ გამოიღებს. ილიუსტრაციის სახით მოვიყვან მთავრობის გადატრიალებას ლიტვაში.

აქ იყო გლეხ-ტრუდოვიკებისა და წვრილი ბურჟუაზიის მთავრობა. ამას გარდა მთავრობაში შედიოდენ სოციალდემოკრატები, რომელნიც ემყარებოდენ მოსამსახურე ინტელიგენციას.

თურმე ეს ბლოკი, რომელიც თავისით წარმოადგენდა ბურჟუაზიულ მთავრობას, ჩამოგდებულ იქნა ერთ საღამოს. მთავრობის ჩამოსაგდებად არ გახდა საჭირო ხალხური მასების დიდი მოძრაობა. საკმარისი იყო ფაშისტური ოფიცრობის ერთი შეტევა, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში შესცვალა მთავრობის შემადგენლობა და ამჟამად რადიკალურად სცვლის მთავრობის ხაზს.

შეიძლება თუ არა ასეთი გადატრიალების წარმოდგენა რომელიმე პატარა საბჭოთა რესპუბლიკაში? საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ემყარება ხალხის მასებს და ასეთი გადატრიალებებით არავითარი მსგავსი რამის მოხდენა არ შეიძლება ჩვენ რომელიმე რესპუბლიკაში. ასეთია საერთო დასკვნა ყველა აქედან. თუ კაპიტალიზმი გამაგრდა ომის შემდეგდროინდელი პერიოდის ამ წლებში, მაშინ ჩვენს ამოცანას წარმოადგენს მასების დაპყრობა და ჩვენი პარტიის გავლენის განმტკიცება მუშებსა და გლეხებში. მასების დაპყრობის იგივე ამოცანა დასახა კომინტერნმა თავის უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმზე. ის წარმოადგენს უდიდეს რევოლუციონურ ამოცანას.

გადავიდა რა ჩინეთის მდგომარეობაზე, ამხ. მოლოტოვი ამბობს, რომ ინგლისი, იაპონია და ამერიკა სცდილობენ განაგრძონ ჩინეთის ხალხის ექსპლოატაცია.

„ჩინეთის ბრძოლა—ეს არის ბრძოლა იმპერიალიზმსა და ანტიიმპერიალისტურ ძალებს შორის. ჩინეთის რევოლუციის მნიშვნელობა იმაშია, რომ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის ჩინეთი, მოძრაობას ხელმძღვანელობს და მას სათავეში ჩაუდგა ჩინეთის პროლეტარიატი. ის ჯერ-ჯერობით სუსტია, მაგრამ მისი როლი კოლოსალური ხდება. ჩინეთის ბრძოლა შეიძლება შევადაროთ 1905 წელს, და შეიძლება კიდევ 1917 წლის გაზაფხულს ჩვენში. რევოლუციონურ ბრძოლას ჩინეთში აქვს კოლოსალური პოლიტიკური მნიშვნელობა, სოციალიზმისა [illegible] კაპიტალიზმის ბრძოლის საქმეში. [illegible] ძლია უშუალოდ დაადგეს სოციალისტური რევოლუციის გზას, ყოველ შემთხვევაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შემდეგი განვითარება ჩინეთის რევოლუციის წინაშე წარმოადგენს საკითხს—რომელი გზით წავა ის შემდეგში? გადაუხვევს კაპიტალიზმის ლიანდაგისაკენ, თუ წავა რევოლუციონური პროლეტარიატის გზით? ჩინეთის ბურჟუაზიის სისუსტის გამო შესაძლებელია ის, რომ ჩინეთის რევოლუცია უფრო აჩქარებული ნაბიჯით წავიდეს სოციალისტური რევოლუციის გზაზე, რაც სავსებით მოსალოდნელია, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩინეთის პროლეტარიატი წავიდეს იმ გზით, რომლითაც მიდის ჩვენი საბჭოთა პროლეტარიატი. (ტაში).

ასეთ პირობებში შეუძლებელია თქმა იმის, რომ სუსტდება ჩვენი იმედი სოციალიზმის გამარჯვებაზე ან და რწმენის დაკარგვა რევოლუციონური პროლეტარიატის გამარჯვებაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა კავშირი, რომ ჩვენი დახმარება საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისადმი იყოს უფრო ხელშესახები.

სოციალიზმის შენებლობის პრაქტიკული ამოცანები

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ეხება შინაურ ამოცანებს. იგი ამბობს, რომ ჩვენი მუშაობის ძირითადი ხაზი არის ინდუსტრიალიზაცია.

ეს ხაზი არ უარჰყოფს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებას, რომელიც მრეწველობის შინაგან ბაზას წარმოადგენს. ინდუსტრიალიზაცია არ ეწინააღმდეგება სასოფლო მეურნეობის განვითარებას, პირიქით, მრეწველობის განვითარებას უნდა დაუკავშირდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება. ჩვენმა მე-15 პარტკონფერენციამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ ამოცანებს იმიტომ, რომ მიმდინარე წელში განზრახულია სასოფლო მეურნეობის საერთო გაუმჯობესება. რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ნაკლს და დაბრკოლებებს, მაგალითად, მეთამბაქოების, მესელეობის, მებამბეობის მუშაობათა განვითარებაში. ეს ნიშნავს დაბრკოლებას მრეწველობის ნედლეული ბაზის განვითარებაში.

ჩვენ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ მრეწველობა განვითარდეს. მაშასადამე დაინტერესებულნი ვართ სასოფლო მეურნეობის განვითარებაში. აი რატომ წარმოადგენს ინდუსტრიალიზაცია ჩვენ ძირითად ამოცანას, რომელიც ეკონომიურად მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან და კერძოდ სასოფლო მეურნეობასთან არის დაკავშირებული.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ლაპარაკობს იმ დიდ წარმატებათა შესახებ, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ ამ წელში მრეწველობის განვითარებაში, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების აგების საქმეში. იგი აღნიშნავს ხემირეჩიის რკინის გზის გაყვანის მნიშვნელობას, რომელიც ციმბირის პურის რაიონებს შეაერთებს შუა აზიის მებამბეობის რაიონებთან; აღნიშნავს აგრეთვე დნეპროსტროის დიდ მნიშვნელობას ინდუსტრიალიზაციის საქმეში. შემდეგ იგი ამბობს:

ფასების შემცირება ჩვენი პარტიის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია. ამ საკითხში დიდი უთანხმოება იყო პარტიასა და ოპოზიციის შორის. პარტია იცავდა და იცავს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს ფასების შემცირებას ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე. ამოცანა დასმულია იმგვარად, რომ ფასების შემცირებამ ფართო ფენებამდე მიაღწიოს. ფასების ეს შემცირება არ უნდა ჩაყლაპოს ვაჭრო აპარატმა. ამასთან ერთად სდგას საცალო ფასების შემცირების ამოცანა. ამ საკითხშიაც იყო უთანხმოება ოპოზიციისა და პარტიის შორის. შემდეგ, ოპოზიცია იყო იმ შეხედულების, რომ მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელია კაპიტალების ნაწილი ამოღებულ იქნას ჩვენი სავაჭრო აპარატიდან და მოხმარდეს სამრეწველო აღმშენებლობას. ეს იქნებოდა ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის დაცემა და წვრილი ვაჭრების, სპეკულიანტებისა და აგრეთვე უფრო მსხვილი ვაჭარ-კაპიტალისტების განვითარება, განსაკუთრებით სოფლის მიმართ. ასეთი პოლიტიკა არაა სწორი, იგი ანტიპროლეტარულია. პარტიის ცეკას არ შეეძლო ამ ზომის მიღება.

საბითუმო ფასების დაკლებასთან ერთად აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ხარჯების შემცირებას კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო აპარატებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ საცალო ფასების შემცირებას.

ის, ვისაც სურს სოციალიზმის გამარჯვებისათვის მუშაობა, უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს საცალო ფასების შემცირების საქმეს. მხოლოდ ასეთი პოლიტიკა უზრუნველჰყოფს მუშათა და გლეხთა კავშირს.

ამხ. მოლოტოვი შეჩერდა რა პურის დამზადების მსვლელობაზე, სთქვა:

საბჭოთა მთავრობა წარმატებით უძლევა ფასების მოწესრიგებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში არის 22 მილ. გლეხთა მეურნეობა. პურის დამზადება წელს მიდის ისე, როგორც ეს გვქონდა გათვალისწინებული ჩვენს გეგმებში. წარსულ წელში, როცა პურის დამზადების ხელმძღვანელობა ოპოზიციონერ ამხანაგების ხელში იყო, ვერ მიდიოდა რიგიანად. კამენევმა იწინასწარმეტყველა, რომ წელს კულაკები შემოგვიტევენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგად ვატარებთ ფასების პოლიტიკას, პურის დამზადების კამპანიას ვატარებთ უკეთესად, ვიდრე შარშან.

მომხსენებელი შეეხო რა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებას, განაცხადა:

საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებაში ჯერ არ მიგვიღწევია დიდი შედეგებისათვის. მე-15 პარტკონფერენციამ აპარატის გაუმჯობესების ამოცანა წამოაყენა როგორც ჩვენი პარტიის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი.

ამხ. მოლოტოვი კონფერენციის ყურადღებას აქცევს ამხ. რიკოვისა და ორჯონიკიძის მოხსენებებზე ამ საკითხის შესახებ.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი აღნიშნავს, რომ საბჭოების მომავალ გადარჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში. საბჭოების გადარჩევის ერთი ძირითადი ამოცანათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოების მუშაობაში ჩავაბათ მოჯამაგირეებისა, ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის აქტივი.

ინდუსტრიალიზაციასთან, სასოფლო მეურნეობის განვითარებასთან და ფასების შემცირებასთან ერთად საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა უდიდესი პრაქტიკული ამოცანაა, რომელიც უნდა იდგეს ყოველი პარტიული უჯრედის და ყველა პარტიული ორგანოების წინაშე.



შინა-პარტიული ოპოზიცია

თავის მოხსენების ბოლოში მოლოტოვი ჩერდება შინაპარტიულ მდგომარეობაზე. ახასიათებს რა ოპოზიციას, ის ამბობს:

— ოპოზიციის ძირითადი პრინციპი ამჟამად იგივე რჩება, რაც წინედ იყო. ეს პრინციპია—ტროცკიზმი, რომელსაც რევოლუციის დაწყებიდანვე ყველაზე მეტად გლეხობის ეშინოდა. ტროცკიზმი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია გლეხთან კავშირის შეფარდება სოციალიზმის მშენებლობასთან და რომ ეს წარმოადგენს მთავარ შეფერხებას ჩვენს გზაზე. ახლა კი ვხედავთ, რომ ტროცკი ამაზე ნაკლებს ლაპარაკობს. ახლა ცხადია, რომ ჩვენი შინაპარტიული მშენებლობა ემყარება მუშებისა და გლეხების შეთანხმებულ მუშაობას, რომ სოციალიზმს მუშები აშენებენ გლეხობასთან კავშირით. თქმა მის, რომ ეს შეუძლებელია, არ შეიძლება,—ეს არ იქნებოდა სინამდვილე.

ახლა გვიყენებენ ახალ დასაბუთებებს ჩვენი გამარჯვების შეუძლებლობაზე. ეს დასაბუთება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი საქმის დასრულებას, რომ იმ შეფერხებას, რომელსაც ჩვენ ვერ დავსძლევთ, წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალიზმი, რომლითაც ჩვენ გარემოცულნი ვართ. რასაკვირველია, ამხანაგებო, საერთაშორისო კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია; მას ჯერ კიდევ შეუძლია შეგვიშალოს ხელი ინტერვენციის, შეიარაღებული ჩარევის გზით და დაანგრიოს ჩვენი რესპუბლიკა, დაშალოს ჩვენი სოციალისტური მუშაობა.

ეს საფრთხე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და ამიტომ ადრეა საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ რამდენადაც საერთაშორისო პროლეტარიატს დღემდე არ შეეძლო ხელი შეეშალა თავდასხმისათვის ჩვენს სახელმწიფოზე, ვიდრე არსებობს ჩვენი კავშირი, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად,—პრაქტიკულად ის ცრუ საფრთხეა.

შემდეგ ოპოზიცია აღნიშნავდა, რომ იმ დრომდე, სანამ ჩვენ გვესაჭიროება კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარება ჩვენი მრეწველობის მომარაგების მხრივ, იმ დრომდე ჩვენი მშენებლობა იქნება მუდმივი საფრთხის ქვეშ. რასაკვირველია, ეს კოლოსალურ შეფერხებას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობისათვის, მაგრამ საკითხი ამით არ წყდება.

ოპოზიცია, რომელსაც არ სწამს ჩვენი გამარჯვება ბრალს გვდებდა ნაციონალურ შემოფარგლულობაში. ის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბრალს სდებდა იმაში, რომ ის გადავიდა ნაციონალური შემოფარგლულობის პოზიციაზე. მან განაცხადა, რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ სოციალიზმის აშენებას საერთაშორისო რევოლუციის გარეშე.

ეს ძირითადი საკითხი სადავო საგანს წარმოადგენდა ლენინსა და ტროცკის შორის ჯერ კიდევ 1915 წელში, როცა ბოლშევიკურ ორგანოებში იმპერიალისტური ხოცვა - ჟლეტის [illegible] მოთავსებული იქნა ლენინის წერილი [illegible] ლებლობა. [illegible] ოკრატები [illegible] მის გამარ[illegible] „სოციალ[illegible] [illegible] დევ მაშინ [illegible] ადებს ხომ ლენინიც უნდა. [illegible], რომ ის [illegible] 1 რამდენიც უნდათ, იმ[illegible] თვალსაზრისზე. მაგრამ ეს ის [illegible] იყო, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ [illegible] რევოლუციამდე და იმ პროლეტარულ მშენებლობამდე, რომელსაც ჩვენ უკვე 10 წელია, რაც ვაწარმოებთ. სოციალ - დემოკრატები კომუნისტებისაგან მუდამ იმით განირჩეოდენ, რომ მათ არ სწამდათ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა. ამავე თვალსაზრისზე დგანან ისინი დღესაც. კომუნისტები კი მუდამ საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდენ და გამოსთქვამენ კიდეც, რომ კაპიტალიზმი უკვე ეცემა და მხოლოდ პროლეტარიატის არა საკმაო დარაზმულობით, არა საკმაო შეგნებით აიხსნება ის გარემოება, რომ პროლეტარიატის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყოფება, აიხსნება ის, რომ პროლეტარიატმა ვერ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში.

სოციალ - დემოკრატები სხვა შეფერხებებსაც პოულობენ. თუ წინად ისინი იყვნენ ოქტომბრის რევოლუციის, პროლეტარიატის აჯანყების წინააღმდეგ, წინააღმდეგი იმის, რასაც ჩვენ პროლეტარულ რევოლუციას უწოდებთ, დღეს მიგვითითებენ რა იმ პირობებზე, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვერ გავმაგრდებით, რომ ჩვენ ან კაპიტალიზმი გაგვქელავს, ან და გადავგვარდებით. ისინი, უმთავრესად, ემყარებიან ეგრედ წოდებულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას, მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს სტაბილიზაცია დროებითი მოვლენაა, რომ კაპიტალიზმი მიექანება თავის უფსკრულისაკენ და რომ ჩვენ, პირიქით, ვვითარდებით, მთელი ჩვენი მშენებლობა ამტკიცებს, რომ ჩვენ ვვითარდებით და სულ უფრო ვმაგრდებით. ოპოზიცია მოჭარბებულად ენდობა კაპიტალიზმის ტემპის განვითარებას და საკმაოდ არ აფასებს ჩვენს განვითარებას.

სოციალ - დემოკრატები დარწმუნებული არიან, რომ კაპიტალიზმი ხანგრძლივად იარსებებს და რომ პროლეტარული რევოლუცია ევროპის სახელმწიფოებში ჯერ კიდევ უდროოა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარტია სწორად სვამს საკითხს, როცა აცხადებს, რომ ის მშენებლობა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, შეიძლება გაგრძელდეს ერთ ქვეყანაშიც, და რომ ეს სრულიადაც არ წარმოადგენს ნაციონალურ კარჩაკეტილობას. თუ ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ სოციალიზმის მშენებლობისათვის, თუ ჩვენ მხარს უმაგრებთ ყოველგვარ ბრძოლას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულს, და ჩვენს მიზნად ვისახავთ საერთაშორისო რევოლუციას, ეს არ არის ნაციონალური კარჩაკეტილობა.

კამენევი, რომელიც ბრალს გვდებს ნაციონალურ კარჩაკეტილობაში, თვითვე იჩენს ლტოლვას სოციალ-დემოკრატებისადმი. ამასთან სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთაც კი არ უარჰყოფს იმას, რომ ჩვენში ვაშენებთ სოციალიზმს.

ამხ. კამენევი, ტროცკი, რადეკი და სხვა ოპოზიციონერები ბრალს სდებენ ჩვენს პარტიას იმაში, რომ თითქოს პარტიის ხაზი არ შეეფერება ლენინის პოლიტიკასო. ეს ბრალდება უაღრესად შემცდარია. იმ ბრძოლაში სოციალიზმისათვის, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია იმ კაპიტალისტურ გარემოცვისათვის, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით. სწორედ ასეთ ხაზს იცავდა პარტია ყოველთვის, როგორც დღეს. ცხადია, რომ ეს ხაზი არის ჭეშმარიტად ლენინის ხაზი.

ჩვენ დავინახეთ, რომ პარტიამ დაამტკიცა თავისი განსაკუთრებული სიმჭიდროვე და მთლიანობა. ამ სიმჭიდროვის შედეგად ოპოზიცია დარჩა განმარტოებული.

ოპოზიციის გამოსვლის დროს მოსკოვის უჯრედებში, სექტემბერში ჩვენ დიდი შრომა დავხარჯეთ იმაზე, რომ თავი შეგვეკავებინა ხელმძღვანელ პარტიული ამხანაგების მობილიზაციისაგან ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ამისაგან მაინც შევიკავეთ თავი, რადგან დავრწმუნდით, რომ ჩვენი პარტია მთლიანად არც ისე სუსტად არის მომზადებული, რომ მუშურ უჯრედებმა ვერ შესძლონ ოპოზიციონერების იერიშის მოგერიება. შემდეგშიაც არ გვინანია ეს. ისეთ უჯრედებმა, როგორიც არის „ავიოპრიბორისა" და „წითელი პუტილოველის" უჯრედი ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ოპოზიციის ლიდერებზე.

შეეხო რა ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, ამხ. მოლოტოვი ამბობს:

„ჩვენ ვიცით ამ გამოსვლის შედეგები. ჩვენ ვიცით, რომ ამ გამოსვლას ცენტრალურ კომიტეტისა და მთელი პარტიის წინააღმდეგ არავითარი დახმარება არ მიუღია კომინტერნის მხრივ. ჩვენ ვხედავთ, რომ აქაც ოპოზიცია ისევ დამარცხდა, როგორც [illegible] უჯრედებში. უც[illegible]რთხმოვანი იყო. ყველა მათგანმა პრინციპიალურად სწორად აღიარა საკ. კომ. პარ. (ბ) გადაწყვეტილებები, ყველა მათგანმა დაადასტურა მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები. ჩვენ დავინახეთ, რომ ოპოზიციის ლიდერებმა ყველგან, ჩვენი პარტიის მე-15 კონფერენციაზე და კომინტერნის პლენუმზედაც, სრული დამარცხება იგემეს. (ტაში).

მიუხედავათ პარტიული კონფერენციის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებისა, მიუხედავათ სრული დაგმობისა ყველა კომპარტიების მხრივ, ამხ. ზინოვიევს და სხვა ოპოზიციონერებს სურთ საკითხი აღძრან საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენს წინაშე არის ოპოზიციის უეჭველი სურვილი, რომ დისკუსია საერთაშორისო ასპარეზზე გადაიტანოს. მიუხედავად თავისი განცხადებისა 16 ოქტომბრის თარიღით, ოპოზიცია კვლავ განაგრძობს თავის მუშაობას და ძირს უთხრის ჩვენი პარტიის მთლიანობას. უეჭველია, რომ იგი ისწრაფვის მეორე პარტიის შექმნისაკენ, ახალი პარტიის შექმნისაკენ საერთაშორისო მასშტაბით. ცხადია, რომ ამ ახალ პარტიას სოციალ-დემოკრატიული გადახრა უნდა ჰქონდეს და საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს.

მაგრამ ჩვენ არ შეიძლება გვყავდეს სხვა პარტია, გარდა ბოლშევიკების პარტიისა, ერთადერთი პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობს პროლეტარიატს. კომუნისტებს ერთი ამოცანა შეიძლება ჰქონდეთ—ჩვენი პარტიის მთლიანობა და ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ ამ მთლიანობის დარღვევას.

ჩვენ ლიკვიდაცია უნდა მოვუხდინოთ ოპოზიციურ ბლოკს. ლიკვიდაციის მოხდენა—ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ორგანიზაციის ყოველმა წევრმა, ყოველმა შეგნებულმა მუშამ უნდა შეიგნოს ნათლად, ცხადათ გაითვალისწინოს ჩვენი პარტიისა და ოპოზიციის პოლიტიკა; მან უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენთვის აუცილებელია მაგარი მთლიანი ბოლშევიკური პარტიის შენარჩუნება. ბლოკის ეს ლიკვიდაცია ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. საქმის ვითარება უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის ეხლა, რომ ოპოზიციის ბელადები დარჩნენ პარტიული მასის გარეშე, რომ ისინი უჯარო გენერლები იყვნენ. აუცილებელია რკინის დისციპლინის შენარჩუნება ჩვენს პარტიაში.

ბოლშევიკების პარტია არის ის პარტია, რომელიც დღემდე ლენინის დროშით, კომუნიზმის დროშით მიდიოდა. ამჟამად, ოპოზიციაზე სრული გამარჯვების შემდეგ და ამასთანავე საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენ კვლავ უნდა გვწამდეს პროლეტარიატის გამარჯვება კაპიტალიზმთან ბრძოლაში. ჩვენ კვლავ უნდა გვწამდეს, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით ჩვენ მივაღწევთ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას (ხანგრძლივი მხურვალე ტაში).

რეზოლუცია ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო

სოხუმი, 30 დეკემბერი. ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო აფხაზეთის მე-8-ე პარტიულმა კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

აფხაზეთის მე-8-ე პარტიული კონფერენცია მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15-ე საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს.

აფხაზეთის პარტიული კონფერენცია აღნიშნავს, რომ ჩვენმა პარტიამ, რომელმაც დაჰკარგა თავისი გენიალური ბელადი ამხ. ლენინი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის თითქმის ექვსი წლის არსებობის განმავლობაში, უძნელეს პირობებში, შესძლო გამოენახა სწორი ხაზი და აიღო მტკიცე კურსი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ხელმძღვანელობით, ის არ ასცდა ლენინიზმის საფუძვლებს და გადაუხვევლად ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში.

აფხაზ. პარტიული კონფერენცია კატეგორიულად ჰკიცხავს ახალ ოპოზიციას ტროცკის, ზინოვიევს და კამენევის მეთაურობით, რომელსაც სურს ჩვენი პარტია დააყენოს ავანტიურიზმის, ერთ ქვეყანაში, მაშასადამე, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობისადმი უიმედობის გზაზე, ოპორტიუნიზმის და ნახევრად მენშევიზმის გზაზე, რითაც გახრწნა და დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს რიგებში. აფხაზეთის პარტიული კონფერენცია, ითვალისწინებს რა პარტიის გამხრწნელ ასეთ იდეების საფრთხეს, სავსებით სწორად სთვლის მე-15-ე პარტკონფერენციის მიერ მოცემულ შეფასებას, სადაც ეს გადახრა ჩვენს პარტიაში დახასიათებულია, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

პარტიული კონფერენცია აღუთქვამს პარტიას, რომ ის მტკიცედ და სისწორით შეასრულებს მე-15-ე საკავშირო პარტკონფერენციის დირექტივებს, დაუზოგავად შეებრძოლება პარტიის შიგნით იდეურ მერყეობას, რომლის იდეური გამომხატველია ტროცკიზმი. ლენინური პარტია მთლიანი უნდა იქნეს იდეურადაც და ორგანიზაციულადაც და მხოლოდ ასეთი მთლიანობა უზრუნველყოფს სოციალიზმის მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენი რიგების სიმაგრეს და ძლიერებას ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ.

აფხაზეთის პარტიული კონფერენცია იწონებს ყველა ღონისძიებებს, რომელიც მიიღო საკავშირო კომპ. (ბ) ცეკამ ლენინურ პრინციპების სიწმინდის შესანარჩუნებლად, რასაც ახალი ოპოზიცია არღვევს, არ ერიდება რა იმასაც კი, რომ ლენინიზმი შესცვალოს ტროცკიზმით და გააჩაღოს ფრაქციული ბრძოლა ცეკასა და მთელი პარტიის წინააღმდეგ.

აფხაზეთის პარტკონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად ყველა სიძნელეებისა, რომელთაც ჩვენი პარტია განიცდის, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთაც ჩვენი პარტიის მუშაობაში ჰქმნის ოპოზიცია, ჩვენი პარტია წარმატებით სძლევს მათ და ყოველ წლობით მიდის წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით, ახდენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და იცავს ილიჩის მთავარ ანდერძს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შენარჩუნების შესახებ.

აფხაზეთის პარტკონფერენციას ღრმად სწამს, რომ შინაპარტიული დემოკრატიის განხორციელება, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცება, მუშაობა სახელმწიფო აპარატის მაქსიმალური გამარტივებისათვის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა, რომელსაც ამჟამად დიდი ენერგიით ეწევა ჩვენი პარტია—შექმნის ისეთ ატმოსფერას, რომელიც უზრუნველყოფს პარტიის, სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების და ყველა იმ ორგანიზაციების ნორმალურ და წარმატებით მუშაობას, რომელნიც სოციალიზმს აშენებენ.

აფხაზეთის მე-8-ე პარტკონფერენცია მხურვალედ ესალმება მსოფლიო რევოლუციის შტაბს—კომინტერნს და პროლეტარულ სოციალისტური რევოლუციის წინამძღოლს—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას. (ადს).

საბჭოთა პრესა

სოციალისტური დაგროვების ერთი წყაროთაგანი

როცა ვლაპარაკობთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო წყაროების გამოძებნაზე, ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ ამ მიზნით მოსახლეობის თავისუფალ საშუალებათა მოზიდვას. ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ შემნახველ სალაროებს. ამავე დროს ეს სალაროები მშრომელ მასებს ეხმარებიან უნაყოფო ხარჯების შემცირებასა და წვრილ-წვრილ თანხების დაგროვებაში, რასაც შემდეგ ისინი საწარმოო და მსხვილ სამომხმარებლო საჭიროებისათვის გამოიყენებენ. შემნახველი სალაროები თანდათან ღონიერდებიან. თუ 1923—24 წ. მათი ანაბარები საკავშირო მასშტაბით 11,2 მილ. მანეთს უდრიდა, 1924—25 წ. ანაბარების ნაშთმა მიაღწია 38,5 მილ. მან., ხოლო 1925—26 წ. დასასრულისათვის 86 მილ. მან. თავისთავად ეს ციფრი ძალიან მცირეა, ომის დრომდე შემნახველ სალაროებში თავმოყრილ ჯამებთან შედარებით, მაგრამ აქ აღსანიშნავია ანაბარების ზრდის ასეთი ტემპი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუშები და გლეხები ნაკლებად არიან ჩაბმულნი შემნახველ სალაროებში, რაც არ შეიძლება აიხსნას მათი ნივთიერი მდგომარეობის სიმძიმით, ვინაიდან ეს მდგომარეობა წლიდან-წლამდე უმჯობესდება.

„ამიტომ—წერს „იზვესტია",—გაძლიერებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქმის ორგანიზაციულ მხარეს. ტექნიკის გაუმჯობესებას, სოფლის პირობებთან შეფარდებულ პროპაგანდას. სოფლად ეხლაც არის რეალური სამეურნეო-ცხოვრებო საფუძველი წვრილ თანხების დაგროვებისათვის. ამასთან გვაქვს მზა-მზარეული აპარატი—7.930 შემნახველი სალარო ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გამდიდრდენ ძვირფასი კულტურული შენაძენით—ე. წ. მოძრავი ფოსტით. გლეხურ ბარათების დამტარებელთა მთელი ეს არმია, ადგილობრივი კაცები, რომელნიც საქმიანი ნდობით სარგებლობენ, უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა შემნახველობითი საქმის პროპაგანდისა და განვითარებისათვის.

[illegible]ში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ ხელფასის შემნახველ სალაროების საშუალებით დარიგების სისტემას. ამ მიმართულებით ხანმოკლე მუშაობის შედეგი გვიჩვენებს, რომ სალაროებში მუდამ რჩება მთელი გაცემულ ხელფასის არა ნაკლებ 10 პროცენტისა. თუ მთელი ხელფასის ჯამიდან, რაც სახ. საგ. კომისიის საკონტროლო ციფრებით მიმდინარე წლისათვის უდრის 6.288 მილ. მან., ავიღებთ ხელფასის მხოლოდ იმ ფონდებს, რომლებიც ეძლევათ სახელმწიფო დაწესებულებებს, მსხვილ მრეწველობას და ტრანსპორტს, ეს შეადგენს 4.260 მილ. მანეთს. თუ ჩავთვლით, რომ შემნახველ სალაროების საშუალებით ხელფასის გაცემის მეთოდი გატარდა მხოლოდ უფრო მსხვილ წარმოებებსა და დაწესებულებებში, და ამის მიხედვით 50 პროც. შევამცირებთ ზევით ხსენებულ ჯამს, შეიძლება ვსთქვათ, რომ არა ნაკლებ ორი მილიარდი მანეთისა დარიგდება შემნახველ სალაროების საშუალებით. წლის განმავლობაში სალაროებში დარჩება წაუღებელი (გამოვდივართ რა გამოცდილებით დამტკიცებულ 10 პროც. ნორმიდან) 200 მილ. მან. როგორადაც არ უნდა შევამციროთ ეს ჯამი, ის მაინც ბევრს შემატებს ანაბარების ეხლანდელ დონეს.

შემნახველ სალაროებს შეუძლიათ კიდევ მრავალ სხვა მეთოდის ხმარება. სასკოლო სალაროების ორგანიზაცია, ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით პირადი და საოჯახო საგნების შეძენა სალაროების საშუალებით და სხვა".

თუ სათანადო ორგანიზაციული და იდეური მუშაობა იქნა ჩატარებული, შემნახველი სალაროები გახდებიან სოციალისტური დაგროვების თვალსაჩინო წყაროდ. შემნახველი სალაროები უფრო ახლოს უნდა მიუდგენ მშრომელთა ფართო მასებს, შესძლონ მათი სრული ნდობის დამსახურება და ფართო პოპულიარობის მოპოება და უეჭველია, რომ ისინი გადაიქცევიან მძლავრ ორგანიზაციებად, რაც ასე აუცილებელია როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის აწევისათვის, ისე სოციალისტურ მშენებლობისათვის საჭირო საშუალებათა მოსაზიდავად.

ჩინეთის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

სახალხო არმიის ნაწილები ბრძოლით მიიწევენ აღმოსავლეთისაკენ

საფრანგეთი არ იზიარებს ინგლისის პოზიციას ჩინეთის საკითხში

პომერანიის საკითხის გამო გამწვავდა დამოკიდებულება პოლონეთსა და გერმანიას შორის

ბრძოლა ჩინეთში

საპროტესტო მიტინგები

ხანკოუ, 29 დეკემბერი. უჩანსა და ხანკოუში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგები გომინდანელების დაპატიმრების გამო ტიან-ძინში. ორივე მიტინგში 250.000 მეტ კაცმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგზე გამოვიდნენ მუშათა, სტუდენტთა, გლეხთა, ვაჭართა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ორატორები მოითხოვდენ, რომ კანტონის მთავრობა არ დაკმაყოფილდეს მარტო პროტესტით გომინდანელების დაპატიმრების წინააღმდეგ, **არამედ მიიღოს ეკონომიური რეპრესიული ზომები ინგლისის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ.** მიღებულ რეზოლიუციებში კანტონის მთავრობას წინადადება ეძლევა განაცხადოს ენერგიული პროტესტი და მოითხოვოს ინგლისელებისაგან დაპატიმრებულთა განთავისუფლება. (ადს).

იან-იუ-ტინის გადაყენება

პეკინი, 30 დეკემბერი. ჩჟან-ძოლინმა გადააყენა „ან-გო-ჩჟუნის“, ეგრედ წოდებულ „დამამშვიდებელ ნაციონალურ არმიის“ მთავარ შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი, რომელიც არ იწონებდა ჩჟან-ძო-ლინის პოლიტიკას უკანასკნელ დროს, კერძოთ, ჩჟან-ძო-ლინის გამგზავრებას პეკინში. (ადს).

სახალხო არმიის წინსვლა

პეკინი, 30 დეკემბერი. პრესის ცნობით, **სახალხო არმიის რაზმები განაგრძობენ წინსვლას აღმოსავლეთისაკენ.** სახალხო არმიის უშუალო მიზანია კუნციენის ხელში ჩაგდება. (კუნსიენი მდებარეობს ლოიანის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით, სამხედრო არსენალის მახლობლად).

ფინ-იუ-სიანი ჩავიდა შენსი - სიანფუს პროვინციის ქალაქში, სადაც პირადათ ხელმძღვანელობას გაუწევს სახალხო არმიის ოპერაციებს ხენანის პროვინციის წინააღმდეგ. (ადს).

ახალი გაფიცვა

პეკინი, 30 დეკემბერი. უცხოეთის ფოსტის ადმინისტრაციამ ჩანშაში (იუნანის პროვინციის დედა-ქალაქში(უარი თქვა ფოსტის მოსამსახურეთა კავშირის ცნობაზე, რის გამოც ფოსტის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვა. (ადს).

საფრანგეთის პოზიცია

პარიზი, 30 დეკემბერი. ბრიანმა საფრანგეთის ელჩებს პეკინში, ლონდონში, ბრიუსელში, ვაშინგტონში, რომში, ჰააგაში და ლისაბონში დაუგზავნა დეპეშა საფრანგეთის პოზიციის შესახებ ჩინეთის მიმართ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთი მიჰყვება დაცდის და მეთვალყურეობის პოლიტიკას და თავს შეიკავებს ყოველგვარ ჩარევისაგან ჩინეთის საქმეებში. საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს დაიცადოს ჩინეთში კრიზისის დამთავრებამდე, ხოლო შემდეგ მოლაპარაკება გამართოს იმ მთავრობასთან, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩინეთის ხალხის რწმუნებებით.

პარიზი, 30 დეკემბერი. საფრანგეთის პრესა იწონებს **მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას არ შეუერთდეს ინგლისის მემორანდუმს ჩინეთის საქმეების შესახებ და დაიჭიროს დაცდის პოზიცია.** გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფება როგორც კანტონის ძალა - უფლების ქვეშ მყოფ ოლქებთან, ისე ჩინეთის სხვა ოლქებთან. ამიტომ, გაზეთების აზრით, უგუნურება იქნებოდა რომელიმე მებრძოლ მხარესთვის უპირატესობის მიცემა; კანტონის მთავრობის ცნობა იქნებოდა თანხმობის გამოცხადება ჩინეთის დაყოფაზე.

„ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ ომალის მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ კანტონის მთავრობის წრეებში გაძლიერდა ბოლშევიკურ ელემენტებისადმი მტრული დამოკიდებულება.

„ევრ“ მოითხოვს, რათა საფრანგეთის მთავრობამ, რომელსაც ჰყავს მისია პეკინში, კანტონის მთავრობასთან დანიშნოს „ავტორიტეტული მეთვალყურეები“. (ადს).

იმპერიალისტების წინააღმდეგ

პეკინი, 30 დეკემბერი. კანტონში გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს მთავრობას, რათა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს წაართვას უფლება მისა, რომ მათ ჩინ იქონიონ საგანმანათლ. დაწესებულებანი და დაუყოვნებლივ გააუქმოს ხელშეკრულების ის მუხლები, რომელნიც მისიონერებს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს. (ადს).

შიშს დიდი თვალები აქვს

„გერმანული საფრთხე“

ვარშავა, 30 დეკემბერი. პოლონეთის პრესა განაგრძობს მსჯელობას „გერმანულ საფრთხის“ შესახებ.

სამხედრო სამინისტროს ორგანო **„პოლსკა ზბროინა“**, უპასუხებს რა ხილერის წერილზე, რომელიც მოთავსებული იყო „ბერლინერ ტაგებლატში“ (ხილერი სწერდა, რომ პოლონეთსა და გერმანიას შორის შესაძლოა დამყარდეს მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური მეგობრობა თუ გერმანია [illegible]

სახალხო დემოკრატების ორგანო **„გაზეტა პორანა ვარშავსკა“** აცხადებს: „პერიოდს 1919 წლიდან 1927 წლამდე შეიძლება უწოდოთ ასე: **„გერმანია უწინდელი ანტანტის დახმარებით მოემზადა იმისთვის, რომ გაუსწორდეს პოლონეთს“.** მორგანის გამომჟღავნებამ გერმანიის შეიარაღებულ მზადების შესახებ აღმოსავლეთ საზღვრებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა საზღვარგარეთ. გერმანია თანდათან უფრო დაჟინებით მოითხოვს პომერანიის დაბრუნებას გერმანიისათვის. რა ზომებს იღებს პილსუდსკის მთავრობა, პოლონეთის დასაცავათ გერმანულ საფრთხისაგან“. (ადს).

სოციალისტების ოპოზიცია

ვარშავა, 30 დეკემბერი. „კურიერ პოლსკი“ იუწყება, რომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის საბჭოს უკანასკნელ სხდომის შემდეგ განახლდა მოლა- [illegible] სოც. პარ[illegible] ზე“. (ად[ს]).

პრ[illegible]ორის მოკვლა

ვარშ[illegible] 30 დეკემბერი. **თავის ბინაზე მოჰკლეს პოლონეთის კომპარტიის ყოფილი წევრი ოპენგეიმი, რომელსაც ბრალდებოდა პროვოკატორობა.**

პოლონეთის გაზეთები ამტკიცებენ, თითქოს ოპენგეიმი მოკლეს კომპარტიის გადაწყვეტილების თანახმად. (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 30 დეკემბერი. **გერმანიაში ახალი მთავრობის შედგენის საკითხი ღიად რჩება.** აქამდის არ ყოფილა არავითარი ოფიციალური ცდა მთავრობის კრიზისის ლიკვიდაციისათვის. სწარმოებს მხოლოდ არაოფიციალური მოლაპარაკებები და კამათი პრესაში.

პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ მთავრობის შედგენის შესახებ პირველ რიგში წინადადებას მისცემენ მემარჯვენე პარტიებს, რომელნიც შეეცდებიან ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნას (ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკი დაწყებული ნაციონალისტებით და გათავებული დემოკრატებით). თუ ეს ცდა დამთავრდა მთავრობას შეადგენენ საშუალო პარტიები (დემოკრატები, ცენტრი და სახალხო პარტია). დიდი კოალიციის საკითხი ჯერ არ დასმულა. **პირიქით, მემარჯვენე ბურჟუაზიული პრესა იმუქრება, რომ თუ არ მოხერხდა მთავრობის შედგენა საშუალო პარტიებისაგან, რეიხსტაგი დათხოვნილ უნდა იქნეს.** (ადს).

ღამის ცნობები

მასწავლებელთა შრომის ლიგა

ლონდონი, 30 დეკემბერი. ლონდონში გახსნილმა მასწავლებელთა შრომის ლიგის კონფერენციამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ლიგაში საბჭოთა კავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან მასწავლებელთა ორგანიზაციების დელეგატების დაუშვებლობის წინააღმდეგ. (ადს).

ლონდონი უკმაყოფილოა

ლონდონი, 30 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ლონდონის ოფიციალურ წრეებში განცვიფრება და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საფრანგეთის მთავრობის უარის თქმამ შეუერთდეს ინგლისის მემორანდუმს ჩინეთში. (ადს).

ფაშისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 30 დეკემბერი. გუშინ კომპარტიისა და რეიხსტაგის კომფრაქციის დელეგაციამ გადასცა ლიტვის მთავრობის მისიას ბერლინში პროტესტი, ლიტვის ახალი მთავრობის მიერ შემოღებული ტერორისტული ღონისძიებების წინააღმდეგ და მოითხოვა ნებართვა კომფრაქციის სამი წარმომადგენელის შესვლისა ლიტვაში.

ლიტვის წარმომადგენელი შეჰპირდა მათ, რომ იგი ამის შესახებ შეეკითხება თავის მთავრობას.

საღამოს მუშები მოაწყვეს დიდი საპროტესტო დემონსტრაციები ლიტვის საელჩოს შენობის წინ. (ადს).

ბრძოლა ვენერიულ სნეულებებთან

მოსკოვი, 30 დეკემბერი. რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახკომსაბჭომ წარუდგინა დასამტკიცებლათ სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს დადგენილება ვენერიულ სნეულებებთან საბრძოლველ ზომების შესახებ. ამ დადგენილების თანახმათ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უფლება ეძლევათ მოახდინონ იძულებითი შემოწმება იმ პირების, რომელთაც შეეტყობათ ვენერიული სნეულებით დაავადება, თუ ეს პირები უარს იტყვიან ნებაყოფლობითი შემოწმებაზე. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უფლება ეძლევათ აწარმოონ მათი იძულებითი მკურნალობა, თუ ეს უკანასკნელნი შეპყრობილნი იქნებიან გადამდები ვენერიული სნეულებით და უარს ამბობენ ნებაყოფლობით მკურნალობაზე. ის პირები, რომელნიც შემჩნეულ იქნებიან მკურნალობიდან თავის არიდებაში ან შესწყვეტენ დაწყებულ მკურნალობას—იქნებიან პასუხისგებაში მიცემული თანახმათ სისხ. სამართ. კოდექსის 150 და 192 მუხლებისა. (ადს).

ლენინგრადის პროლეტარიატის აღშფოთება

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. ლენინგრადელი მუშები დიდი აღშფოთებით შეხვდენ ცნობას ოთხი ლიტველი კომუნისტის დახვრეტის შესახებ. მრავალ ადგილას გაიმართა მოძრავი მიტინგი, სადაც მუშებს გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები.

საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს: „კრასნი ტრეუგოლნიკის“, „კრასნი პუტილოვეცის“, რკ. გზის მთავარ სახელოსნოების და სხ. მუშებმა. (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ურთიერთობა ინგლისთან

ლონდონი, 29 დეკემბერი. ლონდონში გაიმართა სამთო სამრეწველო კომპანიის „კამ ბორდ ლიმიტედ“-ის საერთო კრება. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომპანიის თავმჯდომარე ბეკკერი, რომელმაც აუწყა კრებას, რომ კომპანიამ შეიძინა „ლენა გოლდფილდის“ კომპანიის აქციები. **„ლენა გოლდფილდის“ კონცესიონერების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან უაღრესად დამაკმაყოფილებელი ხასიათისაა.** ლენის სარეწავების ყოველთვიურმა ამოღებამ მიაღწია მნიშვნელოვან რიცხვს. მუშაობენ კომპანიის თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები. ახლო მომავალში კომპანია შეუდგება სპილენძის ამოღებას და გადადნობას. (ადს).

დამოკიდებულება ლიტვასთან

კოვნო, 30 დეკემბერი. მოსკოვიდან ჩამოვიდა ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარე პურიცკი, რომელმაც მთავრობას მოხსენება გაუკეთა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების მიზნით წარმოებულ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. (ადს).

იტალია-გერმანიის ხელშეკრულება

რომი, 30 დეკემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმ და გერმანიის ელჩმა **ნეირატმა** ხელშეკრულება დასდეს შერიგების პროცედურისა და არბიტრაჟის შესახებ. ხელშეკრულების დამდები მხარენი ვალდებულებას იღებენ მიმართონ შერიგების პროცედურას იმ შემთხვევაში, როცა მათ შორის წარმოიშობა ისეთი ხასიათის უთანხმოება, რომელიც ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით არ შეიძლება გადაწყდეს. თუ შერიგების პროცედურით ვერ გადაწყდა საკითხი, მაშინ უთანხმოება შეიძლება გადაეცეს განსახილველად არბიტრებს ან საერთაშორისო ტრიბუნალს ჰააგაში. ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 10 წლით. (ადს).

რუსი ემიგრანტები

პრაღა, 30 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის პრესა იუწყება, რომ **მინისტრთა საბჭომ** დაადგინა 1927 წლის პირველ იანვრიდან შეუმციროს მატერიალური დახმარება რუს ემიგრანტებს.

ოფიციალური „ჩეხოსლოვენსკა რესპუბლიკა“ აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი გამოწვეულია ფინანსიური მოსაზრებებით და მას არავითარი კავშირი არა აქვს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხთან. (ადს).

მილიერანის წინააღმდეგ

პარიზი, 30 დეკემბერი. „ეროვნული მთლიანობის“ ბლოკმა (მემარჯვენე ბლოკი) არ შეიტანა მილიერანი თავის კანდიდატთა სიაში იმ შიშით, რომ ცენტრის ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებმა არ გაილაშქრონ ბლოკის მთლიანი სიის წინააღმდეგ 9 იანვარს დანიშნულ არჩევნებში, რადგან მილიერანის გარშემო თავს იყრიან **უკიდურესი** მემარჯვენა ელემენტები. (ადს).

ფაშისტების ლიგა

ბერლინი, 30 დეკემბერი. „ჟურნალ დე ჟენევი“ აქვეყნებს ობერის ლიგის (მე-3 ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა) ახალ მემორანდუმს, რომელიც მოუწოდებს ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს შექმნან მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ

ამსტერდამი, 30 დეკემბერი. აქ მიღებული ცნობებით, ბატავიაში დააპატიმრეს **დოშლანი**, რომელსაც სთვლიან კუნძულ იავაზე მომხდარ აჯანყების მთავარ ხელმძღვანელათ. (ადს).

გერმანიის ჯაშუში

პარიზი, 30 დეკემბერი. პარიზში დაპატიმრებულ იქნა ინგლისის ყოფილი ოფიცერი **სტრანდერსი**, რომელიც გამტყუნდა იმაში, რომ **გერმანიის სასარგებლოდ აგროვებდა ცნობებს საფრანგეთის ავიაციის მდგომარეობის შესახებ.** (ადს).

ინდოეთის ნაციონალური კონგრესი

კონგრესის დახურვა

ლონდონი, 30 დეკემბერი. დაიხურა სრ. ინდოეთის ეროვნული კონგრესის სესია. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუციები მოწმობენ, რომ ნაციონალისტები ნაწილობრივ დაუბრუნდნენ განდის ბოლი- [illegible] ხორციელებას უცხოეთის მანუფაქტურისადმი. მთელი [illegible] რეზოლიუციები-სა შეიცავენ კონკრეტულ წინადადებებს ინდუსებსა და მუსულმანების ურთიერთობის შესახებ. (ადს).

პოზიცია უცვლელია

ლონდონი, 30 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **სრულიად ინდოეთის ეროვნულმა** კ[illegible] კრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს. (ადს).

უზუნოვიჩის მთავრობა

ვენა, 30 დეკემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, უზუნოვიჩმა სამხრეთ - სლავიის ახალ მთავრობის პროგრამის შესახებ განაცხადა, რომ მთავრობის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიური გაჯანსაღება, რის გამო უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პორტფელები გადაეცემა სპეციალისტებს და არა პარლამენტის მოღვაწეებს. საგარეო პოლიტიკის შესახებ უზუნოვიჩს არაფერი უთქვამს იმ მოსაზრებით, რომ ამ საკითხებზე განმარტებას მისცემს გარეშე საქმეთა მინისტრი **პერიჩი**. უზუნოვიჩმა არაფერი სთქვა აგრეთვე სამხრეთ-სლავიის საშინაო პოლიტიკის კურსის შესახებ იმ საბაბით, რომ ის ჯერ უნდა გაეცნოს სამინისტროს საქმეებს. (ადს).

ოსმალეთის ამბები

ახალი ხელშეკრულება

ანგორა, 30 დეკემბერი. ბერძნულმა გაზეთებმა, რომლებიც სტამბოლში გამოდიან, გამოაქვეყნეს ცნობები, თითქოს ოსმალეთსა და **სამხრეთ - სლავიას** [illegible] ხელშეკრულება ურთი-ერთ თავდაუსხმელობის შესახებ. (ადს).

ანატოლიის რკინისგზა

ანგორა, 30 დეკემბერი. „ხაკიმიეთ მილიე“ იუწყება, რომ დასრულდა მოლაპარაკება ანატოლიის რკინისგზის გამოსყიდვის შესახებ. გამოსყიდვის პირობები განსახილველად წარედგინა ფინანსთა სამინისტროს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი გემები

მოსკოვი, 30 დეკემბერი. ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ ლენინგრადის ნავთსადგურიდან ევროპაზე შემოვლით შავ ზღვაში მოემგზავრება ახალი ჩასასხმელი გემები „აზნავთი“ და „გროზნონავთი“. გზაზე ისინი შეჩერდებიან ჰამბურგში. (ადს).

ავიაქიმის ლატარია

მოსკოვი, 30 დეკემბერი. უკანასკნელი ცნობებით, ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ საავიაციო ლატარიის ბილეთების შესაძენათ გამოგზავნილ იქნა განცხადებანი 2,045000 ბილეთზე ე. ი. გამოშვებულ ბილეთებზე მეტი. (ადს).

ლითონის ნაწარმოები სოფლისათვის

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. „წითელ პუტილოველმა“ დაიწყო ლითონის ნაწარმოების დამზადება სოფლებისათვის. ქარხანა გამოუშვებს 1.000 ტონამდე ლითონის ნაწარმოებს. (ადს).

პურის ქარხანა

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. პურის დიდი ქარხნისათვის, რომელიც ლენინგრადში შენდება, ინგლისში დაკვეთილია ნახევარი მილიონი მანეთის მოწყობილობა. ქარხანა დასრულებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავისათვის. (ადს).

პროფკავშირის წევრთა აღრიცხვა

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მე-8 ყრილობის დადგენილების თანახმად, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა დაამუშაოს საკითხი 1927—28 წელში პროფკავშირის წევრთა საკავშირო აღრიცხვის ჩატარების შესახებ. კომისიას დაევალა აღწერის საორგანიზაციო გეგმისა და პროგრამის შემუშავება. (ადს).

მუსლიმანთა დეპეშა ამხ. რიკოვს

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა [illegible] გუბერნიის სოფ. ტუკაევის მუსლიმან გლეხებისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„თქვენი სახით მხურვალედ მოვესალმებით საბჭოთა მთავრობას, რომელმაც ბრძნულად გადაჭრა ეროვნული საკითხი, გამოეხმაურა მუსლიმანთა კულტურულ-რელიგიურ მოთხოვნილებებს და ხელი შეუწყო კავშირის მუსლიმანთა წარმომადგენლების გამგზავრებას მუსლიმანთა მსოფლიო ყრილობაზე არაბეთში. ღრმა თანაგრძნობიერი დამოკიდებულება აღმოსავლეთის თურქ-ეროვნებათა კულტურულ მოთხოვნილებებისადმი, რაც გამოიხატა სრულიად საკავშირო პირველ თურქოლოგიური ყრილობის მოწვევასა, კოზლოვის ექსპედიციის მუშაობასა, ჩრდილო-აღმოსავლეთ ერებისათვის მუშფაკის გახსნასა და სხვა მრავალ ღონისძიებებში, ღრმად შეიჭრა მუსლიმანთა გულში და გვაიძულებს ჩვენ გადაუხადოთ საბჭოთა მთავრობას უღრმესი მადლობა“. (ადს).

26 კომისართა ჯალათის საქმე

ბაქო, 30 დეკემბერი. ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში აზერბეიჯანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პროკურორმა ამხ. **გრიშინმა** შჩეგოლიუტინის საქმის შესახებ განაცხადა:

„გამოძიება შჩეგოლიუტინის საქმის შესახებ დამთავრდა და გადაეცა უზენაეს სასამართლოს სამოსამართლო კოლეგიას.

შჩეგოლიუტინს ბრალი ედება იმაში, რომ იგი თანაუგრძნობდა ესერების პარტიას 1905 წლიდან, მონაწილეობას იღებდა ესერთა ორგანიზაციის ყველა სხდომებზე, შეჰქონდა საწევრო გადასახადები და სხ. იგი საბჭოთა ხელისუფლების ერთი აქტიური მოწინააღმდეგეთაგანი იყო 1918 წლის სექტემბერში ქალაქ პოლტორაცკში; მან წინასწარ იცოდა ესერების პარტიის მიერ ტერორისტული აქტის მოწყობა—ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტის საქმე და უშუალო მონაწილეობა მიიღო ამის შესრულებაში; ვინაიდან შჩეგოლიუტინს მუშათა მასების აღშფოთების შიში ჰქონდა, იგი ხელს უწყობდა მკვლელობის საიდუმლოების შენახვას და პროვოკაციის შექმნას იმის შესახებ, რომ 26 კომისარი თითქოს ინდოეთშია გადაგზავნილი. ამისათვის იგი, იმავე წლის 19 დეკემბერს სპეციალურად იყო დანიშნული იმ ორთქლმავალზე, რომელსაც კრასნოვოდსკში მიჰყავდა 26 კომისარი და პოლიტიკური ნდობით იყო აღჭურვილი კასპიის მხარის მთავრობის თავმჯდომარის ფუნტიკოვის მიერ; მას მატარებელი პოლტორაცკიდან კრასნოვოდსკამდე მიჰყავდა ნორმალურ წესების დარღვევით.

შემდეგ, 20 სექტემბერს ღამით, მატარებლის იგივე შემადგენლობა დაპატიმრებული კომისრებით შჩეგოლიუტინს მიჰყავდა კრასნოვოდსკიდან დახვრეტის ადგილისაკენ შეუჩერებლად, რის გამოც თვით დახვრეტის ფაქტი ერთხანს ფართოდ არ იყო ცნობილი. ეს მოქმედება გათვალისწინებულია აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 და მე-64 მუხლებით.

ამ საქმის გამო გამოწვეულ იქნება 14 მოწმე მოსკოვიდან, კრასნოვოდსკიდან, კზილ-არვატიდან, პოლტორაცკიდან, ტაშკენტიდან და სხ. ადგილებიდან.

მოწმეთაგან გამოწვეულია შაუმიანის შვილი—სურენ შაუმიანი. შჩეგოლიუტინის ცოლი და სხ. საქმის გარჩევა დაიწყება 1927 წლის იანვარში. (ადს).

პარტიული კონფერენციები

ბაქოს მე-16-ე პარტკონფერენცია

29 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. მირზოიანის საბოლოო სიტყვა

ბაქო, 29 დეკემბერი. მთელ რიგ ამხანაგების გამოსვლის შემდეგ საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. **მირზოიანი.**

ჩერდება რა საუბნო მშენებლობაზე, —ამხ. მირზოიანი ამბობს: ჩვენ ცოტა ფულს გვაძლევენ არ იმიტომ, თითქოს ფიქრობენ, რომ ბაქოში დიდი მშენებლობა იყოს, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ფული ნაკლებათ არის, ხოლო საჭიროება კი დიდია. გადადის რა ბაქოს საბჭოს მუშაობაზე, მირზოიანი აღნიშნავს, რომ საბჭოს დეფექტებთან ერთად აქვს მნიშვნელოვანი მიღწევებიც. თუ შევადარებთ ჯანმრთელობის მდგომარეობას იმას, რაც შარშან იყო, დავინახავთ უდიდეს განსხვავებას. ერთი წლის წინად სამეურნეო, საფინანსო და ადმინისტრატიულ დარგებში არევდარევა იყო. ამჟამად მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ დეფექტები მაინც არის, რადგან ყველაფერის გამოსწორება ვერ მოვასწარით. ამიტომ ბაქოს კომიტეტისადმი წაყენებულ წინადადებებში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მიღებულ იქნეს ზომები ჩვენი მუშაობის გასაუმჯობესებლად და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ბაქოს საბჭოს ორგანოებში შემჩნეული ბიუროკრატიული გადამახინჯება და მის აღმოსაფხვრელად საჭიროა ბრძოლა, მაგრამ სრულიად მეტია ამ ფაქტის გაზვიადება, როგორც ზოგიერთი ამხანაგი სჩადის. სექციების მუშაობის დროს ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კომიტეტის და სექციების მხრივ საქმისადმი ფორმალურ,—ბიუროკრატიულ მიდგომას.

პარტიული მუშაობის დარგში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პარტორგანიზაციების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი პარტხელმძღვანელობა, რომელიც უნდა გავხადოთ უფრო ცოცხალი და უშუალო. უნდა შემცირდეს სხდომების და კრებების მოწვევა. უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე პარტუჯრედების დღის წესრიგის დატვირთვას მრავალი საკითხებით.

საკითხი პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების და გაძლიერების შესახებ პირველი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: მაქსიმუმი ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო პარტიულ მუშაობას, ერთხელ და საბოლოოდ აღმოფხვრილი უნდა იქნას ისეთი დამოკიდებულება საპროპაგანდო მუშაობისადმი, როგორიც არსებობს ჩვენს პარტორგანიზაციაში. თურქთა შორის მუშაობის შესახებ ამხ. მირზოიანი ამბობს: აქამდე ჩვენ ვიწვევდით თურქთა აქტივის ცალკე კრებებს. აქ ზოგიერთი ამხანაგები სამართლიანად აღნიშნავდენ, რომ უკანასკნელ ხანებში თურქთა აქტივის კრება არ ყოფილა მოწვეული. საჭიროა თუ არა საერთოდ ცალკე მუშაობის გაგრძელება თურქულ აქტივს შორის? (ხმები:—არა!)

ვფიქრობ, რომ არავისთვის ეს სადაო არ არის. არაა საჭირო. საჭიროება არ მოითხოვს გამოვიყენოთ [illegible] თურქები ჩვენს [illegible] მუშაობას. თურქთა შორის მუშაობა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთი-ერთი უმთავრესი ნაწილია.

გადავდივარ ეროვნულ საკითხზე, ინტელიგენციის საკითხზე. ვფიქრობ, ყველა ამხანაგები დამეთანხმებიან, რომ მუსავატელების მხრივ არავითარი საფრთხე არ არსებობს. ამიტომ საჭიროებას არ მოითხოვს ვიყვიროთ და ქვეყანა შევძრათ ამის შესახებ. მართალია ის, რომ მუსავატელები მუშაობას ეწევიან ახალგაზრდებს და აზერბეიჯანის გლეხებს შორის. ჩვენ ამ მუშაობას კონტრ-მუშაობით ვუპასუხებთ, რაც შეეხება ინტელიგენციას, საერთოდ რომ ვსთქვათ. ჩვენ მუშაობაში უნდა ჩავაბათ საბჭოთა სასარგებლოდ განწყობილი, ლოიალური ინტელიგენცია. მაგრამ საქმის ვითარება გვაიძულებს ვამუშაოთ მთელი ინტელიგენცია. ჩვენ მათ ვამუშავებთ არა იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს ეს ინტელიგენცია, არა იმიტომ, რომ ასეთია პარტიის ხაზი. არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვჭირდება იგი. ამგვარად ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთაც ჩვენ ვატარებთ ამჟამად ეროვნულ პოლიტიკის სფეროში, გვაიძულებენ გამოვიყვანოთ მთელი თურქული ინტელიგენცია.

— რა მიღწევები გვაქვს ჩვენ გასული წლის განმავლობაში? — კითხულობს სიტყვის დასასრულს ამხ. მირზოიანი:—საერთოდ ჩვენ გვაქვს — ჩვენი სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობის ზრდა მთელი 40%-ით, ჩვენი კოოპერაციის ზრდა და განმტკიცება, მისი საბრუნველო, ორგანიზაციული და ფინანსიური მოღონიერება. მუშათა კლასის ნივთიერი კეთილდღეობის გაუმჯობესება. როგორც ხელფასის, ისე საბინაო მშენებლობის და ფასების დაკლების დარგში; გვაქვს ჩვენი პროფკავშირების ზრდა და განმტკიცება, მასიური მუშაობის გაუმჯობესება, პროფკავშირების დაახლოება მასსებთან, და, დასასრულ ჩვენი პარტიის შესამჩნევი პოლიტიკური და კულტურული ზრდა. ამ წლის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯით წავიწიეთ წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კიდეც სოციალისტურ მეურნეობას.

ამხ. მირზოიანის უკანასკნელ სიტყვას ჰფარავს მქუხარე ტაში.

შემდეგ ლენინის რაიონის დელეგაციის სახელით შემოდის შემდეგი წინადადება: „მოისმინა რა ბაქოს კომიტეტის მოხსენება, ბაქოს მე-16 პარტკონფერენცია, მთლიანად და სავსებით იწონებს მის მუშაობას, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ხაზს სთვლის სწორად“.

იმავე დელეგაციის სახელით შემოდის წინადადება: „მოწონებული იქნეს სარევიზიო კომისიის მუშაობა და ანგარიში დამტკიცდეს“.

კონფერენციის მიერ ორივე წინადადება ერთხმად იქნა მიღებული ხანგრძლივი ტაშის ცემით.

ამით თავდება კონფერენციის 29 დეკემბრის საღამოს სხდომა.

[illegible]

საკონტროლო [illegible]სიის მუშაობა

ამხ. ეფენდიევის მოხსენება

ბაქო, 30 დეკემბერი. 30 დეკემბრის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. ეს მოხსენება თურქულ ენაზე გააკეთა ამხ. **ეფენდიევმა**, რუსულ ენაზე ამხ. **პლეშაკოვმა.**

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და აგრეთვე საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის დავალებით, — ამბობს ამხ. პლეშაკოვი, ჩვენ შევისწავლეთ პრობლემათა მთელი რიგი: ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილებათა (შინა - პარტიული მდგომარეობის შესახებ) ცხოვრებაში გატარების, კომკავშირის მუშაობის, ფაბქარკომების ფრაქციების მუშაობის და სხვ. საკითხები.

პირველი პრობლემის შესასწავლად ჩვენ გამოვიკვლიეთ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და სამაზრო კომიტეტების მუშაობა. ამასთანავე, ჩვენ გამოვარკვევთ, რომ ცოცხალი კავშირი ხორციელდება ცეკას და მაზრებს შორის. 5 თვის განმავლობაში ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრები, რომელნიც მაზრებზე იყვნენ მიმაგრებული, 22-ჯერ გაემგზავრნენ ადგილებზე, დაიარეს 16 მაზრა. ამ ხნის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა 6 მაზრა და ჩატარებულ იქნა სამაზრო კომიტეტების მდივნების 3 თათბირი ცეკასთან. გარდა ამისა, ადგილებზე იგზავნებოდა წერილობითი დირექტივები. ცეკას და მაზრების კავშირის ნაკლი, ჩვენი აზრით არის ის, რომ ცეკა ადგილებზე არ გზავნის საინფორმაციო წერილებს. სხვა ნაკლთაგან უნდა აღინიშნოს ის, რომ ჩვენი დაწესებულებების ხელმძღვანელები იშვიათად აბარებენ ანგარიშს ცეკას; იშვიათად აბარებენ ანგარიშს აგრეთვე პროფკავშირებში მომუშავე პარტიული ამხანაგებიც.

როგორც ვიცით, ოპოზიციამ არა ერთხელ აღნიშნა, რომ პარტიაში არსებობს შევიწროებისა და ზევიდან დანიშვნის სისტემა და რეპრესიულ ზომებს იღებენ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც კრიტიკას უკეთებენ პარტიის ამა თუ იმ ორგანოს. ცენტრ. საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ ცეკამ ერთი წლის განმავლობაში სამაზრო კომიტეტებს ურჩია მხოლოდ 20 მუშაკის მიღება, ამასთანავე სამაზრო კომიტეტებს არც ერთხელ არ განუცხადებიათ უარი. გამოირკვა, რომ დანიშვნის თავზე მოხვევას არ ქონია ადგილი.

კომკავშირის ორგანიზაციის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს ორგანიზაცია თავისი სოციალური შემადგენლობით არის ჯანსაღი, მაგრამ მას ნაკლები აქტივი ყავს, საკმაო არაა პარტიული აქტივი, ცუდად არის დაყენებული წევრების აღრიცხვა. ბაქოში ლენინის რაიონში მოხდა კომკავშირელების აღწერა, რომელმაც გამოარკვია, რომ სარაიონო ორგანიზაციის შემადგენლობის 22 პროცენტი „მკვდარი სულებია“. ზოგიერთი სოფლის უჯრედების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მათი შემადგენლობის 50 პროცენტმა ანბანი არ იცის, დანარჩენებმა ცოტა წერა-კითხვა იციან. კომკავშირთა უჯრედების აქტივობა სუსტია. მოხსენებებს უკამათოდ ისმენენ.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის ორივე გამოკვლევის შედეგად მიცემულ იქნა [illegible] დირექტივების მთელი რიგი და დასახულ იქნა ღონისძიებანი აღმოჩენილ ნაკლთა აღმოსაფხვრელად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება პარტ[illegible] მუშაობას და აღნიშნავს, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში პარტიული წესით პასუხისგებაში მიცემული იყო 327 წევრი და კანდიდატი; ამასთანავე, პარტიიდან გამორიცხულ იქნა 205 კაცი. გამორიცხულთა უმრავლესობა მოსამსახურეებია. ეროვნული შემადგენლობით გამორიცხულია: თურქები--56, რუსები—112, სომხები—13. პირველ რიგში არიან სამსახურში ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო გამორიცხულნი, შემდეგ — სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, მერე—ლოთობისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში პარტიიდან მექანიკურად გავიდა 391 კაცი, ნებაყოფლობით—51 კაცი. ნებაყოფლობით პარტიიდან გასვლის მიზეზია—ჯანმრთელობის სისუსტე, სარწმუნოება, ოჯახური მდგომარეობა, მოხუცებულება და სხვ. იყო აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა ნებაყოფლობითი გასვლის დროს არავითარ ახსნა-განმარტებას არ იძლეოდენ. იყო ერთი შემთხვევა, როცა პარტიიდან გასულმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია თავი დაანებოს ღვინის სმას და ამიტომ გადის პარტიიდან.

დაწინაურების დარგში ასეთი ციფრები გვაქვს: 1924 წელში დაწინაურებულ იქნა 165 კაცი, 1925 წელში—127, 1926 წელში—42 კაცი. თურქები დაწინაურებულთა საერთო რიცხვის 19 პროცენტს შეადგენენ. დაწინაურებულთა უმრავლესობამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მფლანგველობას და აღნიშნა, რომ 1924-25 წელში გაფლანგული თანხების რაოდენობა საერთოდ უდრიდა 266.000 მან. 1925-26 წ—261.000 მ.; 1924-25 წელში მფლანგველობა უმთავრესად იყო კოოპერაციაში (60 პროცენტი). წარსულ საფინანსო წელში კი გაფლანგვის საერთო თანხიდან კოოპერაციაზე მოდის მხოლოდ 10 პროცენტი. დანარჩენი გაფლანგვა ასე ნაწილდება: კავშირის ორგანიზაციების წარმომადგენლებზე მოდის 63.500 მან. სამეურნეო ორგანოებზე—64.000 მან. პროფკავშირებზე—14 ათასი მან., ბანკებზე—29 ათასი მან., სახალხო კომისარიატებზე—31 ათასი მან., ბაქოს საბჭოზე—29 ათასი მან. წარსულ წელში გამფლანგველთა შორის პარტიის წევრები შეადგენდენ 29 პროცენტს, ამ წელში კი—26 პროცენტს.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის კავშირი მუშკორებთან ხორციელდება ამისათვის [illegible] კომისიის საშუალებით.

მომხსენებელი შეეხო რა საბჭოთა აღმშენებლობის პრობლემის შესწავლას, სთქვა: [illegible]

საანგარიშო დროის განმავლობაში მუშ. და გლეხ. ინსპექციამ ჩაატარა 40 გამოკვლევა. ამ გამოკვლევათა შედეგებზე მე აქ [illegible] არ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ რამოდენიმე სიტყვას სასოფ.-სამეურნეო [illegible] სამრეწველო საქონლის ბაზრის [illegible] ფასების დაკლების საკითხის შესწავლის შესახებ.

გამოკვლევამ [illegible], რომ ჩვენი სახელმწიფო [illegible] კოოპერატიული ორგანოები არც [illegible] მიმართავენ ხოლმე კერძო ვაჭარს. ზოგან კი კერძო ვაჭარი პირდაპირ შუაში უდგას მათ და მომხმარებელს. სოფელს ეს ორგანოები სათანადო ენერგიით ვერ აწვდიან საქონელს.

შენიშნულია აგრეთვე, რომ შინამრეწველებს შორის არსებობს კონკურენცია და ამითაც სარგებლობს კერძო ვაჭარი. ამის გამო ჩვენ მივიღეთ ზომები შინამრეწველთა ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლათ.

ფასების დაკლების საკითხის შესწავლას მოვანდომეთ 3—4 თვე. გამოირკვა, რომ ზოგიერთ საქონელზე ფასების დაკლებასთან ერთად ძვირდებოდა ისეთი საქონელი, როგორიცაა, მაგ. ძვირფასი ქსოვილები, თეთრეული და სხვა სამრეწველო საქონელი.

შემდეგ ამხ. პლეშაკოვი ჩერდება ჩვენი სავაჭრო პოლიტიკის დამახინჯების ფაქტებზე, მოყავს მაგალითები [illegible] სახ. ვაჭრობის, „[illegible]“, „[illegible]ლესტრესტის“ და სხ. ორგანიზაციების პრაქტიკიდან.

ამხ. პლეშაკოვის მოხსენების შემდეგ მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანს ამხ. კახიანს, რომელსაც დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ამხ. კახიანს ხშირად ტაშით აწყვეტინებენ სიტყვას.

შემდეგ კონფერენცია ღებულობს მისასალმებელ მიმართვას თბილისის მომავალ მორიგ პარტკონფერენციისა და საქართველოს კომუნისტური პარტიისადმი.

დილის სხდომის დანარჩენი ნაწილი მოუნდა კამათს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენების გარშემო. კამათი გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

ამხ. კახიანის მისალმება

ბაქო, 30 დეკემბერი. ამხანაგებო, ნება მომეცით საქართველოს კომპარტიის ცეკას და თბილისის კომიტეტის სახელით ძმური კომუნისტური სალამი გადავცე ბაქოს მოწინავე პროლეტარიატს და მის სახელოვან ორგანიზაციას, ბაქოს ოცი ათასი კომუნარისაგან შემდგარ არმიას (მქუხარე ტაში, „ვაშა“). მე მოხარული ვარ მივესალმო ბაქოს ორგანიზაციის შეუჩერებელ ზრდას და მისი პარტიული რიგების განმტკიცებას. მე მოხარული ვარ მივესალმო იმ გიგანტიურ წარმატებებს, რომელიც ბაქოს პროლეტარიატს აქვს ამ უკანასკნელ წლებში სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე.

ჯერ კიდევ 1921 წ. აპრილში, როგორც კი გაჩნდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ილიჩი თავის წერილში ამიერ-კავკასიელ კომუნისტებისადმი ამბობდა: „მე მხურვალედ ვესალმები კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს. ნებას მივცემ თავის თავს იმედი გამოვსთქვა, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ნიმუშს ეროვნული მშვიდობიანობისას, რომლის მსგავსი არ ნახულა ბურჟუაზიის დროს და რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაში“.

დირექტივა მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობის დამყარების შესახებ ჩვენ შევასრულეთ, აქ, ამიერ-კავკასიაში მტკიცედ და ურყევად დამყარებულია ნაციონალური მშვიდობიანობა (ტაში).

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ იქ, საზღვარგარეთ მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკელები და მთელი კონტრ-რევოლიუციონური ბრბო გაერთიანდენ მათ მიერ დაარსებულ „ამიერ-კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ კომიტეტში“. ეს არა მკითხე კომიტეტი ფიქრობს კავკასიის „განთავისუფლებას“ ბოლშევიკებისაგან. ამ კომიტეტში შედიან იგივე ჟორდანია, რასულ-ზადე და სხვა ავანტიურისტები, რომელნიც აქედან გააძევეს ამიერ - კავკასიის მუშებმა და გლეხებმა. მუსავატელების მეთაურმა რასულ-ზადემ სტამბოლის გაზეთ „იენი[illegible]“ [illegible] წერილი, რომელ[illegible] ამბობს, რომ რუსეთში კრიზისი [illegible] ლი დავა იმას როდი [illegible] თუ არა საბჭოთა ხე[illegible] უკვე გადაწყვეტილი საქმეა,—საქმე იმაშია, როგორ მოხდება ეს დაცემა; რასულ-ზადეს უფრო შესაძლებლად მიაჩნია აჯანყება ქვეყნის შიგნით. აქ „საპატიო“ ლტოლვილმა რასულ-ზადემ წამოროშა ის, რაზედაც ფიქრობს და ოცნებობს ამიერ-კავკასიის კონტრ - რევოლიუციონური ემიგრაცია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მუშათა კლასზე და გლეხობაზე მათ არავითარი გავლენა არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. მაგრამ ფაქტია ის, რომ ისინი წარმოადგენენ უკმაყოფილო ელემენტების ორგანიზატორებს ქვეყნის შიგნით, ხოლო მეორე მხრით კი—საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტებს. აი ამიტომ ჩვენ სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ. ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ სიფრთხილე და უნდობლობა მტრისადმი—ეს კარგი ბოლშევიკური თვისებაა.

მეორე, რაზედაც მე მინდოდა შემეჩერებია თქვენი ყურადღება, ეს—საწარმოო ძალთა განვითარება. ლენინი იმავე წერილში ამიერ-კავკასიის კომუნისტების მიმართ ამბობს, რომ „როგორადაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხების შორის, უფრო მნიშვნელოვანია შენარჩუნება და განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორც სოციალიზმში გადასვლა“. შემდეგ ილიჩი უფრო ზუსტად გამოსახავს ამ დებულებას და ამბობს, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, საჭიროა ხელი მივყოთ ელექტროფიკაციის და მორწყვის საქმეს, გამოვიყენოთ ნავთის წყაროები, მარგანეცი, ქვანახშირი და ჩვენი ქვეყნის სხვა სიმდიდრეები სოციალიზმში გადასასვლელად. ყველაფერ ამას ჩვენ ვასრულებთ უფრო თვალსაჩინოთ ბაქოში. საუკეთესო სიმფონიაა ჩვენში ბაქოს ნავთის საწარმოთა სიმფონია. აქ მოგვესმის მოზარდი სოციალიზმის ნამდვილი მუსიკა. დაე, პანიკით მოცულნი და სულმდაბალნი ოპოზიციონერები მოვიდნენ ამ საწარმოებზე, მოუსმინონ ბაქოს ნავთიან ნიადაგის გუგუნს და ნახონ როგორ აწარმოებს ბაქოს პროლეტარიატი სოციალისტურ აღმშენებლობას. (ხანგრძლივი ტაში). მუშების მარჯვენამ ნავთის მეფეების ბაქო გადააქცია საბჭოთა სოციალისტურ ბაქოთ. ბაქო, გამარჯვებულ მუშათა კლასის ქალაქია. (ტაში).

მესამე, რაზედაც მე უნდა შევჩერებულიყავი, არის ბაქოს პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა. მე,როგორც ბაქოს მე-16 საქალაქო კონფერენციის მოწმემ, უნდა ვსთქვა, რომ ბაქოს ორგანიზაციას ჩაუტარებია დიდი მუშაობა. 20.000 ბაქოელი კომუნარი—ეს ნამდვილი ციხე-სიმაგრეა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების. მე ვფიქრობ, რომ იმ მდგომარეობის დროს, რომელიც ჩვენ გვაქვს, შევსძლებთ შევასრულოთ პარტიის წინაშე მდგარი ყველა ამოცანები. ის წინააღმდეგობა, რომელიც ბაქოს ორგანიზაციამ გაუწია ოპოზიციას, მოწმობს, რომ ბაქოს ორგანიზაცია დგას ჭეშმარიტ ლენინურ გზაზე. ჩვენი პარტია არის, იყო და უნდა დარჩეს ლენინის მთლიან პარტიად. ჩვენი პარტია მტკიცედ სდგას ლენინიზმის საფუძვლებზე. გაუმარჯოს ბაქოს კომუნარებს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მტკიცე საყრდენს დაე იცოცხლოს და იშრომოს ბაქოს პროლეტარიატმა ჩვენი ქვეყნის მტრების სამწუხაროდ და მეგობრების გასახარებლად. (ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის).

მისალმება ამხ. კიროვისაგან

ბაქო, 30 დეკემბერი. ბაქოს მე-16 პარტკონფერენციამ მიიღო ამხ. კიროვისაგან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ვუძღვნი მხურვალე ძმურ სალამს ბაქოს მე-16 პარტკონფერენციას. ბაქოს ორგანიზაციამ ოპოზიციონურ ბლოკთან და გაკოტრებულ „ბელადებთან“ ერთი წლის ბრძოლით დაამტკიცა თავისი ბოლშევიკური სიმტკიცე და ლენინიზმის საქმისათვის თავდადება. ორგანიზაციამ სავსებით გაამართლა პარტიის უძველეს გამობრძმედილ რაზმის სახელი და თავისი მდიდარი წარსულის სიმაღლეზე აღმოჩნდა ის. ბაქოელ კომუნარების 20-ათასიანმა არმიამ თავისი სასტიკი წინააღმდეგობით, რომელიც მან გაუწია ტროცკიზმს და ახალ ოპოზიციას, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის ღირსია ლენინური პარტიის საუკეთესო ორგანიზაციების მოწინავე რიგში იდგეს და იყოს ლენინის საქმის საიმედო დასაყრდენი ამიერ - კავკასიაში და აღმოსავლეთში. თქვენი კონფერენცია, რომელიც ემყარება მთელი პარტიული მასის გაერთიანებულ ღონისძიებებით მიღწეულ გამარჯვებას სოციალ - დემოკრატიულ გადახრაზე, კიდევ უფრო გაამხნევებს ბაქოელ პროლეტარებს, კიდევ უფრო განუმტკიცებს მათ სოციალიზმის სრული გამარჯვების იმედს.

გაუმარჯოს ბაქოს სახელოვან პარტორგანიზაციას და მის მე-16 პარტკონფერენციას! გაუმარჯოს ბაქოს მუშებს—სოციალიზმის მხნე მშენებელთ“.

(დეპეშის უკანასკნელ სიტყვას მქუხარე ტაში ჰფარავს).

აფხაზეთის მე-7-ე პარტკონფერენცია

სოხუმი, 30 დეკემბერი. პარტკონფერენციის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის ამხ. მასხულიას მოხსენება.

მთავარ მუშაობას, ამბობს ამხ. მასხულია, წარმოადგენდა პარტიული შემოწმება, რაც 8 თვე გაგრძელდა მაისიდან ივლისამდე. შემოწმებულ იქნა 844 წევრი და კანდიდატი. პარტშემოწმებასთან ერთად სწარმოებდა უჯრედების შემოწმებაც ყველა ოლქში. გარჩეულ იქნა დაახლოვებით 140 კომუნისტის საქმე. აქედან მეტი პროცენტი შეეხება პარტდისციპლინის, პარტეთიკის დარღვევას, გაფლანგვას და ლოთობას. ამ ხნის განმავლობაში მოხდა 35 გამოკვლევა და რევიზია, შარშან კი მხოლოდ 19 გამოკვლევა მოახდინეთ. გამოკვლევებიდან უნდა აღინიშნოს აფხაზეთის მიწათმოწყობის, მიწების არალეგალურად ყიდვა-გაყიდვის გამოკვლევა და კანონის შემოღება მიწის იჯარის შესახებ. გამოკვლევის და რევიზიების გამო პასუხისგებაში მიცემულ იქნა 22 კაცი.

ამხ. მასხულიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ორატორები აღნიშნავდენ, რომ რწმუნებული აპარატის შტატი არ არის საკმარისი.

მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. (ადს).

სოხუმი, 30 დეკემბერი. კონფერენციის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ჩანბას მოხსენება საბჭოების მომავალ გადარჩევის შესახებ.

მოხსენებიდან სჩანს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ ამომრჩეველთა მეტი პროცენტი—56.7 მოდის გალის მაზრაზე. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია უფრო მეტი რაოდენობით იქნენ ჩაბმული საბჭოებში ღარიბი გლეხები, მოჯამაგირეები და საშუალო გლეხები. (ადს).)

აჭარისტანის საოლქო კონფერენცია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკონტ. კომისიის მუშაობა

ბათომი, 30 დეკემბერი. 29 დეკემბრის დილის სხდომაზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისიის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. დოლიძე.

თავის მოხსენებაში ამხ. დოლიძე შეჩერდა ცენტ. საკ. კომისიის მუშაობაზე მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დარგში და განაცხადა, რომ საქართველოში გაწეულია ეკონომია 800.000 მ. მეტი თანხის.

საანგარიშო ხნის განმავლობაში პარტსასჯელ ქვეშ გატარდა 710 კაცი. აქედან 200 მუშაა, 210 გლეხი და დანარჩენნი—მოსამსახურენი. ამ რიცხვში 39 კაცი დასჯილია ფრაქციული ბრძოლისათვის, ხოლო მათში 22 დათხოვნილია პარტიიდან.

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა აჭარისტანში ს. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისიის რწმუნებულის ამხ. ტაკიძის თანამოხსენება.

ამხ. ტაკიძის თანამოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა ამხანაგმა.

დასასრულ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია ცენ. საკ. კომისიის მუშაობა.

30 დეკემბრის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. აკირტავას მოხსენება აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. (ადს).

ჭიათურის პარტკონფერენცია

ჭიათურა, 30 დეკემბერი. 28 დეკემბერს გაიხსნა სამაზრო პარტკონფერენცია.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ლოლუაერიძემ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიული ცხოვრების განყ—ბის შესახებ გაზეთებში

მოსკოვი, 30 დეკემბერი. ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილებამ 1924 წლის 1-ლ დეკემბრიდან პარტიული ცხოვრების განყოფილების სათანადო სიმაღლეზე დაყენების შესახებ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, თუმცა გამოიწვია ამ განყოფილების ერთგვარი გამოცოცხლება, მაგრამ ის მაინც სრულად არ არის გატარებული. პარტიული ცხოვრების განყოფილება თითქმის ყველა გაზეთშია, მაგრამ ამ გაზეთების უმრავლესობა რეგულიარულად არ ათავსებს მას. განსაკუთრებით არ არის დამაკმაყოფილებელი ეს განყოფილება გლეხურ გაზეთებში.

ამიტომ ცეკა თავის მიმართვაში ეროვნულ კომპარტიების ყველა ცეკასადმი, ცეკას საოლქო ბიუროებისადმი და საკ. კომ. პარ. (ბ) საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებისადმი მიუთითებს, რომ პარტიულ ცხოვრების განყოფილების შინაარსი მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული ადგილობრივი პარტიული კომიტეტის მუშაობასთან, და რომ პარტიული ცხოვრების განყოფილება უნდა გადაიქცეს პარტორგანიზაციებთან პარტკომების ყოველდღიური კავშირის ერთ-ერთ საშუალებად.

პარტიული ცხოვრების განყოფილების ამოცანა საერთოდ უნდა გამოიხატებოდეს: პარტიული მშენებლობის საკითხებზე პარტორგანიზაციების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებაში; პარტიული ორგანოების მუშაობისა და ღონისძიებათა ინფორმაციულ გაშუქებაში; პარტიული დირექტივების პრაქტიკულად შემოწმება-გაშუქებაში მუშკორებისა და სპეციალურ კორესპონდენტთა წერილების მასალების, საანკეტო დაკითხვების გამოყენებისა და პარტორგანოების მასალებისა და წერილების მოთავსების გზით; დაბალ პარტიულ ორგანიზაციების მდგომარეობისა და საქმიანობის გაშუქებაში; როგორც შინაპარტიულ, ისე მასსიურ პარტიული მუშაობის ახალი მეთოდებისა და ფორმების გამომუშავებაში; კომკავშირის ცხოვრებისა და კომკავშირის ორგანიზაციებზე პარტიული ორგანოების მიერ ხელმძღვანელობის გაწევის გაშუქებაში.

პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე დაშვებულ უნდა იქნას პარტკომების პლენუმის სხდომებზე. ძალიან მიზანშეწონილი იქნება, აგრეთვე, მისი დაშვება პარტკომის ბიუროების სხდომებზე. პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე ამავე დროს უნდა იყოს გაზეთის რედაქტორის მოადგილე ან და ამ გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

პარტიული ცხოვრების განყოფილების მუშაობა შეთანხმებული უნდა იყოს პარტიული კომიტეტის სამუშაო გეგმასთან. საჭიროა მოწესრიგდეს პარტიული ორგანიზაციების, განსაკუთრებით ოჯახი უჯრედების ცხოვრების სისტემატიური გაშუქება როგორც სარედაქციო ძალებით (პარტიული რეპორტაჟი), ისე მუშ-გლეხკორების საშუალებით. გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილებებმა მუდმივი კავშირი უნდა გააბან პარტკომებთან კომიტეტებისა და მათი განყოფილებების მუშაობის გაშუქებაზე ხელმძღვანელობის გასაწევად და, აგრეთვე, ინფორმაციულ განყოფილებათა, მასალების გამოსაყენებლად ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ცხოვრების გაშუქების მიზნით.

გაზეთების რედაქციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ პარტიულ კრებებზე მომხსენებლების მიერ მიღებული შეკითხვები და ბარათები პარტიის პოლიტიკისა და მუშაობის იმ საკითხების გასაშუქებლად, რომლებიც უფრო აინტერესებენ პარტიის წევრებს. ამასთან დაკავშირებით, პარტიული ცხოვრების განყოფილებები უნდა შეეცადნენ პარტ მუშაკი — ავტორების კადრის შექმნას წერილების მოთავსებისა და მკითხველებთან პოპულიარული საუბრების გამართვის გზით პარტიული მშენებლობის პრინციპიალური საკითხების გასაშუქებლად. არ არის მიზანშეწონილი პარტკორთა სპეციალური კადრის გამოყოფა. გაზეთებში პარტიული ცხოვრების გაშუქებაში საჭიროა ჩაბმულ იქნან მუშკორებისა და გლეხკორების, მათ რიცხვში უპარტიოთა ფართე მასები.

პარტორგანიზაციების მუშაობისა და ცხოვრების შესახებ კორესპონდენციების დამუშავების დროს არ შეიძლება მხოლოდ დასაბეჭდათ გამოსადეგი მასალების გადარჩევით დაკმაყოფილება; დასაბეჭდათ გამოუსადეგარი, მაგრამ საქმოსათვის ღირებულების მქონე მასალები საჭიროა გამოყენებულ იქნას პარტკომებისათვის ინფორმაციული ცნობების შესადგენად.

საჭიროა შემოღებულ იქნას საკონტროლო კომისიების მუშაობის სისტემატიური გაშუქება. მიზანშეწონილია, რომ საკონტროლო კომისიები იწვევდნენ თავის სხდომებზე პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგეთ, საკონტროლო კომისიების მუშაობის უფრო საფუძვლიანი გაშუქების მიზნით, და რომ საკონტროლო კომისიების მუშაკები უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას გაზეთებში საკონტროლო კომისიების მუშაობის გაშუქებაში. (ადს).

თბილისის პარტკონფერენციისათვის

პარტიაში მიღება და ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდა

თბილისის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში რამოდენიმეჯერ დაამუშავა ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების საკითხი. თბილისის კომიტეტის მარტის პლენუმმა მოისმინა მოხსენება თბილისის ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ და ამ საკითხის გარშემო დასახა მთელი რიგი ღონისძიებებისა.

პლენუმმა დაადასტურა, რომ საბჭოთა საქართველოს გაძლიერების, სამეურნეო აღორძინების, სოფლის მეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, მენშევიზმის გახრწნისა და მოშლის ნიადაგზე, განსაკუთრებით ავგისტოში მომხდარ ამბების შემდეგ, როცა მუშების უფრო ჩამორჩენილ, უფრო მერყევ ჯგუფებისათვის ცხადი გახდა მენშევიზმის საბოლოო დამარცხების ფაქტი, ჩვენ გვაქვს დიდი მიდრეკა მუშათა მასების სულიერ განწყობილების დარგში. გაიზარდა მუშების სიმპატია და ლტოლვა კომპარტიისადმი.

ამიტომ თბილისის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელსაც უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი და რომელიც არსებითად ხდებოდა დაზგის მუშების ხარჯზე, სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

პარტიაში მიღება და სოციალური შემადგენლობა

აგრეთვე ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციის ზრდა საანგარიშო წლის განმავლობაში. 1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის ოქტომბრამდე პარტიის კანდიდატად მიღებულია 1.106 კაცი, მათგან 708 კაცი ანუ 64,4 პროც. მუშები არიან. მუშების აბსოლიუტური ზრდა ორგანიზაციაში მიღების ხარჯზე შეადგენს 18,7 პროცენტს.

მიუხედავათ ორგანიზაციაში მუშათა რიცხვის აბსოლიუტური ზრდისა, მათი % ორგანიზაციაში მაინც შემცირდა. ეს აიხსნება იანვარში ჩატარებული სოციალური შემადგენლობის შემოწმებით და ორგანიზაციის შემდეგში დიდი ზრდით სხვა სოციალური კატეგორიების— მოსამსახურეთა და გლეხების ხარჯზე.

მუშა-მოსამსახურეებმა ორგანიზაციის შემადგენლობა აბსოლიუტურ რიცხვებში გაზარდეს 976 კაცით,—მათგან 392 კაცი მიღებულ იქნა კანდიდატათ, სხვა ორგანიზაციებიდან გადმოყვანილ იქნა 338 კაცი და 246 კაცი მუშების ჯგუფიდან გადაყვანილ იქნა მოსამსახურეთა და გლეხების ჯგუფში ორგანიზაციის სოციალური მდგომარეობის შემოწმების დროს.

ზემოაღნიშნული ორი მომენტი—ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის შემოწმება და მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა სხვა ორგანიზაციებიდან გადმოსულთა ხარჯზე, წარმოადგენს ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის გაუარესების ძირითად მიზეზს. მუშები შეადგენდნენ 72,5 პროც., ახლა კი შეადგენს 65,8 პროც.-ს. საერთოდ, თუ არ ჩავთვლით ამ ორ გარდამავალ მიზეზს, რადგან შეუძლებელია ორგანიზაციაში მოძრაობის შეჩერება, ხოლო საჭირო იყო მისი სოციალური შემადგენლობის შემოწმება, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის ნამდვილი სურათის მოცემის მხრივ, ორგანიზაციის ზრდა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. შესრულებულია პლენუმის მიერ მოცემული დირექტივები მუშათა აქტივის ზრდის შესახებ ორგანიზაციის შემადგენლობაში.

მოსამსახურეთა მიღება იძლევა შემდეგ სურათს: სულ მიღებულია 315 ანუ 28,6 პროც. მოსამსახურე, რომელთაგან 188—ქალაქის რაიონში.

კომკავშირელთა მიღება პარტიაში

იმ დროს, როცა კომკავშირს ჰყავს მუშა-ახალგაზრდათა საკმაო კადრი (20 წლამდე—2000 კაცი), პარტაქტივის პროცენტი კომკავშირში მეტად დაბალია (10—11 პროც.).

თბილისის კომიტეტი და რაიკომები სუსტად ასრულებდნენ თბილისის კომიტეტის პლენუმის დირექტივებს კომკავშირში პარტაქტივის გაზრდის შესახებ. მთელი საანგარიშო ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებულ იქნა 335 კომკავშირელი, რომელთა უმრავლესობასაც მოსამსახურეები შეადგენენ და არა მუშა-ახალგაზრდობა. მარტო ქალაქის რაიონში მიღებულია 142 კომკავშირელი—მოსამსახურე. კომკავშირელთა მიღებას პარტიაში არ ექცეოდა საკმაო ყურადღება. პარტიაში მიღების დროს ძველ კომკავშირელებს უფრო მეტ მოთხოვნილებებს უყენებდენ, ვიდრე უპარტიო მუშებს, რაც ერთგვარად აფერხებდა კომკავშირის წევრთა გადაყვანას პარტიაში.

ქალების მიღება პარტიაში

აგრეთვე სუსტად ტარდებოდა პლენუმის დირექტივა ორგანიზაციაში ქალთა პროცენტის გადიდების შესახებ. მთელი ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებულ იქნა 88 ქალი, რომელთა უმრავლესობას მოსამსახურე ქალები შეადგენენ. პარტიაში ქალების ასეთი სუსტი ჩაბმით აიხსნება, რომ ორგანიზაციაში ქალთა ისედაც მცირე პროცენტი უფრო შემცირდა. 8,7 პროც. მაგიერ ქალები შეადგენენ ორგანიზაციის შემადგენლობის 8,3 პროცენტს. 1925-26 წლ. გაწვევის მუშა-ქალთა, რომელთა რიცხვი უდრიდა 358-ს, დელეგატ-ქალთა გამოწვევამ პარტიას მისცა 18 კაცი.

სხვა პარტიიდან გამოსულთა მიღება პარტიაში

გამოდიოდა რა საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან, სადაც მუშების უმრავლესობა წარსულში მენშევიკური პარტიის რიგებში იყო, თბილისის კომიტეტმა საჭიროდ სცნო ყოფილ მენშევიკ მუშების უფრო მოწინავე და რევოლიუციონური ნაწილის თავმოყრა ორგანიზაციის რიგებში.

ორგანიზაციის შემადგენლობაში სხვა პარტიებიდან გადმოსულთა რიცხვი შეადგენს 10 პროცენტს, ხოლო ლენინის რაიონში (ძირითად რაიონი, სადაც თავმოყრილია ყოფილ მენშევიკ-მუშების კადრი) სხვა პარტიებიდან გადმოსულთა პროცენტი აღის 15,8-დე.

საანგარიშო პერიოდში კანდიდატად მიღებულია სხვა პარტიებიდან გამოსული 70 კაცი, რაც მთელ მიღებასთან შედარებით შეადგენს 6,8 პროცენტს.

კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვა და კანდიდატთა შორის მუშაობა

თბილისის კომიტეტის პლენუმის დირექტივა ორგანიზაციაში კანდიდატთა %-ის დაკლების საკითხზე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. საანგარიშო პერიოდში კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულია 1,111 კაცი, რომელთაგან 988 ანუ 88,9 პროცენტს მუშები შეადგენენ. ამჟამად თბილისის ორგანიზაციაში კანდიდატთა პროც. შეადგენს 33,1-ს. კანდიდატთა არსებული პროცენტი ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელ წელში მიღებულ 1.101 კანდიდატს. უნდა მოველოდეთ, რომ ეს პროცენტი ახლო ხანში კიდევ დაიკლებს, რადგან 1086 კაცმა, ე. ი. მუშების 68,6 პროცენტმა უკვე გაიარა საკანდიდატო სტაჟი და მოკლე ხანში გადაყვანილი იქნებიან პარტიის წევრებად; მათი ნაწილი უკვე გადაყვანილია წევრად.

სუსტად არის დაყენებული მუშაობა კანდიდატთა შორის. მრავალ უჯრედში დღემდე არ არის გატარებული განსხვავება პარტიის წევრსა და კანდიდატს შორის.

წარმოებებში გაიზარდა როგორც პარტიულ მუშათა, ისე კომკავშირელთა რიცხვი. თუ წარსულ წელში მსხვილ სამრეწველო წარმოებებში გვყავდა პარტიულების 22,9 პროც. და კომკავშირელების 10,8 პროც., ამჟამად ეს რიცხვი გაიზარდა: პარტიულების 25,5 პროცენტამდე, ხოლო კომკავშირელებისა—12,7 პროცენტამდე. პარტიულების (პარტიულები და კომკავშირელები) საერთო პროცენტი შარშან უდრიდა 33,7-ს, ხოლო წელს უდრის 38,2 პროცენტს. პარტიულთა რიცხვის გაზრდა უმთავრესად ეხება ლენინისა და ქალაქის რაიკომებს. ლენინის რაიონში პარტიულთა რიცხვი წარმოება-დაწესებულებებში შეადგენდა 28 პროცენტს, ამჟამად კი—33 პროცენტს; ქალაქის რაიონში იყო 28,5 პროც., ამჟამად კი—53,4 პროც.; ავლაბარ-ხარფუხის რაიონში შემცირდა პარტიულთა რიცხვი—ეს, უმთავრესად, აიხსნება მთელ რიგ წარმოებებში უპარტიოთა რიცხვის დიდი ზრდით. პარტიულთა არსებული % სრულიად ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

მოსამსახურე პარტიულთა რიცხვი დაწესებულებებში ასეთია: სულ დაწესებულებებში, სადაც არის უჯრედები, კომუნისტები შეადგენენ 18,7 პროც. და კომკავშირელები 7,7 პროც.

პარტიული შემადგენლობა (კომკავშირელები და პარტიულები) დაწესებულებებში უდრის 31,1 პროცენტს.

ციფრები პარტიულთა შესახებ დაწესებულება-წარმოებებში ცალკე ეროვნებებისდა მიხედვით და პარტიულთა და უპარტიოთა ნაციონალური შეფარდების შესახებ სამრეწველო წარმოებებსა და დაწესებულებებში, გვიჩვენებენ, რომ უჯრედების ნაციონალური შემადგენლობა გამოხატავს მუშებისა და მოსამსახურეების ნაციონალურ შემადგენლობას წარმოებებსა და დაწესებულებებში.

თბილისის კომიტეტისა და რაიკომების მიმღები კომისიების მუშაობა

საკითხს მიმღები კომისიების შემადგენლობის შესახებ, ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგებისადმი სერიოზული მიდგომის აუცილებლობასთან დაკავშირებით, თბილისის კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია. როგორც რაიკომების, ისე თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიების შემადგენლობა იქნა შემოწმებული და შევსებული მუშების მიერ. უნდა ითქვას, რომ მიმღები კომისიები საკმაოდ სერიოზულად უდგებოდენ პარტიაში, განსაკუთრებით მოსამსახურეთა მიღების საკითხს.

რაიკომების მიმღებ კომისიებში შესულ განცხადებათა საერთო რიცხვიდან, პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვა 201 კაცს, მათგან 124 მოსამსახურეს. თბილისის კომიტეტის მიმღებმა კომისიამ პარტიაში მიღებაზე უარი განუცხადა 278 კაცს, უმთავრესად მოსამსახურეთ.

უნდა ითქვას, რომ უჯრედები, განსაკუთრებით საწარმოო უჯრედები, საკმაო სერიოზულობით ეკიდებოდენ პარტიაში მიღების საკითხს.

უჯრედების მიერ გარჩეულ განცხადებათა საერთო რიცხვიდან (1651) პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვა 407 კაცს.

ამხ. ჩახუნაშვილის ხსოვნას

ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლამ კიდევ დაჰკარგა ერთი საუკეთესო, ენერგიული ახალგაზრდა-პოლიტ-მუშაკი ამხ. ტიტიკო ჩახუნაშვილი. ამხ. ტიტიკო 1922 წელს პარტ-ორგანიზაციის მიერ გადმოგზავნილ იქნა მეთაურთა სამხ. სკოლაში კურსანტად. სკოლაში მან დაჰყო სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში ის სწავლობდა, ასრულებდა პარტ-დავალებებს, და იყო სამაგალითო კურსანტი. 1924 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ ის იქნა გადაგზავნილი ლეგიონში ოცეულის თავის თანამდებობაზე, სადაც ნდობა და სიყვარული მოიპოვა წითელარმიელთა შორის. ლეგიონში მან დაჰყო რამოდენიმე თვე, რის შემდეგ გადმოყვანილი იქნა ქართ. სამხედრო სკოლაში, ჩქარა ამხ. ტიტიკო, როგორც საუკეთესო აქტიური ამხანაგი არჩეულ იქნა სკოლის კომუჯრედის ბიუროს წევრად. ის დაუღალავ მუშაობას ეწევა აქაც, მაგრამ მისი ჯანმრთელობა ვერ იტანს გაძლიერებულ მუშაობას. ამხ. ტიტიკო ავადმყოფდება. ის მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში, სადაც მკურნალობის შემდეგ თითქოს მომჯობინდა კიდეც, მაგრამ დაავადებულმა ორგანიზმმა საბოლოოდ მაინც ვერ დაძლია ავადმყოფობას და 27 დეკემბერს დილით ის სამუდამოთ მოხცილდა წუთისოფელს. ამხ. ტიტიკოს სახით სამხედრო მეთაურთა ქართულმა სკოლამ და ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო მუშაკი და ამხანაგი.

თ. ანთაძე.

წითელ ჯარში

სამხედრო წვევამდე მზადება და ტერიტორიალური სისტემა

მოკლე ხანში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყება 1905 და 1906 წლებში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება.

სამხედრო წვევამდე მზადებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალურ ნაწილებისათვის, ამიტომ მის სათანადო ჩატარებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება სამოქალაქო, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების მიერ.

ჯერ-ჯერობით კიდევ ყველას არა აქვს კარგად შეგნებული წვევამდე მზადების მნიშვნელობა. წვევამდე მზადებას ჩვენში უყურებენ როგორც ახალგაზრდობის ფიზიკურ მომზადებას, რომელსაც არ აქვს არავითარი კავშირი სამხედრო მზადებასთან. ეს არ არის სწორი შეხედულება. სამხედრო წვევამდე მზადება უპირველეს ყოვლისა არის სამხედრო სწავლების და სამსახურის პირველი საფეხური.

წითელ ჯარში სამსახურის ვადა ძალიან მცირეა: სწავლების საქმე წითელ ყაზარმაში ტექნიკის განვითარებასთან ერთად გართულებულია. სამხედრო საქმის პროგრამა გაფართოებულია. წითელ არმიელების მომზადება როგორც საკადრო ნაწილებში, ისე ტერიტორიალურ შეკრებების დროს იქნება საძნელო, თუ წითელი არმიელები არ გაივლიან წინასწარ წვევამდე სამხედრო მზადებას.

წვევამდე მზადების დროს მომავალი წითელი არმიელი ითვისებს ელემენტარულ სამხედრო ცოდნას, შეისწავლის შაშხანის ხმარებას, საბრძოლო წყობილებას, საყარაულო სამსახურს. ამ ცოდნით იგი მიდის ნამდვილ სამხედრო-სამსახურის მოსახდელად და აქ უეჭველია მას აქვს შეძლება შეითვისოს უფრო რთული საგნები ორი წლის განმავლობაში.

წითელი ჯარის სიძლიერე და მისი ბრძოლის უნარიანობა დამოკიდებულია წვევამდე მზადებაზე.

ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ორგანიზაციებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მიმდინარე წვევამდე მზადების სათანადოთ ჩატარებაში.

ი. ზ.

გასამხედროების ფრონტზე
(თბილისის მაზრა)

თბილისის მაზრაში ამჟამად არსებობს 25 სამხედრო კუთხე, გახსნილი № ქართ. დივიზიის ნაწილების მიერ.

კუთხეები მოწყობილია კლუბებთან და ქოხ-სამკითხველოებთან.

ყოველი კუთხე უზრუნველყოფილია ისეთ მასალებით და ექსპონატებით, რომელნიც საჭირო არიან სამხედრო საქმის შესასწავლად.

ზოგიერთ კუთხესთან შექმნილია სამხედრო საქმის შემსწავლი წრეები.

ნაკლებად მოიპოვება კუთხეებში სამხედრო საკითხების ლიტერატურა ქართულ ენაზე.

კუთხეების გამგეებათ გამოყოფილნი არიან [illegible] წითელი არმიელები და გრძელვადიან შვებულებაში მყოფნი. ჯარის ნაწილები უწევენ კუთხეებს დიდ დახმარებას, აწვდიან მათ სამუშაო გეგმას, დრო გამოშვებით გზავნიან მეთაურებს და პოლიტხელმძღვანელებს, რომელნიც ადგილობრივ აწარმოებენ მეცადინეობას.

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველო თავისი მხრივ აქცევს კუთხეებს სათანადო ყურადღებას. გაცემულია განკარგულება, რათა სამხედრო კუთხეების ხარჯთ-აღრიცხვა შეტანილ იქნეს კლუბის ან ქოხ-სამკითხველოს საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში. ამითი კუთხეები მატერიალურად იქნებიან უზრუნველყოფილნი.

—ზ.

წითელ ჯარში გაწვეული შეღავათიანები

თანახმად წითელი ჯარის მთავარ სამმართველოს ცირკულიარისა, წითელი არმიელები, დაბადებულნი 1904 წელში, რომელთაც აქვთ [illegible] 1 ხარისხის შეღავათი [illegible] ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, ან განთავისუფლებულ იქნებიან წითელი ჯარის რიგებიდან გამწვევ კომისიების დადგენილებით.

იმ წითელ არმიელებს, რომელთაც აქვთ 1-ლი ხარისხის შეღავათი და იმყოფებიან საკადრო ნაწილებში, უნდა შეიტანონ სათანადო განცხადება [illegible] გამწვევ კომისიებში, [illegible] განიხილავენ განცხადებას და გამოიტანენ შესაფერ დადგენილებებს.

დისპუტი

ცემენტის წარმოების შესახებ

29 დეკემბერს საინჟინერო-სატეხნიკო ძალთა ბიუროს ინიციატივით პროფკავშირების შენობაში გაიმართა დისპუტი საქართველოში ცემენტის წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებლათ აღნიშნული საკითხის შესახებ გამოვიდა ალ. დევდარიანი, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა ცემენტის ბაზას და აღნიშნა, რომ 1930 წლისათვის ამიერ-კავკასიაში საჭირო იქნება 12 მილიონი ფუთი ცემენტის შემოტანა.

საქართველოში ცემენტის საწარმოებლად წარმოდგენილი იყო ორი ვარიანტი: ერთ ტყიბულში და მეორე კავთისხევში. ტყიბულის ვარიანტი თავიდანვე უარყოფილი იყო, ვინაიდან გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ცემენტის წარმოების დაწყება იქ არამიზანშეწონილია. ცემენტის წარმოების ადგილის შესახებ ს. მ. უ. ს. არჩევანი შეჩერდა კავთისხევზე, რადგანაც აქ აღმოჩნდა ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები. მარტო კავთისხევში წლიურათ დამზადებული იქნება 7 მილიონი ფუთი ცემენტი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ინ. ბ. ბიჭიაშვილმა, ქურდიანმა, კონიუშევსკიმ, ჯანოევმ და სხვამ.

საახლშენო საქმე

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საახლშენო განყოფილების მიერ გამოკვლეულია სამი ახალშენი: სოფ. ორხევი, ახალი ბულგუმო და წითელი უბანი.

ახალ ადგილებზე დასახლებულ მოახალშენეებს მიეციათ გრძელვადიანი სესხის სახით 8.150 მანეთი.

ამავე თვის განმავლობაში დაგეგმილი არის ახალი სასოფლო ადგილი გორის მაზრაში, ე. წ. ტინის ხიდი, აღნიშნულ სოფელში განზრახულია დასახლებულ იქნეს 23 კომლი. გამოკვლეული და დაგეგმილია მთელ რესპუბლიკაში 1.300 დესეტინა საახლშენო ფონდი.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

მაზრებში

მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა არჩევნებისათვის საქართველოს ყველა მაზრებში დაიწყება 1927 წლის 1-ლ იანვრიდან და დამთავრდება 25 იანვრისათვის. ამ ხნის განმავლობაში ყველგან არჩეულ იქნება საარჩევნო კომისიები, შესდგება არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა სია, მოეწყობა არჩევნების მომწყობ კომისიების საინსტრუქციო თათბირები, გაკეთდება მოხსენებები საბჭოების მუშაობის შესახებ და სხვა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

უკვე დამთავრებულია დაბეჭდვა საარჩევნო ინსტრუქციების, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნება ადგილებს. ინსტრუქციები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ამჟამად იბეჭდება არჩევნებისთვის საჭირო ფორმები, რომელიც ერთ კვირაში დამთავრდება.

მოხსენება

საორგანიზაციო განყოფილების გამგეთა თათბირზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მათიკაშვილმა გააკეთა საინსტრუქციო მოხსენება არჩევნების ჩატარების შესახებ, ამავე თათბირზე დელეგატებს დაურიგდათ მასალები არჩევნების მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად.

აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

3 იანვრისათვის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მოწვეულია სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელიც გაარჩევს საკითხს საქალაქო საბჭოების შესახებ. ეს საკითხი დაკავშირებულია საბჭოთა მომავალ არჩევნებთან.

წიფასთან მომხდარ კატასტროფის გამო

ა.-კ. მთავრობის დადგენილება

მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა სად. წიფაში კაზანცევის სისტემის მუხრუჭებით მოწყობილ სატვირთო მატარებლის დამტვრევის გამოძიება, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. ცნობილ იქნეს, რომ სატვირთო მატარებლის დამტვრევა სად. წიფასთან გამოიწვია დანაშაულებრივმა უყურადღებობამ როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს აპარატში მომუშავე მთელ რიგ პირების და სად. წიფას უბნის აგენტების, ისე გამომძიებელ კომისიის მთელი შემადგენლობის მხრივ.
2. მიეცემულ იქნენ პასუხისგებაში შემდეგი პირები: 1) წევის დარგის სამსახურის უფროსი ლენტიევი, 2) გზის დარგის სამსახურის უფროსი—გოგიძე, 3) გამომძიებელი კომისიის წევრები: ლიუბანსკი, ვ. კაზანცევი (გამომგონებელი), კვინიკაძე, კუზმინი და 4) უბნის მოსამსახურეები: კერვალიძე, ბალაბუევი, სოლოვიოვი და ბარბაშიძე.
3. მოძრაობის დარგის სამსახურის უფროსის ნებისოვის და ტექნიკურ ნაწილში მომუშავე გვერდწითელის შესახებ წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში, რათა ისინი დასჯილი იქნან ადმინისტრატიული წესით.

მოსახლეობის აღწერა

როგორ ჩატარდა აღწერა

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აღწერის განყოფილებაში მიღებულია ცნობები, რომ რესპუბლიკის უმეტეს მაზრებში 30 დეკემბერს უკვე დასრულდა აღწერა, გარდა მთა თუშეთისა, ხევსურეთისა და ზოგიერთ სხვა მიუვალ ადგილებისა, სადაც აღწერა დასრულდება უახლოეს დღეებში.

რესპუბლიკის ცენტრალურ მაზრებში აღწერა დიდი წარმატებით ჩატარდა. მიღებული შედეგებით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ აღწერის უნაკლოთ ჩატარებაში საქართველო დაიჭერს ერთ-ერთ პირველ ადგილს მთელ საბჭოთა კავშირში. ამჟამად სწარმოებს შეკრებილი მასალების თავის მოყრა საანგარიშო უბნების ხელმძღვანელთა მიერ.

აღწერის წინასწარი ცნობების გზავნა მაზრებიდან ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში იგზავნება 3 იანვრიდან 5-მდე. 5 იანვარს შესაძლებელი გახდება რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვის გამოყვანა.

აღწერის ქრონიკა

სიღნაღის მოსახლეობა

აღწერის დასრულების შემდეგ სიღნაღში აღმოჩნდა 13.700 მოსახლე. 1922 წლის აღწერით კი იყო 6423. მოსახლეობის ასე დიდი მატება აიხსნება ქალაქის საზღვრების გაფართოებით.

ველისციხეში

ველისციხეში აღმოჩნდა 5490 მოსახლე. 1922 წლის აღწერით იქ იყო 5050 მოსახლე.

ხონში

აღწერამ გამოარკვია, რომ ხონში მოსახლეობას დაუკლია 1922 წელთან შედარებით 24 პროცენტით. ამჟამად აღმოჩნდა 9100 მოსახლე.

დუშეთის მაზრაში

აღწერა დასრულდა მთელ დუშეთის მაზრაში, გარდა ხევსურეთის და ყაზბეგის თემებისა. ამ თემებში აღწერა დასრულდება დღეს.

მოძრაობის მოწესრიგება ტროტუარებზე

ტროტუარებზე მოძრაობის მოწესრიგების შესახებ ადმინისტ. განყ. სამილიციო ნაწილის გამგემ ამხ. კილურაძემ განაცხადა შემდეგი:

— თბილისში მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით შემოიღო საჭიროება მოძრაობის მოწესრიგების შესახებ. ადმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი თბილისის ქვა-ფენილებზე მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

სავალდებულო დადგენილებები ამ მიმართულებით მთლიანად ტარდება ცხოვრებაში.

ტროტუარებზე მოძრაობის საკითხი ჩვენში დღემდის მოუწესრიგებელი იყო. ადმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება ტროტუარებზე მიმსვლელთა მოწესრიგების შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილების მიხედვით თბილისის ტროტუარებზე მიმსვლელნი იარებენ ყოველთვის მარჯვენა მხარის სიმართლით.

იმ მიზნით, რომ თბილისის მოსახლეობა ნათლად გაეცნოს მოძრაობის ამ ახალ წესებს სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა მილიციის მუშაკთა შორის.

საგუშაგოზე მდგომი მილიციელი განუმარტავს მოქალაქეს მოძრაობის ამ ახალ წესებს. პირველ ხანებში ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმება არ მოხდება, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ, დადგენილებათა დამრღვევი პირნი პასუხისგებაში იქნება მიცემული საერთო წესით.

ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაში გადასასვლელ ადგილებზე გაკრული იქნება სათანადო შინაარსის პლაკატები. ასეთი პლაკატები მოეწყობა ყოფ. ზემმელის აფთიაქთან, ჟორესის და პლეხანოვის ქუჩის კუთხეში, კარლ მარქსის ძეგლთან, თავისუფლების და კარლ მარქსის მოედანთან.

ქალაქის ყოველ ქუჩაში გამოკრული იქნება სათანადო განცხადებები და პლაკატები, რომლითაც მცხოვრებლები გაეცნობიან მოძრაობის ახალ წესებს.

ამ ახალი წესების შემოღების მიზანია, მოძრაობა გახდეს სწრაფი და თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი უბედურება.

ჩვენი ვაჭრობა გერმანიასთან

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ გუშინ მიიღო გერმანიიდან ანგარიში თავის წარმომადგენლობის მუშაობის შესახებ გერმანიაში. ანგარიში შეიცავს 1925—26 წლის მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში წარმომადგენლობას უწარმოებია შეკვეთების მიღება სხვადასხვა ლიცენზიების მიხედვით, 2.354.000 მანეთის ღირებულის საქონელზე. მთელი შეკვეთების 45 პროც. შეიცავს მრეწველობის მოწყობილობას, 22 პროც. ელექტროსადგურების მოწყობილობებს, ხოლო 25 პროცენტი კი სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების.

შეკვეთების წარმოების დროს, წარმომადგენლობა სარგებლობდა სესხით ყველა დიდ ფირმებში. რაც შეეხება საექსპორტო საქონლის გასაღების საქმეს, გასულ წელში იგი კარგათ იყო დაყენებული. წარმომადგენლობის საშუალებით ამ ხნის განმავლობაში გასაღებულა 434.400 მანეთის საქონელი. მათ შორის —98.400 მანეთის ბეწვეული, 211.700 მანეთის თამბაქო, 9000 მანეთის ნუში, 2.400 მანეთის დარჩეული კაკალი, 11.000 მანეთის თხილი, 25.000 მანეთის ხე-ზალალა, 55.700 მანეთის ნიგვზის ხეები, 4.000 მანეთის — ხე-ტყის მასალა და 16.400 მანეთის ნოხი.

თათბირი

ახლო ხანში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ მოწვეულ იქნება შრომის ინსპექტორების და შრომის დაცვის დარგში მომუშავეთა თათბირი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია თათბირის შემდეგი დღის წესრიგი: 1. მორიგი ამოცანები შრომის დაცვის დარგში (მომხსენებელი ამხ. მიქაძე); 2. უფლებრივ დარგში მუშაობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ (მომხსენებელი გოგინაშვილი—ელენტი). 3. მუშაობა სანიტარულ დარგში (მომხსენებელი ამხ. ხმალაძე). 4. მუშაობა ტექნიკურ დარგში (მომხსენებელი ამხ. მანევსკი). 5. მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დარგში (მომხსენებელი ამხ. მიროტაძე). 6. ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ელენტი). 7. შრომის ინსპექტორები და კონფლიქტები (მომხსენებელი ამხ. ამიროვი).

სას.-სამ. იარაღები

„ზაკსელმაშ"-მა შეიმუშავა და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინა დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების მიწოდების გეგმა 1926—27 წლისათვის.

საგეგმო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარე წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემოტანილი იქნება 2.110005 მანეთის საბჭოთა კავშირის ქარხნებში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. ეს რაოდენობა მიჩნეულია მინიმალურად.

სახელმწიფო ვაჭრობა

ვაჭრობა დასავლეთთან

ა.-კ. საბაჟოს ცნობით, დეკემბრის თვის პირველ ნახევარში ევროპაში გაზიდულა 61.033 ტონა საქონელი. ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად გაზიდულა ნავთი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომელთა ღირებულება უდრის 2.832.000 მანეთს.

ვაჭრობა სპარსეთთან

დეკემბრის პირველ ნახევარში სპარსეთში გაზიდულა 1.938.000 მანეთის საქონელი.

ექსპორტი ოსმალეთში

ა.-კ. საბაჟოს ცნობით, ოსმალეთში დეკემბრის თვის პირველ ნახევარში გაზიდულა 171.000 მანეთის ნავთის პროდუქტი.

საკასრე ქარხანა

აფხაზეთის სატყეო მრეწველობის ტრესტმა დაამთავრა გუდაუთის საკასრე ქარხნის აღდგენა. ქარხანას არ უმუშავნია 1914 წლის შემდეგ და სრულიად მივიწყებული იყო. ქარხნის მოწყობილობა 75 პროც. გაცვეთილი და გაუვარგისებული იყო. ტრესტის მიერ საფუძვლიანად იქნა აღდგენილი შენობა, ელექტროძრავები, ძველი დაზგები, დამატებულ იქნა აგრეთვე ახალი დაზგები. განახლებული ქარხანა ორი რიგი მუშაობის დროს წლიურად დაამზადებს 150 ათას ცალ კასრს. სრული დატვირთვის დროს ქარხანა დღეში საჭიროებს 50 მუშა ხელს. მომავალი წლისათვის ტრესტს განზრახული აქვს ამ ქარხანას შეუერთოს ამავე მიდამოებში მდებარე ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც წინასწარ გადაკეთებული იქნება საკასრე ქარხნად. ორივე ქარხნის ნაყოფიერება წლიურად მიაღწევს 350.000 კომპლექტს კასრს. ამჟამად ქარხანასთან მოწყობილია მუშათა სახლი. ქარხანა თავის ნაწარმოებს მიაწვდის სამხრეთ რუსეთის რაიონებს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საბჭოების გადარჩევის წინ

ახალციხე, 30 დეკემბერი. მაზრაში გამოყოფილია საარჩევნო კომისია საბჭოების არჩევნებისათვის. კომისიაში შედის 11 კაცი, რომელთაგან ორ უპარტიო გლეხია (ადს).

სახამებლის ქარხანა

ახალციხე, 30 დეკემბერი. ახალციხეში მუშაობა დაიწყო ახლად აშენებულმა სახამებლის ქარხანამ. ქარხანა მომავალში დღეში დაამუშავებს 3.000 ფუთ კარტოფილს. პირველ ხანებში კი გადაამუშავებს 1.000 ფუთს, საიდანაც 150 ფუთ წმინდა სახამებელს მოვიღებთ. (ადს).

ღვინის მყიდველები

თელავი, 30 დეკემბერი. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ალაზნის სოფლებში (ყვარელისა და ველისციხის რაიონში) კვლავ გამოჩნდენ ახალი ღვინის შემსყიდველნი—თურქესტანის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ღვინის ყიდულობენ 150 მან. საპალნეს (48 ვედრო).

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 30 დეკემბერი. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ნავთსადგურში მოვიდა: გემი „ვიაცლავ ვოროვსკი" როტერდამიდან. ამ ჩამოიტანა 1.527 ტონა ტვირთი, მათ შორის მილები აზნაფტისათვის, გერმანული გემი „შვარცის მეერ"—ალექსანდრიიდან, „რეულერ"—ალექსანდრიიდან, გერმანული გემი— „ნორდ ატლანტიკ"—ჰამბურგიდან, ნორვეგიული გემი „რაილა"—ლონდონიდან და საფრანგეთის სამხედრო ტრანსპორტი „რონ",—ყველა ეს გემები ჩამოვიდენ ნავთის პროდუქტების გასატანად. ამავე დროს განმავლობაში გავიდენ: იტალიური გემი „რაპალო" 8.604 ტონა მაზუთით და „პროჩინი" 3.141 ტონა ნავთით, ორთავე გემი წავიდა იტალიაში (ნავთსადგურ ვადიო—ლიგურში). გავიდენ აგრეთვე გერმანული გემი „შვარცეს მეერ" ალექსანდრიაში 4.855 ტონა ნავთით და საფრანგეთის „ეიდლხრი" ალექსანდრიაში 3.146 ტონა ნავთით. ამის შემდეგ მარიუპოლში წავიდა საბჭოთა კავშირის გემი „ვიაცლავ ვოროვსკი" მარილის სრული ტვირთის მისაღებად (ადს).

სოფელში

მახსოვს მოგონება წარსულ დღეებიდან
ქარი რომ ღმუოდა ხევში დაჩხილი,
და ფოთლები ცვიოდა მისგან ხეებიდან
მუხა ზანზარებდა წელში გატეხილი.
—:—
მოსკდა მონავარდე ისევ დილა მზიანი
აბიბინდა შრიალით ტყე მწვანე ყანები
ლამი უფრო ბუტბუტებს ხევით გულ
რადგან სუნთქვა ქოხიდან არის სათაყ
—:—
ლების გულის ძგერა ისე ახმაურდა
ქლიერია იგი საყვირის ხმაზე,
ძველი ჰანგზე მღერა იმათ აღარ უნდათ
რადგან გადმოღვრა ტრაქტორით მიწაზე.
—:—
სოფლის მაღალ გორაკზე სჩანდა თეთრი
დრო იყო იქ გლეხები მეტანიას შეკრე
ბოროტების სამყარო ჩაქრა როგორც
და ტაძრის ნანგრევიდან სკოლები შ
—:—
ბნელეთი მწუხარე დილა რომ გა
ეზე ახლა ბრწყინავენ სოფლის ტ
ეხლაც დილას უცდიან ვინც რომ ღამ
შამს მიწის დაიპყრობს დაკოჟრილი

ქ. ნესტრაშვილი.

ეპოს მუშაობა გამოცოცხლდა
(წალენჯიხა, ზუგდიდ. მ.).

წალენჯიხის რაიონულ ეპოს მუშაობა უკანასკნელ დროში გამოცოცხლებულია, 1925 წლის ოქტომბრამდე ეპოს მდგომარეობა უიმედო იყო, კოოპერატივს ლიკვიდაცია მოელოდა. მაგრამ ახალმა გამგეობამ მაინც სცადა კოოპერატივის ფეხზე დაყენება და კიდეც მიაღწია მიზანს. შექმნეს ეპოს საბრუნავი თანხა.

8 დეკემბერს მოხდა გამგეობის ხელახალი გადარჩევა და ისევ იქნა არჩეული —ძველი შემადგენლობა. რწმუნებულთა ყრილობამ აღნიშნა გამგეობის ენერგიული მუშაობა.

თოდრია.

წერილები

ჩაის კულტურა გურიაში

ჩაის კულტურა ჩვენში კარგა ხანია ჩაისახა. ბუნებრივმა პირობებმა მოახერხეს ამ კულტურის სრული განადგურება. მართლაც ვის რათ უნდოდა ჩაი ამ დროს, როდესაც ჩაჭირი არ იყო და მზაად სავაჭრო საგანი გადიქცა.

კომუნისტებმა ჩაის ბუჩქი კვლავ გამოაცოცხლეს და საპატიო ადგილი მოუჩინეს მას სოფლის მეურნეობაში.

გამოანგარიშებულია, რომ გასულ წელში ჩაის კულტურას 250 დესეტინამდე არე ეჭირა. ამ დიდ შესაძლებლობასთან შედარებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს ძლიერ ცოტაა.

მაგრამ ჩაის ბუჩქების ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება და ამ ზრდას უეჭველად ხელს შეუწყობს ის სამი ახალი ჩაის ფაბრიკა, რომელიც წელს აიგო გურიაში. (ოზურგეთი, მიქელ-გაბრიელის თ. და აცანა). ამ, ასე ვსთქვათ, ბუნებრივ ზრდას ემატება საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს მოღვაწეობაც.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოება „საქ. ჩაი" ძალუძს გლეხობას გრძელვადიან სესხს 200 დეს. ჩაის მოსაშენებლად.

ამრიგად მარტო ამ საშუალებით ჩვენ ერთ წელში 100 პროც. ვზრდით ჩაის პლანტაციების არსებულ არეს.

ეს სესხი მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი ეძლევა პირველ რიგში ღარიბ გლეხობას. სესხს განაწილებს სათემო კომისიები.

ამრიგად ჩაის კულტ[illegible] მისი განვითარება საფუძველზე დაყ[illegible] სწრაფი ნაბიჯ[illegible]ნ გურიაში. ალბად შორს არ [illegible] დრო, როდესაც გურია სავსებით [illegible]ებს იმ მიწებს, რომლებიც ჩაის ბუჩქ[illegible] ლოდინში არიან, რადგან სხვა კულტურისთვის ისინი ნაკლებათ გამოსადეგი აღმოჩნდნენ.

მეგობარი.

გამოვიყენოთ აგრონომები
(საგარეჯო, გარე-კახეთი)

საგარეჯოში არის 9 წლ. მთლიანი შრომის სკოლა. სკოლას ყავს აგრონომები. უნდა ითქვას, რომ 9 წლედის აგრონომები დაუზარებელი მუშაკნი არიან. წარსულ წელს მათი ხელმძღვანელობით სკოლას ბევრი რამ შემატა, მოიყვანა ადრეული კიტრი, პამიდორი და დამყნა ახალი ამერიკული ვაზები.

განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა სკოლას კარგი შემოსავალი მისცა. მაგრამ საუბედუროთ ეს ამხანაგები მხოლოდ სკოლის ფარგლებში მუშაობენ. გლეხობა ძალიან დაინტერესებულია აგროცოდნით და მათ არავინ არც ლექციებს და არც მოხსენებებს უკეთებს.

აქ შეიძლებოდა აგრონომების გამოყენება, მაგრამ ამ საკითხის მომვლელებს კი სძინავს.

მეთვალყურე.

სანამდი ითარეშებს ქურთიშვილი?

ეს ვაჟბატონი კაცის მკვლელობისათვის ციხეში იჯდა, მაგრამ ნათლიმამობით თავდებში გამოუშვეს. ის გახლავთ კოოპერატივის ნოქარიც. დახლში რომ ვაჭრობს ორი, სამი რევოლვერი წელზე ჰკიდია, ასე გვეუბნება: ყაჩაღი დასცემია კოოპერატივს და სცარცვავსო, ან და ახლა აპირებს ყაჩაღათ გადავარდნასო.

გლეხები ვერ ბედავს მასთან სწორად დალაპარაკებას, რადგან იციან, რომ უკმეხი სიტყვებით და იარაღზე ხელის მოვლებით ამაყი ქურთიშვილი მათ დააშინებს.

ამას წინად ხსენებულმა ქურთიშვილმა სცემა ორ-სამ გლეხს. რამდენიმე დღის უკან კი პეტრე შველის დუქანში მისადგა გლეხებს ბოთლი და ჭიქები თავ-პირში მიაყარა. მილიციის უფროსი ხარაძე იძულებული გახდა ზომები მიეღო მის წინააღმდეგ, მაგრამ ქურთიშვილი იარაღით ემუქრებოდა.

დროა ასეთ პირების ალვირახსნილ თარეშობას ბოლო მოეღოს.

ცეცხლი.

წერილებიდან

ხ. სურმუში (ლეჩხ. მ.)

— ადგილობრივ წყაროები. ოთხი წელია რაც დაუქმდებულია ჩვენი სამკურნალო წყაროები. ამ ხნის განმავლობაში არც ადგილობრივ და არც მაზრიდან კაცი არ ჩამოხედა, რომ ამ საქმისათვის ხელი მოეკიდნა და ძველთაგანვე ცნობილი სურმუშის წყაროები აღედგინა. საჭიროა მომავალ სეზონისათვის მაინც მოგვარდეს ეს საქმე.

ა. აბულაძე.

ნოქალაქევის რაიონი (სენ. მ.)

— ქურდობა გახშირდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენს რაიონში მეტად გახშირდა ქურდობა. იპარავენ ცხენებს, ოჯახის ავეჯს და სხვა წვრილმანებსაც. ჯერ-ჯერობით ქურდები აღმოჩენილი არაა. მილიციას მეტი სიფხიზლე და სიმკაცრე მართებს.

მეოდნე.

საჯამიასერი (გურია)

— მემინდე ყენიები. ჩვენს თემში არის სამინდე წისქვილები, რომელიც ეკუთვნის ყენიებს. მეწისქვილე ყენიები ხშირად ყალთაბანდობენ საფქავის მიღება-გაცემაში. ბევრჯერ სცემეს ამისათვის კულაკებს გლეხებმა, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან. თემაღმასკომმა ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

საჯამიასერელი.

მუშათა ცხოვრება

საწარმოო თათბირები და მუშკორი

საწარმოო თათბირების მუშაობა ნაკლებად შუქდება ჩვენს გაზეთებში თუ მოათავსა ვინმემ რამე შენიშვნა, ისიც ზერელედ—შესდგა თათბირი, გაირჩა ესა თუ ეს საკითხები და მეტი არაფერი. არ აღინიშნება ის, რაც ყველაზე უფრო აინტერესებს მასას, რასაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს წარმოებისათვის, ან თათბირის დადგენილება გატარდა თუ არა ცხოვრებაში, თუ არ გატარებულა, ვინ უშლის ხელს.

საწარმოო თათბირებს ჩვენი [illegible]ლისუფლება ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან ეს თათბირები ხელს უწყობენ სოციალისტური მეურნეობის წინმსვლელობას და მისი უარყოფითი მხარეების გამოსწორებას. მაგრამ დღეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან და ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით საწარმოო თათბირების მნიშვნელობა ერთი-ორად იზრდება. არც ერთი კაპეიკი სახალხო მეურნეობაზე დახარჯული ტყვილად არ უნდა იკარგებოდეს; ამ კაპეიკმა უსათუოდ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებას. თათბირის მნიშვნელობაც იმაში გამოიხატება, რომ ის მიუთითებს ყველა იმ ნაკლულევანებებზე, რომლებიც აფერხებენ წარმოების წინმსვლელობას.

ამხ. მუშკორებმა საწარმოო თათბირებს უსათუოდ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ; თათბირების მუშაობა და ამ თათბირებზე წამოჭრილი საწარმოო საკითხები ყოველმხრივ უნდა გააშუქონ თავის გაზეთში. მუშკორები ყველაზე ახლო სდგანან ფაბრიკებთან და ქარხნებთან, იცნობენ ფაბრიკა-ქარხნების შინაურ ცხოვრებას, იციან მუშაობის ნაკლი და ღირსებები, რა უშლის ხელს ნორმალურ მუშაობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ხარისხის გაუმჯობესებას. არის თუ არა საკმარისი ნედლი მასალა, რა ხარისხისაა ის და სხვა.

ბევრ ჩვენ ფაბრიკასა და ქარხანაში მოძველებული, გაცვეთილი მანქანებია, რაც ხელს უშლის წარმოების განვითარებას. ზოგან წარმოება იმდენად გაუმჯობესებულია, რომ ადვილად შეუძლია გაცვეთილი მანქანების მაგივრად ახალი მანქანების შეძენა, მაგრამ დაუდევრობით, თუ სხვა მიზეზებით—მას ყურადღება არ ექცევა. ამ დღეებში ერთი ჩვენი მუშკორი აღნიშნავდა, რომ მამოძრავებელ მანქანას პორშენი გაუფუჭდა, და რამოდენიმე ასეული მუშა ათი დღე გამცდარი იყოო; თურმე მანქანას თადარიგში არ ჰქონებია ნაწილები.

ყველა ასეთი საკითხები უსათუოდ დაწერილებით უნდა ირჩეოდეს საწარმოო თათბირებზე, თუ არ ირჩევა—მუშკორმა—ფაბრიკა-ქარხნის თვალმა და ყურმა—უნდა მიუთითოს გაზეთების საშუალებით საწარმოო თათბირს; აი ამ საკითხს მიაქციეთ ყურადღება, განიხილეთ თათბირებზე და გამოასწორეთ ნაკლი. ხშირად აქვს ადგილი იმას, რომ საწარმოო თათბირებს გამოაქვს დადგენილებები წარმოებისათვის უსათუოდ დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ეს დადგენილებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება, ცხოვრებაში მათ გატარებაზე არავინ არ ფიქრობს. ასეთი მდგომარეობა გულს უტეხს მუშებს, საწარმოო თათბირების ავტორიტეტსაც სცემს. ასეთი შემთხვევები მუშკორმა უნდა ამხილოს პრესის საშუალებით. ამით ჩვენი მუშკორები ხელს შეუწყობენ საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას, გააღვიძებენ მუშების ფართო წრეებში ინტერესს თათბირებისადმი, რაც უსათუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებას.

დაიცავით სისუფთავე
(თბილისის სადგური).

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა თბილისის სახალხო სადგურის დარბაზებზე, რომლებიც სიბინძურის ბაზებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სახალხო დარბაზს.

როგორც პირველ და მეორე, აგრეთვე მესამე კლასის დარბაზებში დილიდან შუა ღამემდე გაუწყვეტლივ იმყოფება მოგზაური ხალხი, ზოგნი იატაკზე მოთავსებულან, ეწევიან თამბაქოს. გარედან შემოსულ ადამიანს სული ეხუთება მყრალი, გაუწმენდავი ჰაერისაგან.

ამასთან ერთად გასაკვირველია ერთი გარემოება, რისთვის დასჭირდათ ფანჯრებზე ვენტილაციების გაკეთება, თუ კი არ ამუშავებენ. ვენტილაცია უნდა შეკეთებულ იქნას და მისი საშუალებით გაიწმინდოს დაგუბებული მყრალი ჰაერი.

საერთოდ დარბაზებში სისუფთავე უნდა იქნეს დაცული.

მუშკორი ძია ლევან.

დიდუბის სამკითხველო

დიდუბე ეს ერთ-ერთი მუშათა უბანია. აქ არის სამკითხველო „შოთა რუსთაველის" სახელობის, რომელსაც საკმაო რიცხვი მკითხველებისა ყავს, მაგრამ არ არის საკმაო რიცხვი გაზეთების. მოგვაქვს „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა" და „მუშა" თითო ეგზემპლიარი. ერთი რომ კითხულობს. მეორემ უნდა უცადოს და ხშირად არც მოუწევს რიგი. მკითხველები უკმაყოფილონი არიან. საჭიროა დიდუბის სამკითხველომ გაზეთების რიცხვი გაამრავლოს. როგორც არის „კომუნისტი" „მუშა" და სხვა. უნდა იქნეს გამოწერილი აგრეთვე გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" და „ახალი სოფელი".

„უჩა ბიძი".

[illegible]

ტყავ-ტრესტის წარმოებებ[illegible]ან ორთაჭალაში გაიხსნა ვითომ გასტრონომიული [illegible], ნამდვილად კი სამიკიტნო დუქანი. ტყავ-ტრესტის და საერთოდ ამ რაიონის მუშები მასში [illegible]ალად ჩაცვივდენ მათ კლანჭებში. ისე ვერ [illegible]ვლის მუშა, რომ „სირჯამ" მწვადებზე არ [illegible] და მწვადებს ხომ ღვინოც უნდა.

მუშები აქ რამდენიც უნდათ, იმდენს დახარჯავენ, ხოლო სახლისათვის ორ გირვანქა ხორცსაც არ გაგატანებენ.

ზოგიერთი მუშა იძულებული ხდება თითონ აქ გამოილეშოს და შინ კი ცოლ-შვილი მშიერი დასტოვოს. მუშები აშკარად იყვლიფებიან. ღვინის ნებართვა ამ სავაჭროებს არა აქვთ. ადგილობრივი უბნის მილიცია ამათთვის სუსტია. საჭიროა ტყავ-ტრესტის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტმა და მუშკოოპის რწმუნებულებმა დააჩქარონ მუშებისავის განზრახული კრედიტის გახსნა მუშკოოპში, ხოლო ამხ. ხმალაძემ [illegible]როს ამ ლოთობის ბუდის მოსპობა.

მუშკორი რისხვა.

კულ[illegible]ლი მუშაობა გაცხოველდა

უკანასკნელ ხანებში რკინიგზის საშემოსავლო ნაწილში კულტურული მუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა. ადგილობრივი ძალების მონაწილეობით ხშირად იდგმება საღამო-წარმოდგენები.

აქ გამართულ წარმოდგენებით ხალხი კმაყოფილებას გამოსთქვამს.

დრამწრის მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას. ამას წინად ამხ. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო-წარმოდგენა მუშა-სცენის მოყვარეთა მიერ. დაიდგა პიესა „შემნებული ანთიმოზი", გაიმართა დივერტისმენტი და კონცერტული განყოფილება. საღამოს აუარებელი მუშა-მოსამსახურენი დაესწრენ და დიდი ინტერესიც გამოიწვია.

ასეთი საღამოები ხშირად უნდა გაიმართოს, რომ კულტურული მუშაობა გაცხოველდეს.

რაი.

მუშათა წერილები

— დაგვინიშნეთ მატარებელი. სადგ. შორაპანის მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ქ. ზესტაფონში სცხოვრობს. ხშირია შემთხვევები, როცა მათ ფეხით, ან საბარგო მატარებლით უხდებათ სიარული.

რკინის გზის ადმინისტრაციამ ჩვენც უნდა დაგვინიშნოს მუშა-მატარებელი.

ისმაილი.

— მოგვეცით შუქი. ლენინის უბანში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მოთავსებულია აღმასკომის ფეხსაცმელების სახელოსნო. ამ სახელოსნოში შეგირდებს აუტანელ მდგომარეობაში უხდება მუშაობა შუქის უქონლობის გამო.

ქალაქის აღმასკომო, მოგვეცი შუქი შენობის გასანათებლად.

ხ. მრავალი.

— შენობა დროზე გადმოგვეცით. სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა დაეთმობოდა ყოფ. სასულიერო სემინარია, მაგრამ შენობის დროზე გადმოცემაზე არავინ ფიქრობს.

განათლების კომისარიატმა უნდა დროზე მოაგვაროს ეს საქმე.

გოგიბაშვილი.

— უბილეთოდ მოგზაურობენ. სად. თბილისსა და ნავთლუღის შორის დადის მუშა მატარებელი № 23—24. აქ უბილეთოდ მოგზაურობა ხშირი მოვლენაა. უფრო მემუხრუჭეებს უბილეთონი არ ემორჩილებიან ამ ნიადაგზე რკინის გზის ტრანსპორტი ზარალობს.

რკინის გზის მეორე განყოფილების უფროსმა ამაზეც უნდა იზრუნოს.

მ—ლი.

მუშათა ქრონიკა

— კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი". კოლოფების ქარხანამ ნოემბრის თვის განმავლობაში დაამზადა თამბაქოს ქარხნებისათვის 2.641.150 ცალი პაპიროსის კოლოფი.

ქარხანამ ამავე თვეს დაამზადა კერძო პირებისათვის სარეალიზაციოდ, საკონდიტრო და სხვა სახის 67.383 ც. კოლოფი.

— ამავე ქარხანამ ნოემბერში მიიღო (თამბაქოს ტრესტის საშუალებით) საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან 3.080 კარდონი.

— მემაღაროების სასარგებლოდ. ამავე ქარხნის მუშებმა პირველ სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე თავიანთ სამუშაო ხელფასიდან შეიტანეს [illegible] კავშირში, ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ—420 მან. 73 კაპ.

— 500 მანეთი. თბილისის საუბნო პროფკავშირმა გაიღო 500 მანეთი სადგ. ნავთლუღის კლუბის საჭიროებისათვის.

— ხარჯთ-აღრიცხვა. თბილისის საუბნო პროფკავშირის ორკომიტეტმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა 1.500 მან. რაოდენობით ამხ. ს. ორჯონიკიძის კლუბში რადიოს დასადგმელად.

— თანხის გაღება. თბილისის საუბნო პროფკავშირმა სადგ. გურჯაანის კლუბის საჭიროებისათვის გაიღო 500 მან.

პროფკავშირებში

თბილისის საყუდის ადგილკომის მუშაობა

ჩვენი ადგილკომი არჩეულ იქნა მიმდინარე წლის 8 თებერვალს.

თბილისის საყუდში კავშირის წევრები ითვლება 2045, მათ შორის ქალებია 110, ახალგაზრდა 235 [illegible] ნალურ მუშაობას აწარმოებს 245.

დელეგატებად არის ამორჩეული 150 კაცი. სადელეგატო კრებაზე გარჩეულ იყო 40 საკითხი. ადგილკომისა და დელეგატებს შორის ცოცხალი კავშირი იყო. ყოველივე გაუგებარ საკითხებზე დელეგატები ადგილკომიდან სათანადო ახსნა-განმარტებას ღებულობდენ.

მთელი კულტ-გან. მუშაობა წარმოებს კლუბებთან. პირველ თებერვლიდან გაგზავნილია სალიკ. სკოლაში 40 კაცი, მუშფაკში—30 კაცი, მათ შორის ფიზიკური მომუშავე 26 კაცი. ჩატარებულ იქნა ექსკურსიები: რადიო სადგურებზე, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და ზაჰესში, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა 780 კაცამდე. აგრეთვე არის სამკითხველო, სადაც იწერენ ჟურნალ-გაზეთებს მუშა-მოსამსახურეთათვის. თბილისის საყუდის ადგილკომი საკულტურო ფონდიდან იწერავს გაზეთებს საშეფო სოფლისათვის, აგრეთვე ყოველთვიურად ეხმარება სუბსიდიის სახით კედლის გაზეთის რედკოლეგიას და პიონერების რედკოლეგიას.

შემდეგ აღსანიშნავია შრომის დაცვის კომისიის მუშაობა. კომისიას ჰქონდა შვიდჯერ სხდომა. განხილულია 25 სხვადასხვა საკითხები შრომის დაცვის ფარგლებში და მუშათა ცხოვრებისა. შედგენილია სხვადასხვა შემთხვევებზე ოცამდე აქტი შრომის დაცვის ინსპექციასთან ერთად არის გავალიერებული ყველა ცეხები და გუნდები, რაზედაც ინსპექტორთან ერთად არის შედგენილი სარევიზიო აქტები. დეფექტები გამოსწორებულია. გარდა [illegible] ორი კვირის დამატებით შვებულებისა, რომლის საკითხი გადატანილი იქნა დორპროფსოჟში.

კომისია ღებულობდა ყოველივე ღონისძიებას, რომ არც ერთი მუშა-მოსამ. არ ჩამორჩენილიყო ორ კვირულ მორიგ შვებულებას, დასასვენებელ სახლებში გვქონდა 81 ადგილი.

სექტემბრის თვიდან დაარსდა ე. წ. ცეხ-ბიურო, რომლის დაარსებამ დიდი შეღავათი მისცა მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხში ადგილკომს, ვინაიდან თითონ ადგილკომი ვერ უწვდებოდა მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ცეხ-ბიურომ კი გაუადვილა ზოგიერთი საკითხის მოწესრიგება. გუნდებში გამოყოფილია ბიუროები რამდენიმე კაცისაგან. ბიუროს თავმჯდომარე [illegible] ადგილკომში, რომლებიც ცხოვრებაში ტარდება შეძლებისდაგვარად. ურთიერთო სალაროში ჩაწერილია 192 კაცი, რომელთაც აქვთ 956 მან. უნდა ითქვას, რომ აქ მუშაობა მოიკოჭლებს, რაც დაუშვებელია.

საწარმოო სათათბირო კომისიას საანგარიშო ხნის განმავლობაში ჰქონდა 3 სხდომა. სხდომაზე გაირჩა 70 საკითხი, რომელთა შორის გატარებულია ცხოვრებაში 50, 20 საკითხი ჯერ გაურჩეველია.

შემფასებელ-სამორიგებო კომისიაში შედის 2 ამხანაგი მუშებისაგან და ორი ადმინისტრაციიდან. კომისიას ჰქონდა ამ ხნის განმავლობაში 32 სხდომა. სულ გაირჩეოდა 157 საქმე, რომლებიც ეხებოდა 1470 კაცს. მეტი ნაწილი კონფლიქტებისა შეეხება [illegible] ანგარიშს, შეღავათიანი ზედმეტი საათების ნამუშევარს, პრემიებს, მივლინებებს და დღიურ ჯილდოებს.

ადგილკომი დიდი სერიოზობით ეპყრობა გენერალურ ხელშეკრულებას, რომ ის არ იქნას დარღვეული ადმინისტრაციის მიერ, რის გამო ხშირად უხდება ადგილკომს ადმინისტრაციასთან ბრძოლა.

თანახმად კოლხელშეკრულებისა, საყუდს ყავს თავის ხარჯზე 73 ახალგაზრდა შეგირდი და [illegible] სკოლის ხარჯზე 12 კაცი, მათი სწავლა სწარმოებს განსაკუთრებულად საწვრთნელ გუნდში, სადაც მუშაობენ 2 [illegible].

შეგირდობის გათავებისას [illegible], რომლის შესრულების შემდეგ ისინი გადაყავთ 2 თანრიგიდან მესამეში და მეოთხეში. ამ ხნის განმავლობაში გადარიცხული იქნა ზოგიერთი თანამშრომელი 8 შეგირდი.

მუშკორი ლევან გუნია.

პროფკავშირთა წევრების რაოდენობა

ა.-კ. პროფსაბჭოს ცნობებით პროფკავშირების მუშაობა შემდეგი ციფრებით ხასიათდება: კავშირის წევრთა რიცხვი [illegible], შეადგენს 391.500 კაცს, ე. ი. 1923 წელთან შედარებით წევრთა რიცხვი გადიდებულა 63 პროცენტით, ხოლო 1925 წელთან 25 პროცენტით. ამიერ-კავკასიაში დასაქმებულა სულ 360.768 კაცი, აქედან 347.287 ანუ 93,6 პროც. არის კავშირის წევრი. ძირითად პროფორგანიზაციების რიცხვი კავკასიაში უდრის 2.311.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

[illegible]რი დასასვენებელი დღეა

[illegible]ველოს შრომის სახალხო კო[illegible]ს განმარტებით, 1 იანვარი და[illegible]ლი დღეა.

[illegible]სკევს, 31 დეკემბერს, მუშაობა [illegible]ებულებებში სწარმოებს ექვსი სა[illegible]ის განმავლობაში.

დიპლომატიური დარბაზობა

[illegible]ში ახლად დანიშნული პოლონეთის [illegible]ური კონსული ბ. მოხტოვსკი, ამიერ[illegible]ში საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის [illegible]ბულის ამხ. ბატაიის თანხლებით. გუშინ [illegible]ასახლეს, სადაც მან ინახულა ამხ. ამხ. [illegible] და შ. ელიავა, რომელთანაც ბ. მოს[illegible] ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

[illegible] სატყეო აგარაკებზე

[illegible]თა, სტუმ[illegible] მეურნეობის მოწესრიგების მიზნით ქალთა [illegible] კომისიამ საჭიროდ სცნო დებულე[illegible]ბი. [illegible] სატყეო აგარაკების შესახებ ა.-კ. [illegible]ბლიკებში. ა.-კ. საგეგმო კომისიის [illegible] სამეურნეო სექციის მიერ დამუშა[illegible]ებულების პროექტი განსახილველად [illegible] გადაეგზავნათ რესპუბლიკე[illegible] კომისიებს, რომლებმაც თავიანთი [illegible] უნდა წარადგინონ ერთი თვის განმავ[illegible].

მეაბრეშუმეობა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკ[illegible] დაადგინა გადასდოს თანხა აბრეშუმის ჭიის თესლის დასამზადებლად და პარკის ოპერაციების სასურველად ჩასატარებლად.

ბანკის გეგმით, 1927 წელში საქართველოში უნდა დამზადდეს 150.000 ფუთი პარკი, აზერბეიჯანში—100.000 ფუთი და სომხეთში 10.000, სულ 260.000 ფუთი პარკი.

თბილისის ბირჟა დეკემბერში

თბილისის ბირჟის საბირჟო და არა საბირჟო ბრუნვა დეკემბერში საგრძნობლად გაიზარდა. ამას ხელს უწყობდა, უმთავრესად, მთელი რიგი ხელშეკრულებების დადება შემდეგ საქონელზე —შაქარზე, ფქვილზე და მზესუმზირას ზეთზე.

აღრიცხულია 2382 ხელშეკრულება 8.555.000 მანეთის რაოდენობით.

საფოსტო ნიშნები

საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების თანახმად, ა.-კ. ცაკმა წინადადება მისცა ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკის ცაკებს შემოიღონ იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც საფოსტო დაწესებულებები არ არსებობენ, საფოსტო ნიშნების სავალდებულო გაყიდვა.

ხე-ტყის მასალა

გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა გზათა გამგეობებს დასდონ ხელშეკრულება ადგილობრივ ტრესტებთან ხე-ტყის მასალაზე და შეშაზე 1926—27 წლისათვის.

საბინაო მშენებლობა

საქართველოში საბინაო კოოპერაციის დაარსების დღიდან საბინაო მშენებლობის კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ქ. თბილისში აგეს 53 სახლი 66 ბინით და 144 ოთახით. მათი აგება დაჯდა 253.803 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი ამხანაგობა.** თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა ახალი საბინაო - საიჯარო ამხანაგობა ვარდისუბნის ქ. № 13-ში.

◆ **მიხა ცხაკაიას სახელობის საბინაო-სამშენებლო ამხანაგობას** მიეცა სესხი 3 ათასი მანეთი.

◆ **პეტროვის უბნის კეთილმოწყობა.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა მუშაობას პეტროვის (1 რაიონში) უბანში კანალიზაციის ქსელის გასაყვანად.

◆ **აგარაკის გაფართოება.** აღმასკომის საკურორტო ქვე-განყოფილება შეუდგა მანგლისის აგარაკის გაფართოებას.

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების** გადაცემა უკვე დამთავრდა მთელ რესპუბლიკაში. გადაცემაზე დაიხარჯა 25.000 მანეთი.

◆ **ხე-ტყის გაცემა.** 1925—26 წელში საქართველოს ტყეებიდან გაიცა 137.373 კუბ. საჟენი ხე-ტყე.

◆ **ხანძარი.** მიღებული ზომებით ხანძარის გაჩენის შემთხვევები ტყეებში შეწყდა.

◆ **სატყეო მასალები.** კომისარიატის გეგმით, რესპუბლიკის სატყეოებიდან ყოველწლიურად გაიცემა 218.000 კუბიკური საჟენი სატყეო მასალა.

◆ **თივის დამამზადებელი აპარატი** გადაეცა ცხენთაშენს.

◆ **ჯიშიანი ცხენები.** ცხენთაშენის განყოფილებამ გლეხებს დაკლებულ ფასებში გაუნაწილა 100 ჯიშიანი ცხენი.

გლეხკომები

— **გლეხკომების ფონდი.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, ამჟამად თბილისის მაზრის ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებებს (გლეხკომებს) ფონდში აქვთ დაგროვილი ფულით 38.046 მანეთი და 27 კაპ. მარცვლეულობა აქვთ 9.656 ფუთი და 9 გირვანქა. ამჟამად გლეხკომებს ამ მაზრაში ფონდიდან სესხად აქვთ გაცემული ღარიბ გლეხებზე ფულად 22.893 მანეთი და 99 კაპ. და მარცვლეულობა 6532 ფუთი და 14 გირვანქა.

— **გლეხკომების გადარჩევა.**—თბილისის მაზრაში სასოფლო ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებების (გლეხკომების) გადარჩევა ყველგან დამთავრდა. თბილისის სამაზრო გლეხკომი ეხლა შეუდგა სამზადისს გლეხკომების სამაზრო კონფერენციის მოსაწვევად.

სხვადასხვა

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „ბაღბოსტანკავშირის" გამოცემული „ხილის მოკრეფა, დახარისხება და ჩაწყობა", შედგენილი ნ. კეცხოველის მიერ.

შემთხვევები

◆ **დაჭრა.** 29 დეკ. სურფ-კარაპეტის ქუჩაზე, ჩხუბის დროს მოქ. სტეფანოვმა დანით დაჭრა გიორგი ტემოიანცი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **კოოპერატივის გაქურდვა.** 29 დეკ. გაქურდეს სოფ. ქოსალოს კოოპერატივი, წაღებულია 162 მანეთი ფულად და სხვადასხვა საქონელი, რომლის ღირებულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

◆ **ამავე დღეს,** შეიპყრეს იბრაგიმ-ოღლი, რომელმაც სოფლიდან ჩამოსულ გლეხს მოპარა ერბო, ღირებული 100 მანეთად.

◆ **ქურდობა.** 29 დეკ. ტროცკის ქ. № 11, მოქ. კაჭარავას და იმნაძის ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ **სარდაფში,** 29 დეკ. კრილოვის ქ. № 12, გაქურდეს მოქ. დუბლიაცკის სარდაფი.

◆ **ამავე დღეს,** გაქურდეს რტიშჩევის ქუჩის კუთხეში მდებარე მოქ. ველლერის სარდაფი, წაღებულია 40 მანეთის ნივთები.

◆ **სიკვდილი არყისაგან.** ა.-წ. 29 დეკემბ. საგარეჯოდან თონლიაურში მიმავალმა გლეხმა **არტომ მდივანოვმა** და [illegible] **უცნობმა** გზაში დაიწყეს არაყის სმა და ისე დათვრნენ, რომ დილამდე არც ერთი ცოცხალი აღარ დარჩენილა.

ხელოვნება

ბათომის აკადემიური დრამა

დრამის სეზონი გაიხსნა ნ. შიუკაშვილის პიესა „ამერიკელი ძია"-თი, რომელიც დასდგა აკაკი ფაღავამ.

პიესა განმეორებული იქნა ოთხჯერ, რამაც აუარებელი საზოგადოება მიიზიდა.

მორიგ პიესად დაიდგა რეჟისორ ხელიას პიერ „ვინ არის უფრო სულელი"? აღნიშნული პიესა 3-ჯერ იქნა განმეორებული.

დრამის მორიგ რეპერტუარში შედის ლორიტის „მეფე ალერკინი" და დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი".

დასში შედიან, როგორც პერსონაჟები, ისე თანამშრომლები.

კომკავშირელ მწერალთა წრეში

ორშაბათს, 3 იანვარს, საღამოს ხუთ საათზე, შესდგება მორიგი (მესამე) მეცადინეობა კომკავშირელ მწერალთა წრეში.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ამხ. ვალიკო ლუარსამიძის: „რუსეთის კომკავშირული მწერლობა". 2) გამოსულ ლიტ. ფურცლის კრიტიკა. 3) მორიგ მასალების განხილვა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სახელმწიფო ოპერაში დღეს მიდის** „ჯამბაზები" და საბალეტო განყოფილება.

◆ **რუსთაველის თეატრში დღეს** თურქული დრამის წარმოდგენაა.

◆ **მუშათა თეატრში დღეს პიესა** „მადლობა"-ს გენერალური რეპეტიციაა.

◆ **ნაძალადევის მუშათა კლუბი.** ადგილობრივ ქართული დრამწრის მიერ უახლოეს ხანში დაიდგმება ახალი პიესა „დაფლეთილი პატიოსნება".

◆ **„ჰამლეტი" თურქულ სცენაზე.** თურქულმა დრამამ სთარგმნა შექსპირის „ჰამლეტი" და უახლოეს მომავალში სცენაზე დასდგამს ტუგანოვის რეჟისორობით.

◆ **„ორი მონადირე".** რეჟისორმა ალ. წუწუნავამ დაამთავრა სურათ „ორი მონადირის" მონტაჟი. სურათი ნაჩვენები იქნება იანვრის პირველ რიცხვებში.

◆ **კინო-რეჟისურა.** სახკინმრეწვმა გადასწყვიტა საზღვარგარეთ მიავლინოს რეჟისორები კინო-ტეხნიკის გასაცნობათ.

— **საკავშირო პოლიტკატორღელთა საქართვ.** განყოფილების მიერ 1905 წ. რევოლიუციის აღსანიშნავად დანიშნული [illegible] საღამო-მოგონება, რომელიც უნდა გამართულიყო პლეხანოვის სახ. კლუბში, ნაძალადევში 1 იანვარს, შესდგება ფართო პროგრამით ოთხშაბათს, 5 იანვარს, საღ. 6 ს.

— **„ხუნჯი".** რედაქციამ მიიღო ყოველთვიური სანიტარულ-პოპულიარული ჟურნალი „ხუნჯი" № 11.

რკინისგზებზე

ორთქლმავალის ჩავარდნა

29 დეკემბერს, საღ. 7 საათზე [illegible]ზიდან გამოსვლისას, სადგურ ტყ[illegible] დაგს ასცდა ორთქლმავალი. [illegible]ბლით ორთქლმავალი ამოიღეს [illegible] 3 საათზე. მოძრაობა არ შეფერხებულა.

მეწყერი

29 დეკემბრიდან [illegible]ზე ადგილი ჰქონდა დიდ [illegible] რკვია-სალიეთის [illegible] ჩამოეშვა მთიდან მეწყერი, [illegible] რკინისგზის ლიანდაგი. [illegible] იქნა ღამის 12 საათზე.

გუშინ ხელმეორედ ჩამოეშვა მეწყერი, რის გამო მოძრაობა [illegible] რკ. გზის შტოზე დაიხურა. საღამოთი მოძრაობა აღდგენილ იქნა.

გუშინდელი დღის განმავლობაში აღნიშნულ [illegible] წვიმდა. მეწყერის ჩამოშვება [illegible] მოსალოდნელი.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით გაირჩა **გიორგი ცეცხლაძის** და **ვახტანგ ხმალაძის** საქმე.

ცეცხლაძეს და ხმალაძეს ბრალდებოდათ ვ. მ—ის ძალდატანებით გაუპატიურება.

საქმის შინაარსი ასეთია: ამა წლის 9 ივლისს, ღამით, ვ. მ—ის ქალი კარლ მარქსის მოედანთან ელაპარაკებოდა თავის ორ მეგობარს. მეგობრებმა სთხოვეს მ—ის ქალს ეტლით გასეირნებიათ მათთან ერთად. ქალი უარზე იყო. ამ დროს სასადილო „მეფისტო"-დან შეზარხოშებული გამოვიდნენ მეორე სამილიციო კომისარიატის უფროსი მილიციელი ცეცხლაძე და უმცროსი მილიციელი ხმალაძე. ცეცხლაძე დაავალა საგუშაგოზე მყოფ მილიციელს ვერა მ—ი თავისი მეგობრებით წაეყვანა კომისარიატში. მილიციელმა დავალება შეასრულა. მორიგე მილიციელმა დაკითხვის შემდეგ ვ. მ—ის მოქმედებაში ვერ ჰპოვა დანაშაულობის ნიშნები და ყველა ისინი განათავისუფლა. მეორე კომისარიატის შენობის ახლოს, ცეცხლაძე დაეწია მ—ს ქალს და დაპატიმრების მუქარით შეიყვანა მეორე სამილიციო რაიონის უფროსის კაბინეტში და გააუპატიურა. მ—ის ქალი გააუპატიურა აგრეთვე ხმალაძემაც.

ცეცხლაძე და ხმალაძე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლომ ცეცხლაძეს და ხმალაძეს მიუსაჯა ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულების სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადით დაუნიშნა ერთი წელი.

„ჯანყი" ეკლესიაში

(„წმინდა მამების" საზოგადო—საჩვენებელო გასამართლება)

გუშინდელი სხდომა შესდგა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს დარბაზში.

დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეების.

მოწმეები აღნიშნავენ, რომ მღვდელ სააკ საკიანცის მომხრეებმა განზრახ ასტეხეს აურზაური და დებოში. მათი მიზანი იყო ხელი შეეშალათ არქიმანდრიტ ეგიაზარიანისათვის, რათა ამ უკანასკნელს არ ექადაგა.

მოწმეები აღნიშნავენ, რომ მღვდელ **სააკ საკიანცმა** მუშტი-კრივის დაწყება ფიზგარმონიის ხმის მომატებით აცნობა მის „მეგობრებს".

გამოირკვა, რომ ბრალდებულები **ანა სააკიანცი, ადამიანი, განჯუმოვი, მიქელიანი, ბაღდოიანცი, არამ სააკიანცი და ვართაპეტიანცი** აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ დებოშის მოწყობაში.

მოწმე **შახპარონიანის** სიტყვით, არქიმანდრიტ ზინიკს არ ჰქონდა უფლება ექადაგა საეპარქიო უფროსის ნებადაურთველად. ასეთი ნებართვა არქიმანდრიტ ზინიკს არ ჰქონია.

სასამართლომ დაუპირდაპირა ერთი-მეორეს მოწმე აკოპ ტერ-არუთინოვი და შახპარონიანი.

დამცველები მოწმეებს აძლევენ მრავალ შეკითხვებს.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება

კითხვა

სოფელ სურებში, დიდვანში (გურია) მცხოვრებ კაზმან რამიშვილს მოუხდა თავის პირველ ცოლთან კანონიერი განქორწინება. განქორწინება მოხდა მეუღლეთა შორის სრული თანხმობით, რის შემდეგ კოზმანს გავყევი მე ცოლად. ერთი წლის შემდეგ კოზმანი მოკლულ იქნა. მე კი დავრჩი ქვრივი და ფეხმძიმედ და რადგანაც „მმაჩში" გაუტარებელი ვიყავი, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამაძევა ქმრის ოჯახიდან. არც ჩემმა მშობლებმა, რადგანაც მათ სურვილის გარეშე ვიყავი გათხოვილი, არ მიმიღეს და [illegible] ხელი. ამრიგად გავხდი მწირი ეული.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, შეიძლება თუ არა დავრჩე ჩემი ქმრის ოჯახში წევრად. როგორც ახლო მომავალში შვილის დედა და აღვზარდო იგი მამის დატოვებულ ქონებით. ვის მივმართო, ან როგორ მოვიქცე.

თამარა რამიშვილი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის და მის შენიშვნისა, თქვენ გაქვთ სრული უფლება დარჩეთ გარდაცვალებულ ქმრის ოჯახში, როგორც კომლის სრულ უფლებიანი წევრი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა „მმაჩში" გატარებული თქვენი ქორწინება. ის ფაქტი, რომ თქვენ ერთი წლის წინედ იყავით მიღებული კომლში, როგორც მეკომური და კომლის სხვა წევრებს თავიდანვე არ განუცხადებიათ არავითარი პროტესტი ამის შესახებ, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თქვენ აღიარებულ იქნეთ კომლის ისეთ წევრად, რომელიც კომლის საერთო მიწების და ქონების სარგებლობაში აღჭურვილია ისეთ უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობენ კომლის სხვა ძირითადი წევრები. რაც შეეხება თქვენს ბავშვს, ისიც დაბადებისას ხდება კომლის სრულუფლებიანი წევრი და საერთო მიწებით და ქონებით ისარგებლებს სხვა წევრებთან თანაბრად.

ამგვარად თქვენი უფლებები აშკარად დარღვეულია და მის აღსადგენად თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ პანასევიჩის ქ. № 22 ცოლ-შვილით. მიკავია ერთი პატარა ოთახი. ამდენ ხანს ვაძლევდი 7 მან. და ხელწერილიც მივეცი სახლის პატრონს მუდამ 7 მანეთის მიცემის შესახებ. მაგრამ ამიერიდან მე 7 მან. გადახდა არ შემიძლია, რადგანაც ჯამაგირს ვიღებ 30 მანეთს.

გთხოვთ მომეცით რჩევა-დარიგება, თუ რა საშუალებით შეიძლება ხელწერილის გაუქმება და რამდენი უნდა ვიხადო თვიურად. ვარ კავშირის წევრი.

ჭამაშვილი ალექსი.

პასუხი

ხელწერილის გაუქმება უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33-ისა. ბინის ქირა კი, თვიურად, თანახმად ახალი საბინაო ტარიფის მუხ. 4-ისა. საერთო წესით თითეულ კვადრატულ მეტრზე თქვენ უნდა გადაგხდეთ რვა კაპეიკის რაოდენობით.

ფეხბურთი

შეჯიბრი აბაშაში

კვირას, 2 იანვარს, თბილისიდან აბაშაში მიემგზავრება ეგოროვის სახელობის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც შეჯიბრი ექნება აბაშის ნაკრებ გუნდთან.

ეგოროვის სახელობის გუნდში შედიან: ლ. ნიკიტინი, ვ. ფხალაძე, შ. სიხარულიძე, გ. მატბეროშვილი, შ. ხმალაძე, საფაროვი, ლ. მატბეროშვილი, ვ. ლომიძე, ა. მარჯანიშვილი, ტ. არსენიშვილი და ვ. საფაროვი. სათადარიგონი: ვ. ანანიაშვილი, ს. ლომიძე, ვ. ბოჭორიძე და ტერტეროვი. გუნდის წარმომადგენელია რევაზ ფალავანდიშვილი.

პარტიული კალენდარი

დღეს, 31 დეკემბერს, დილის 10 საათზე შესდგება საქ. კომ. პარ. (ბ) **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ საპროპაგანდო მეთოდიური ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს 31 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში.

ამხ. ამხ. პრეობრაჟენსკის, ცხაკაიას, მელქუმოვის, შარიმიანის, ნარიმანიშვილის, არუთინოვის, ბერეზინას და პელიძის დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ აგიტ-პროპმუშაკის რაიონულ კაბინეტში სამშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით საღამოს 5-დან 7 საათამდე პოლიტიკურ ეკონომიის და პარტიის ისტორიის საკითხების გარშემო მორიგეობენ კონსულტანტები. (თვითგანვითარებას დაწაფებულ ამხანაგებისათვის).

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ რაიკომთან არსებულ ლენინის წრეების მეცადინეობა სწარმოებს შემდეგ დღეებში.

ქართული ჯგუფი—სამშაბათობით—6-დან 8 საათამდე. ხელმძღვანელი: ამხ. თუმანიანი.

რუსული ჯგუფი—ორშაბათობით და ხუთშაბათობით—6-დან 8 საათამდე. ხელმძღვანელი: ამხ. ორზენგაუზი.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის გაერთიანებული უჯრედთა** ბიუროები იტყობინებიან ყველა წევრ და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს (პარასკევს 31 დეკემბერს) საღამოს 6 საათზე ქიმიურ აუდიტორიაში (ქვედა სართული) მოწვეულია აღნიშნული უჯრედთა გაერთიანებული კრება. დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

— საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ ივანეს ძე ღერიაზინს და დიმიტრი ნიკოლოზის ძე კობზოვს სასწრაფოდ გამოცხადდნენ ამხ. ჩარკვიანთან.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მ. თ. ჯულია ლოლუასი, შვილები: ჯოლდო, მარია, ნინა შვილებითურთ; სიძეები ილარიონ შეროზია და ვანო თინიკაშვილი აუწყებენ ყველა ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 28 დეკემბერს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კინტირია უტას-ძე

ლოლუა

დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირა, 2 იანვარი 1927 წ. ქ. ფოთში საკუთარი სახლი ლენინის ქუჩა სახლი № 43. ნ. 418

აღმოსავლეთ საქართველოს სანიტარო განყოფილების და თბილისის სახელმწიფო სანიტარო კანტორების თანამშრომელნი აუწყებენ ყველა მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი თანამშრომელი

ქეთევან ზაქარიას ასული

ისარლიშვილი

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 2 იანვარს დღის 1 საათზე, საკუთარ ბინიდან კალოს ქუჩა № 50 1113

ნინა ივანეს ასული ერისთავი შვილებითურთ კონსტანტინე, ივანე, ელენა, გიორგი და ალექსანდრე რძლებით და სიძით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 31 დეკემბერს 2 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცი დღის პანაშვიდი დაუვიწყარ პირველის დის და უკანასკნელების დედის

ქეთევანა ივანეს ასული

რუსიშვილ-ყორჩიბაშიშვილის

მოსაგონარად 1116

თავზარდაცემული ცოლი აგრაფენა ლევანის ასული, პატარა ასული, ნუნუთი, შვილები ეკატერინე (კატო) ალექსის ასული და სოლომონ მერაბის-ძე, დები: ოლღა სოლომონის ასული ლოლუასი, მარიამი და ნინა სოლომონის ასულნი, ძმა გრიგორი სოლომონის-ძე ყიფიანები, სიძე კონსტანტინე გრიგოლის-ძე ლოლუა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ქალ. ქუთაისში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე (საშა) სოლომონის-ძე

ყიფიანი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან გოგებაშვილის მე-6 შესახვევი № 16, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე 2 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. ნ. 417

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი

[illegible] კომ[illegible]ტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible] თბილისის კომიტეტის [illegible]

[illegible]თა, წითელარმიელთა [illegible]

1927 [illegible]თვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებ[illegible]თა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით.	[illegible]	7 „	8—80
2 „	[illegible]	8 „	10—00
3 „	[illegible]	9 „	11—30
4 „	[illegible]	10 „	12—60
5 „	[illegible]	11 „	13—80
6 „	7—35	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 „
3 „	4 „	1 წლით	16 „

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 1 იანვარს — ნ. შიუკაშვილი[illegible]

ამერიკელი ძია

დადგმა ალ. ახმეტელის.

კვირას, 2 იანვარს — **ქართული თეატრის დღე**

გრ. რობაქიძის

ლამარა

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—1 ნ. 392

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 31 დეკემბერს **1. ჯამბაზები**

მონაწ.: ბოკოვა, ვიტინგი, გორელოვი, ვენაძე.

დირიჟორობს სახ. არტისტი: ი. ფალიაშვილი

2. საბალეტო დივერტისმენტი

შაბათს, 1 იანვარს **კარმენ**

კვირას, 2 იანვარს **ბავშვთა წარმოდგენა**

ნ. 416

ცირკი

ძმ. ტანტების

ს. ს. ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელ.

დღეს, 31 დეკემბერს

ახალი ნომრები და დადგმები

მხოლოდ ორი დღე

ლოკარნოს კონფერენცია

უკანასკნელი სახალხო ქრონიკა—ლეო ტანტი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე ადმინისტრატორი [illegible]

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ვ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

წითელი სასადილო

კოლექტივის № 6

(პლეხანოვის ქუჩა № 83 კირკის მახლობლად)

ახალი წლის შეხვედრა

„კაბარე" ამხ. ანტონოვის მონაწილეობით

ფასები ამ დღეს არ იქნება მომატებული

საღამოს ადმინისტრატორი ლაჭავა

აპოლო

არფასტო

სოლეი

დარბაზი

(ყოფ. გლობუსი)

გრძელდება მსოფლიო სურათის **კორსარ პიეტროს** ჩვენება. მთავარ როლში: პაულ რიხტერი (ზიგფრიდი „ნიბელუნგებში").

სეზონის საუკეთესო სურათი

საზოგადოების ფავორიტი

მისს მენდ მთავ. როლში: გლანი, როზენელი, ბარნეტი, ი. ილინსკი, კტამაროვი, ფოგელი. რეჟისორი:—ოცეპი

სტენლეი აფრიკის ტყეებში

პირველი და მეორე სერია ერთად.

ანონსი: მზადდება დასადგმელად საუკეთესო სურათი „ჩვენი სტუმართმოყვარეობა"

0—23 ნ. 287

გამოვიდა და იყიდება

ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი"

№ 11—12

შინაარსი:

[illegible] ტროცკიზმის წი[illegible]

[illegible]ბის საკითხები.

[illegible] პოლიტიკა სოფ[illegible] საკითხებში.

ალ. პაპავა—საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური ბუნება.

დ. გვაზავა—ფასების პოლიტიკა და ოპოზიცია.

აკ. ქურიია—კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები.

ვ. მაჭავარიანი—კომკავშირის მუშაობის ახალი ფორმები.

საერთაშორისო მიმოხილვა:

პ. საყვარელიძე—ჩინეთის რევოლიუცია და მისი მნიშვნელობა.

ადგილობრივი ცხოვრება:

შ. ანიძე—მორიგი ამოცანები ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში.

ქრ. კოხტაშვილი—კიდევ ღარიბ გლეხებს შორის მუშაობის შესახებ.

ე. ჩერქეზელი—მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობა.

დ. ორაგველიძე—თვით განვითარების საქმე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში.

პარ. ფრუიძე—ლეჩხუმის პარტიულ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

ბიბლიოგრაფია:

ან. სენ—ან—ი. სტალინი შინა პარტიული მდგომარეობა და ოპოზიცია.

ბ—ლი—„კამენევი და ზინოვიევი 1917 წელს".

გ. მ.—ვ. კაპელაკი სასოფლო სამეურნეო ეკონომია.

გ. ც—ლი—პ. მ. საყვარელიძე. ძველი და ახალი ჩინეთი.

მხატვრული ლიტერატურა. აკაკი პაპავა. მეურმე ნესტორა.

კ. რ.—აკაკ წერეთელი. რჩეული ნაწერები. ტომი 1-ლი.

ჟურნალი დაურიგდებათ ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან. ნ. 407 3—1

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფ.

ამით აცხადებს მეფუტკრეთა საყურადღებოთ, რომ განყოფილების საწყობში, პლეხანოვის გამზირზე № 119

იყიდება შეღავათიან ფასებში მეფუტკრეობის შემდეგი ინვენტარი.

1) სკები „დადან-ბლატის" 10 ჩარჩოიანი საკუჭნაოთი 10 მან. (ღირებული 12 მან.), ციბრუტები, სანთლის საწნეხები, თაფლოვან მცენარეების თესლები და სხვა საჭირო ინვენტარი. აგრეთვე მიიღება დაკვეთა სხვადასხვა სისტემის სკებზე. თბილის-გარეშე დაკვეთები გაეგზავნებათ ღირებულების 25 პროცენტის მიღებისთანავე.

განყოფილების გამგის მოადგილე შანიძე.

ნ. 412 3—1, აგრო ქ | განყ. გამგე გაბაშვილი.

შემთხვევით იყიდება

[illegible]: ბუფეტის შკაფი, ტანისამოსის შკაფი, პრუჟინიანი ტახტი, დასადგამი ტანსაცმლის ჩამოსაკიდი, [illegible] „დუბოვოეთ", სპილენძის ქვაბები. კარუზოვის შესახვევი № 11, [illegible]. 1106

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4-82. 25—1 ქვ. 788

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალ[illegible] 11 საათიდან 12 [illegible] საპიორის ქუჩა, № [illegible] დეტ. კორპ. უკან. [illegible]

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სატუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი

მებრაბია[illegible]

ფილტვების, ბლეკის [illegible] სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნა[illegible] ტრო-შუქით რენტგ[illegible] კურნალო კაბინეტი [illegible] სურათების გადაღება და [illegible]ნის სხივებით წამლობა. [illegible] მთის მზე. იონნო-ტერაპია. [illegible] ყოველდღე დილ. 9—1 და [illegible] საათ. [illegible] ენგელსის ქ. № 23. ყოფ. [illegible] ქუჩ., 85 25—[illegible]

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი

[illegible]ებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზა[illegible] № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

[illegible]ლასათვის ხელმისაწვდომი [illegible]ამშობიარო თავშესაფარი [illegible]. ივ. არარატოვისა

დიდი ვანქის ქ. № 6.

[illegible]შობიარედ მიღება—25-დან 50 მა[illegible]ამდე. მშობიარობა და შემდეგ ქვე[illegible] 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნე[illegible]ებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").

[illegible], სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35 354 13—1

ექიმი შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. [illegible] (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ა. დ. შახბაზიან

ქალთა, სამანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე. დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

23—1 ყოფილი ბებუთის ქ. № 5

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაზაროვის) № 7— ეზოს ხიდთან. ტელეფ. № 15—02 25—

მედიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილით 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე. პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. მახლობლად) შესავალი სახლის კუთხიდან

ექიმი

ნ. ხერხეოვი

დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ქვ. 1098 13—1

სახელმწიფო უნივერსიტეტ. კბილის სნეულებათ კლინიკა

პლეხანოვის [illegible] ლამოთით [illegible]

ავადმყოფები [illegible] 12—

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ადმინისტრატიული განყოფილების [illegible] აცხადებს, რომ მოქ. მელენტი ნიკოლოზის ძე ფილიპიამ შემოიტანა განცხადება გვარის გვარ ოთარიშვილი-ფილიპიაზე შესაცვლელად.

საერთო-სადმ. ქ | განყ.

უფროსი კიღურაძე.

მმართ. ბიუროს გამგე

1117 შარაძენიძე

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 1040 ნინო რაჟდენის ასული სანებლიძის სახელზე, ჩ. გ. 1105

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი № 229, გაცემული მარიამ გიორგის ასულ მასურაძის სახელზე, ჩ. გ. 111

დაიკარგა პარტიის საკანდიდატო ბილეთი № 13745, კომკავშირის წიგნაკი № 13285, მეტრიკული ამონაწერი № 6, აღებული რაჭის მაზრაში, აკაკი დავითის-ძე ქებოკლიძის სახელზე, ჩ. გ. 1109

დაიკარგა საშუალო განათლების ატესტატი და მოწმობა, გაცემული ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან გრიგოლ ივანეს-ძე ხმალაძის სახელზე, ჩ. გ. 1107

დაიკარგა პირადობის მოწმობა სამხრეთ-ოსეთის რაი-აღმასკომის მ[illegible] გაცემული, კომკავშირის მოწმობა საოლქო კომიტეტის მიერ გაცემული პიონერთა ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწმობა, მ. დ. მელქოვის სახელზე, ჩ. გ. 1108

დაიკარგა საწევრო წიგნაკი განათლების კავშირის № 17,562 ნიკოლოზის ვლ. ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 1112

დაიკარგა სამხედრო რეგისტრ. და მეტრიკული მოწმობები, ხაქ. გიორგის-ძე მეზურნიშვილის სახელზე ჩ. გ. 1114

დაიკარგა ზესტაფონის ინვალიდთა, საზ-ბის მანდატი, პირადობის მოწმობა. [illegible] ინვალიდობის [illegible]. ვექსილები და სხვადასხვა საბუთები მელქო მაქსიმეს-ძე არაბიძეს სახელზე, ჩ. გ. 1115

დაიკარგა სამხედრო [illegible] მოწმობა მოცემული [illegible]დან დიმიტრი მიქელას ძე [illegible]შვილის სახ. ჩ. გ.

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.